

**ფედერალისტური წერილები: ალექსანდრა
ჰამილტონი, ჯეიმს მადისონი, ჯონ ჯეი**

**The Federalist Papers: Alexander Hamilton,
James Madison, John Jay**

**გამოცემა ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების
პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტს საქართველოში**

**The publication is dedicated to the visit of US President
George W. Bush in Georgia**

**პოლიტიკური განათლების პროექტი
გამოწვევა დიალოგში**

**The project of political education – “Challenge to
Dialogue”**

თბილისი 2005

Tbilisi 2005

გამოცემა და პროექტი მომზადდა საქართველოს ფილოსოფოსთა ასოციაციისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აშშ პოლიტიკური აზროვნების უმისწავლელი ცენტრის მიერ

Publication and the project were prepared by the US Political Thought Studying Centre of Grigol Robakidze University and Georgian Philosophical Association

რედაქტორები: გიორგი ბარამიძე
მიხეილ გოგატიშვილი
ლანსელოტ ფლეტჩერი

Editors: Giorgi Baramidze
Mikheil Gogatishvili
Lancelot R. Fletcher

ინგლისურიდან თარგმნა
შესავალი შენიშვნები: გიორგი ბარამიძემ
გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი,
ლანსელოტ ფლეტჩერი, შერონ მაილსი

Translated from English by Giorgi Baramidze
Introductory Note by: Giorgi Baramidze, Mikheil Gogatishvili,
Lancelot R. Fletcher, Sharon Miles

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის გამომცემლობა
Ggrigol Robakidze University Press

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
© Grigol Robakidze University
ISBN 99940-826-0-4

წინასიზღვევა

ხშირად ვფიქრობ, თუ როგორ გამიმართლა, რომ ვარ მოქალაქე ქვეყნისა, რომლის დამფუძნებელი მამები მისდამი მზრუნველობით იყვნენ განმსჭვალული და ძალისხმევას არ იშურებდნენ მისი კეთილდღეობისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა მათი ესეები, რომლებიც 1787-1788 წლებში შეიქმნა. ფედერალისტური წერილები ამერიკული პოლიტიკური აზრის ქმნილებაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს კონსტიტუციურ დემოკრატიასა და ფედერალიზმს. ჰამილტონმა, მედისონმა და ჯეიმ დაგვიტოვეს თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობას, სტაბილურობას და ხალხის უფლებათა დაცვას. იგი დღესაც ისევე მნიშვნელოვანია როგორც ორასი წლის წინ იყო. 1780-იანი წლების შემდეგ ამერიკა ძირეულად შეიცვალა; მაგრამ 21-ე საუკუნეშიც იგივე საკითხები გვაწუხებს, რაც კონსტიტუციის პროექტის ავტორებს აწუხებდათ: კავშირის შენარჩუნება და დაცვა, ფრაქციულობის კონტროლი, უმრავლესობის ტირანია უმცირესობის მიმართ, ხელისუფლების უკონტროლო მოქმედებათაგან მოქალაქეთა უფლებების დაცვა. “ადამიანები ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ, ხელისუფლება საჭირო არ იქნებოდა-ო” წერდა ჰამილტონი. რა თქმა უნდა, ჰამილტონი, მედისონი და ჯეიმ ანგელოზები არ ყოფილან; მაგრამ ჩვენ მაღლობას ვწირავთ მათ იმის გამო, რომ ხელისუფლების ისეთი მოდელი დაგვიტოვეს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და დემოკრატიის საფუძველების განმტკიცებას.

შერონ მაილსი

I often think how fortunate I am to be a citizen of a country whose founding fathers were in large part thoughtful, articulate and practical. Specifically, through their essays written in 1787-1788 in support of adoption of the proposed U.S. Constitution, the authors of The Federalist Papers were able to provide us with a body of work on American political thought and reason which has formed the foundation of constitutional democracy and federalism in the United States. Hamilton, Madison and Jay have left us a theoretical as well as a practical legacy - a series of documents in support of peace, stability and the rights of people - that is as relevant today as it was over 200 years ago. While the face of the United States of America has changed drastically since the 1780's, the issues facing the drafters of the Constitution - preservation and protection of the union, control of factionalism, a concern for the tyranny of the majority over the minority and a need to protect the rights of all citizens against the excesses of government - are issues that concern us all in the 21st Century. "If men were angels, no government would be necessary," wrote Alexander Hamilton. While Hamilton, Madison and Jay were probably not angels themselves, we have them to thank for providing us a governmental framework that has helped to preserve and strengthen our country and that speaks to the issues that are both basic and enduring in a democracy.

Sharon Miles

ლანსელოზ ფლავიანი

ფედერალისტთა ნაიითხვა იოანე აპტრინის სულისკვეთებით

ფედერალისტების თარგმანის წინასიტყვაობაში ბატონმა გია ბარამიძემ პატივი დამდო და პლატონის "პოლიტეა"-ზე ჩემი სემინარები ერთ-ერთ იმ გარემოებად მოიხსენია, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის ჩამოყალიბებას. მე ბატონი გიას და მისი კოლეგების მადლობელი ვარ ფედერალისტთა პირველი 10 წერილის პუბლიკაციისათვის წინასიტყვაობის დაწერის შესაძლებლობა რომ მომცეს. ვფიქრობ, უპირანი იქნება, თავდაპირველად ის ფაქტი გავიხსენო, რომ ამ პროექტის შესახებ საჯარო განაცხადი საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის ქუთაისის ცენტრის დაარსებას დაემთხვა.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოსვლის და პრეზენტაციის შემდეგ ჩვენი მცირე ჯგუფი გელათში გაემგზავრა. გვსურდა, საქართველოს ფილოსოფოსთა ასოციაციის დაარსება და ფედერალისტთა ქართული თარგმანის გამოცემისა და ინტერპრეტაციის პროექტიც გელათის აკადემიის ბრწყინვალე ტრადიციებსა და მისი დამაარსებლის, იოანე პეტრიწის სახელთან დაგვეკავშირებინა.

მეთორმეტე საუკუნის ქართველ რელიგიურ ფილოსოფოსსა და ამერიკის კონსტიტუციის ავტორებსა და დამფუძნებლებს – ფედერალისტებს შორის რაიმე საყურადღებო პარალელის გავლება, ერთი შეხედვით, რთული ჩანს. მაგრამ ეს სირთულე მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ პეტრიწს იმ მოაზროვნედ აღვიქვამთ, მრავალი საუკუნის წინ რომ იცხოვრა და აღესრულა. რა თქმა უნდა, პეტრიწი – ადამიანი დიდი ხნის წინ მოკვდა ისევე, როგორც ფედერალისტთა ავტორები (პეტრიწზე ბევრად გვიან, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის წინ), მაგრამ გარკვეული აზრით, ისინი დღესაც ცოცხალნი არიან და თუ ამის დანახვას შევძლებთ, იოანე პეტრიწსა და ფედერალისტთა ავტორებს შორის უხილავი კავშირიც გაცხადდება.

ამგვარად, იოანე პეტრიწი იმ მოაზროვნედ უნდა აღვიქვათ, რომლის იდეები დღესაც ცოცხალია საქართველოში. თუ ამით

დავიწყებთ, იოანე პეტრიწის პიროვნებაში ბრწყინვალე ფილოსოფოსისა და თეოლოგის გარდა, აქტიურ მოღვაწეს, ასე ვთქვათ, “მოქმედების კაცსაც” ამოვიცნობთ. პეტრიწმა ხომ იმ სასწავლებელს დაუდო საფუძველი, რომელიც დაარსების დროისათვის და მომდევნო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო ცენტრს წარმოადგენდა. პეტრიწს რომ დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში ეცხოვრა, ალბათ იმ მოაზროვნედ იქნებოდა აღიარებული, რომლის სახელსაც თომა აქვინელის გვერდით მოხსენიების ღირსად მიიჩნევენ. მაგრამ მე მსურს გამოვთქვა ის, რაც პეტრიწის მოღვაწეობას დღესაც აქტუალობასა და ცხოველმყოფელობას ანიჭებს; ის, რისი წყალობითაც პეტრიწი დღესაც ცოცხალია, და მე ვფიქრობ, ამას ყველაზე უკეთესად საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის პროექტზე საუბრით შევძლებ; და კიდევ იმაზე საუბრით, რომ ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის თავიკაცები სწორედ პეტრიწის სულისკეთებას გამოხატავენ.

დღეისათვის იოანე პეტრიწი, უპირველესად, იმ პიროვნებად არის ცნობილი, პროკლესა და სხვა ნეო-პლატონისტების ნაშრომები რომ თარგმნა, გაითავისა და თავის მოწაფეებს გააცნო. ამ გზით პეტრიწმა მსოფლიოს ამ ნაწილში ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე სიღრმისეული მიმდინარეობის განვითარებას შეუწყო ხელი. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი იმის დანახვაა, რომ პეტრიწისათვის პროკლეს მოძღვრება მხოლოდ წმინდა სწავლეულობის საგანი არ ყოფილა. ის მჭიდრო კავშირში იყო შეკითხვასთან, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას რომ შეეხებოდა, ამგვარად, შეკითხვა – როგორ აღვიქვამთ ჭეშმარიტებას, - განუყოფელი გახლდათ მეორე კითხვისაგან, - როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ სამყაროში.

ერთ-ერთი სამწუხარო ფენომენი, რაც თანამედროვეობამ მოიტანა, ის გახლავთ, რომ ეს ორი კითხვა ერთმანეთისაგან დაშორებულ იქნა. დისკუსიებმა, - განსაკუთრებით პოლიტიკურ თემებზე, - რაციონალური ხასიათი დაკარგა. ამას გარდა, დასავლური სამყაროს უმეტეს ნაწილში ხალხს ძველი წიგნების მიმართ ინტერესი გაუქრა. ადამიანები, როგორღაც, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძველი წიგნები მათ ვედარაფერს ასწავლის. ქართველ ფილოსოფოსთა ეს ჯგუფი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ნასაზრდოებია ქარ-

თული ტრადიციით, ყველაზე სრულყოფილი განსახიერება იოანე პეტრიწში რომ ჰპოვა და სერიოზული საკითხებისადმი სერიოზულ მიდგომას რომ გულისხმობს. ნება და ღიაობა, რაც ქართველ ფილოსოფოსთა ამ ჯგუფს ძველ წიგნებში დაცული სიბრძნის შესათვისებლად გააჩნია, იმ შეგრძნებით არის გაჯერებული, რომ ძველ წიგნებში წამოჭრილი პრაქტიკული საკითხები დღესაც ცოცხალი და აქტუალურია. ამერიკელისათვის კი განსაკუთრებით შთამაგონებელია ის, რომ საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის წევრებმა ერთ-ერთ პირველ პროექტში არჩევანი ფედერალისტთა წერილების თარგმნასა და კომენტარებაზე შეაჩერეს.

როგორც მოგეხსენებათ, 1776 წლის 4 ივლისს ჩრდილოეთ ამერიკის 13 ბრიტანული კოლონიის პოლიტიკურმა ლიდერებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ იმავე წელს ახალ სახელმწიფოდ არ ჩამოყალიბებულან. მათ თავი 13 დამოუკიდებელ, გაერთიანებულ შტატად წარმოადგინეს. 1776 წელს მათი გაერთიანების ერთადერთ მიზანს დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად ერთიანი ძალისხმევით ბრძოლა წარმოადგენდა.

ისინი საოცარი სიმტკიცით იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, არამედ სხვა ნებისმიერი გარეშე ძალის მიერ კონტროლისაგან. ამ შტატებს პირველი კონსტიტუციის რატიფიცირების საკითხი მხოლოდ 1781 წელს დადგა, როდესაც დამოუკიდებლობისათვის ომი თითქმის დასრულებული იყო. პირველი კონსტიტუცია კონფედერაციის მუხლების სახელით გახლდათ ცნობილი და მას უკიდურესად სუსტი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა მოჰყვა, იმდენად სუსტის, რომ არც გადასახადების დაკისრება შეეძლო, არც დამოუკიდებელი აღმასრულებელი და სამართლო ძალაუფლება გააჩნდა. ეს დოკუმენტი – კონფედერაციის მუხლები – 1781 წლიდან შევიდა ძალაში, მაგრამ სუსტი სამთავრობო სტრუქტურის არაეფექტურობა შტატების ლიდერებისათვის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ცხადი. ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებას აუჯანყდა. საუბარი უკვე ქვეყნის დანაწევრებას ეხებოდა.

1787 წელს, კონფედერაციის მუხლებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, კონგრესმა კონვენცია მოიწვია.

რამდენიმე ადამიანმა, რომელთა შორის ჯეიმს მედისონი და ალექსანდრე ჰამილტონიც გახლდნენ, კონფედერაციის მუხლების უბრალო გადასინჯვას სრულიად ახალი კონსტიტუციის შექმნა ამჯობინა. კონვენციის გახსნის წინ მათ უკვე ფაქტიურად დაწერილი ჰქონდათ პირველი პროექტი. 1787 წლის ივლისსა და სექტემბერს შორის პერიოდში დელეგატები ფილადელფიაში შეიკრიბნენ და ამ ღირშესანიშნავად მოკლე დროში ისეთი სამთავრობო სტრუქტურა დაგვემეს, რომელიც დღემდე მოქმედია ჩემი ქვეყნის მმართველობაში. ეს იყო სისტემა, რომელიც მთავრობის ორსაფეხურიან მოწყობას გულისხმობდა: პირველი საფეხური შტატების (თქვენს ენაზე რეგიონების) მთავრობებით იყო წარმოადგენილი, მეორე – ცენტრალური ხელისუფლებით.

პროექტის შექმნა დასასრულს რომ მიუახლოვდა, კონვენციის დელეგატები შეთანხმდნენ, რომ დოკუმენტი თითოეული შტატისათვის წარედგინათ, რათა ამ უკანასკნელის მოწონება ან უარყოფა მიეღოთ. ასე რომ, ისინი შესანიშნავად აცნობიერებდნენ შტატების მიერ ამ დოკუმენტის უარყოფის შესაძლებლობას. კენჭისყრაში თითოეულ შტატს უნდა მიეღო მონაწილეობა. შეთანხმების მიხედვით, თუ სულ ცოტა, ცხრა შტატი მაინც კონსტიტუციას სასარგებლოდ მისცემდა ხმას, მაშინ ეს დოკუმენტი ამ ცხრა თუ მეტი შტატისათვის ძალაში შევიდოდა.

ერთ-ერთი შტატი, სადაც კენჭისყრის შედეგი ძალზედ საეჭვო იყო, ნიუ იორკი გახლდათ. კონსტიტუციის ერთ-ერთმა ავტორმა, ნიუ იორკის დელეგატმა ალექსანდრე ჰამილტონმა პამფლეტების სერიის გამოქვეყნება გადაწყვიტა, სადაც ნიუ იორკის შტატის მიერ კონსტიტუციის მხარდაჭერის აუცილებლობას დაასაბუთებდა. ჰამილტონმა კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი ჯეიმს მედისონი მოიწვია სათანამშრომლოდ. და მესამე პიროვნება, ჯონ ჯეი ასევე მონაწილეობას იღებდა მათ მუშაობაში. ისინი ერთობლივი ძალისხმევით მუშაობდნენ 1787 წლის ოქტომბრიდან 1788 წლის აპრილამდე. ამ დროის განმავლობაში მათ დაწერეს და გამოაქვეყნეს 85 ესსე, რომლებშიც არსებული კონფედერაციის მუხლების სუსტ მხარეებს და უფრო ძლიერი გაერთიანების საჭიროების მიზეზებს განიხილავდნენ, აგრეთვე, მათ მიერ დაწერილი კონსტიტუციის თითოეულ დებულებას დაწვრილებით განმარტავდნენ და შესა-

ბამისი არგუმენტებით ამაგრებდნენ. ამ 85 ესსემ, ერთად აღებულია ის წიგნა შეადგინა, რომელსაც ჩვენ ახლა ფედერალისტებს (ფედერალისტთა წერილებს ეუწოდებთ).

ფედერალისტების მკითხველისათვის იმთავითვე ცხადი ხდება, რომ ავტორები ბრწყინვალედ იცნობდნენ როგორც ანტიკურ, ისე მათ თანამედროვე პოლიტიკურ თეორიას. ეს თეორიული ცოდნა კი პრაქტიკული პოლიტიკის ისეთ ღრმა გააზრებასთან იყო შეჯერებული, როგორიც მხოლოდ მთელი ცხოვრების მანძილზე პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმულ პიროვნებას შეიძლება გააჩნდეს. ამიტომ, მათი ქმნილება საკმაოდ უჩვეულო და ალბათ უპრეცედენტო გამოდგა მსოფლიოს ისტორიაში – ეს არის წერილები, რომლებიც უახლოეს და გადაუდებელ პოლიტიკურ საკითხებს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიბრძნის კონტექსტში მოიაზრებს.

შეერთებულ შტატებში სამთავრობო სამსახურში ახლად ჩამდგარი სამთავრობო პოსტებზე არჩეული ან დანიშნული მოხელეები ფიცს იძლევიან. ეს არ არის ღმერთის წინაშე დადებული ფიცი. ჩვენ ვიძლევიან ფიცს, რომ კონსტიტუციას დაეცავთ. ამგვარად, ამერიკელთათვის კონსტიტუცია ერთგვარი საკრალური ტექსტია. ფედერალისტთა წერილები ჩვენი კონსტიტუციის ორი ძირითადი ავტორის ნამუშევარს წარმოადგენს. ის იმ მიზნით შეიქმნა, რომ თანამემამულენი გადაუდებელი პრაქტიკული პოლიტიკური პრობლემების ფედერალური გზით გადაჭრის აუცილებლობასა და მნიშვნელობაში დაერწმუნებინა.

სწორედ ეს ნაშრომი აირჩიეს საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის წევრებმა შესასწავლად და ქართულ ენაზე სთარგმნელად. მათი არჩევანი იმის გაცნობიერებამ განაპირობა, რომ საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა, გარკვეული ასპექტებით, ძალზედ წააგავს შეერთებულ შტატებში 1787 წელს არსებულ სიტუაციას.

მკითხველთა უმეტესობა ალბათ გაიფიქრებს: ძალზე ცუდად მქონია საქმე იმდროინდელ ამერიკასო, - საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ხომ უმეტესობა უკიდურესად მძიმედ მიიჩნევს. 1787 წელს საქმე მართლაც არ იყო კარგად, მაგრამ ადამიანთა მცირე ჯგუფმა, რომელიც ღრმა სიბრძნეს ფლობდა და საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საქმეში ამ ღრმა

ტექმარიტებათა მნიშვნელობის გააზრება სურდა, ისეთი სისტემის შექმნა შეძლო, რომელიც დღემდე მტკიცეა და დღეს მთელ მსოფლიოს აღაფრთოვანებს. საქართველოსთვისაც ახლა სწორედ იგივე შესაძლებლობა არსებობს.

სწორედ ამის გამო მსურს პატივი მივაგო საქართველოს ფილოსოფიური ასოციაციის წევრთა სერიოზულობას, რომელსაც ისინი ფედერალისტთა წერილების მიმართ იჩენენ. იოანე პეტრიწი მსგავსი სერიოზულობით ეკიდებოდა პლატონისა და პროკლეს ნაშრომებს. საქართველოს ფილოსოფიური ასოციაცია პეტრიწისეულ ტრადიციას აღორძინებს და ეს სერიოზულობა იმის აღიარებაა, რომ დღევანდელ მსოფლიოში სწორედ საქართველოს აქვს პრივილეგია, იყოს ქვეყანა, სადაც ყველაზე ღრმა პოლიტიკური საკითხები თვითმყოფადი და ორიგინალური აზროვნების მიმართ ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს. სერიოზულობა, რითაც ეს ჯგუფი ფედერალისტთა წერილებს ეკიდება, მათ საქმიანობას დიადი შედეგით დააგვირგვინებს და ფედერალისტებსაც ხელახლა მიანიჭებს სიცოცხლეს. ეს ქართველი ფილოსოფოსები ფედერალისტთა წერილების საუკეთესო მკითხველები გახლავან. ფედერალისტთა წერილებზე მსჯელობისას მათ ძველი ნაშრომის დაფასება თანამედროვე, გადაუღებელ საკითხებზე ზრუნეასთან შეაჯერეს ისევე, როგორც თავად ფედერალისტები მოიქცნენ ანტიკური ავტორების კითხვისას. და მე ვეუბნები საქართველოს ფილოსოფიურ საზოგადოებას: “გმადლობთ, ამ წამოწყებაში თქვენთან თანამშრომლობადილ პატივად მიმანია”.

Lancelot Fletcher- In Gelati Academy: Reading the Federalist in the spirit of Ioane Petritsi

In his preface to the present translation of the Federalist, Gia Baramidze has honored me by mentioning my seminar on Plato's Politeia as one of the circumstances which influenced the formation of the Georgian Philosophical Association. I am grateful to Gia and his colleagues for giving me the opportunity to write an introduction to this publication of the first ten of the Federalist Papers, and I think it is fitting that I begin by recalling the fact that the public announcement of this project coincided with the founding of the Kutaisi center of the Georgian Philosophical Association.

After speeches and presentations before a group of faculty and students at the Akaki Tsereteli University in Kutaisi, a small group of us went on to Gelati, because we wanted to associate the founding of the Georgian Philosophical Association - and the project of publishing a translation and interpretation of the Federalist - with the extraordinary tradition of Gelati Academy and its founder Ioane Petritsi.

At first it might seem difficult to establish any significant connection between a Twelfth Century Georgian religious philosopher and the authors of the Federalist, who were among the authors and founders of the American Constitution, but that difficulty exists only to the extent that we think of Petritsi simply as a man who lived and died many centuries ago. Of course Petritsi the man died a long time ago - as did the authors of the Federalist, not as long ago as Petritsi, but long enough. To see the connection between Petritsi and the authors of the Federalist it is necessary first of all to see in what sense they are all still alive.

Even if it is not self-evident we need to begin by considering Petritsi as a thinker whose ideas are still alive in Georgia. Having begun in that way, we will then be able to acknowledge that Ioane Petritsi, in addition to being an extraordinary philosopher and theologian, was a man of action. He was a man who established an institution of learning which, at the time it was established and for a considerable period of time afterward, was one of the most important institutions of learning in the world. Had he lived in France or elsewhere in western Europe he would have been recognized as a man

to be spoken of in the same breath as Thomas Aquinas. But I think I can best express the sense in which Petritsi is still alive by speaking about the project of the Georgian Philosophical Association and about the way in which I believe the leaders of the Georgian Philosophical Association embody the spirit of Petritsi.

Ioane Petritsi is best known in the present time as a man who translated and understood and taught the works of Proclus and other men known to us as Neo-Platonists, and in that way he contributed to the development in this part of the world of one of the most profound branches of Christian theology. But the important thing to understand about a man such as Petritsi is that for him the study of Proclus was not a matter of pure scholarship. It was intimately connected with an inquiry about what is the relation between man and God, so the question about how do I understand the truth was not in any way separate from the question about how should human beings conduct themselves in the world.

One of the unfortunate things that has happened in what we call modern times is that the question of truth has become separated from the question about how we should act. And discussions, especially about political matters, have in many respects ceased to be conducted in a rational way. And one of the things that has also occurred is that for many people in most parts of the western world there even has ceased to be an interest in reading old books. People have somehow come to the conclusion that old books have nothing to teach them. What is especially inspiring about this group of philosophers is that they are inspired by the Georgian tradition - best exemplified in Petritsi - of taking serious things seriously. They are willing to approach the study of old books with an openness to being taught combined with a sense of urgency about the practical issues which were discussed in those old books and which are at the same time alive and relevant today. For an American it is especially inspiring that the members of the Georgian Philosophical Association have chosen as one of their first projects to begin a translation and commentary on the Federalist Papers.

On July 4, 1776, as just about everybody knows, the political leaders of 13 British colonies in North America declared their independence. But in 1776

they did not form themselves into a new state. They said, we are 13 states — i.e. 13 independent, united states. They were united at that time, in 1776, only for the purpose of jointly fighting for their independence from Great Britain.

They were fiercely independent. They were fiercely committed to maintaining, not simply their independence from Great Britain, but equally their independence from any kind of control from anywhere else. In fact it was not until 1781, by which time the war of independence was pretty much finished, that these states got around to ratifying their first constitution, which was called the Articles of Confederation.

These Articles of Confederation created an extraordinarily weak central government. It was so weak that this government had no power to impose taxes, it had no independent executive power, and the central government had no judiciary power. This document - the Articles of Confederation — was in force starting in 1781, and it was not long before the leaders of the states began to discover that this weak governmental structure was not working very well. Some parts of the country began to revolt against the central authority. There was talk about just dissolving the country into different parts.

In 1787 the Congress decided to call a convention to fix the problems with the articles of confederation. A number of people, including James Madison and Alexander Hamilton, decided that, instead of simply revising the Articles of Confederation, it would be better to create an entirely new constitution, and in fact by the time the convention opened they had already written a first draft. Between July and September 1787 delegates met in Philadelphia, and in this remarkably short time they worked out the plan of government which is still used to govern my country. It was a system which involved having two levels of government, one level being State governments for what we call states — what you would call provinces or regions - the other level being a central government.

At the end of the drafting period the delegates to the convention agreed that the document they had written would be submitted to each of the states to be approved or disapproved. So they knew it was possible that

the states might turn it down. Each state had to vote. They agreed that if at least nine states voted in favor of the constitution, then it would go into force — for the nine or more states that had voted in favor of it.

One of the states in which the outcome of the vote was very uncertain was New York. Alexander Hamilton, one of the authors of the constitution who had been a delegate from New York, decided to publish a series of pamphlets, like newspaper editorials, arguing why the state of New York should approve the constitution. And Hamilton invited James Madison, another of the authors of the Constitution, to work with him. And a third man, named John Jay, also participated. These men worked together from October of 1787 until April of 1788. During that time they wrote and published 85 essays which examined the weaknesses of the existing Articles of Confederation, the reasons why a stronger union was needed, and then explained in detail the meaning and justification for each of the provisions of the constitution which they had just written. These 85 essays, taken together, make up the book which we now call *The Federalist* (or *The Federalist Papers*).

One thing that is immediately apparent to anyone who reads *The Federalist* is that its authors possessed a profound knowledge of both ancient and contemporary political theory. They combined with that theoretical knowledge a profound understanding of practical politics such as can only be gained from a lifetime spent engaged in political affairs. Therefore, what they produced was something quite extraordinary and perhaps unprecedented in the history of the world, and that is a written work which brings to the consideration of matters of immediate political urgency the most profound reflection coming from the wisdom of the ages.

In the United States, persons who are elected or appointed to serve as officers of the US government swear an oath, but we do not swear an oath to God. We swear an oath to uphold our constitution. So for Americans this constitution has somewhat the status of a sacred text. *The Federalist*, then, is a work written largely by two of the principal authors of our constitution, written for the purpose of persuading their fellow countrymen about the urgency and importance of adopting this federal solution to their urgent practical, political problems.

And that is the work which the members of the Georgian Philosophical Association have chosen to study and to make available in the Georgian language. They have chosen to study it because they recognize that the conditions in Georgia now are conditions which are in some respects very similar to the conditions which existed in the US in 1787.

For many people that statement might suggest that things must have been very bad in the US at the time the Federalist was written, because most people think that things in Georgia now are very bad. And so they were, except that in 1787, because a few men with great wisdom were willing to think seriously about the relevance of profound truths in shaping their political order, they were actually able to create a system which still endures and has now come to be admired all over the world. That same possibility lives in Georgia today.

It is for that reason and in that sense that I honor the seriousness of the members of the Georgian Philosophical Association. In the seriousness of their approach to the Federalist they reproduce and in some sense continue the seriousness that Petrissi brought to the works of Plato and Proclus. What the members of the Georgian Philosophical Association are doing is to recognize that Georgia has the privilege of being a place where the most profound political issues are alive and available for original thought as perhaps nowhere else in the world today. So the seriousness of their reading of the Federalist I say allows for the greatness of the result which they may produce, and in that sense allows the authors of the Federalist to be still alive. They are, therefore, the perfect readers of the Federalist. They bring to the Federalist the same combination of appreciation for ancient work and concern for immediate issues which the authors of the Federalist brought to their reading of ancient writers. To the members of the Georgian Philosophical association I say, "I thank you, and it is my privilege to be your partner in this undertaking."

“გაემონება დიალოგში”

წინამდებარე თარგმანს აქვს თავის თავგადასავალი. ეს ამბავი ასე დაიწყო.

“საქართველოს ფილოსოფისთა ასოციაციას” აწუხებდა ქართული საზოგადოების პოლიტიკური დისკუსიებისა და გადაწყვეტილებების ინტელექტუალური დაცვის მექანიზმის სიმწირე და ფიქრობდა, როგორ შეეცხო ეს ნაკლი. ამ მიზნით დაეიწყო პლატონის “სახელმწიფოს” ძველბერძნულ ენაზე კითხვა და მისი შედარებითი ანალიზი ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ლათინურ, და ესპანურ თარგმანებთან. კითხვას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: ჯერ ერთი, იგი გულისხმობდა პლატონის ტექსტის არარეფერენტულ კითხვას ე.ი. წინასწარ აკვიატებულ პოზიციებზე უარის თქმას, რომლებიც პლატონის ტექსტების ხანგრძლივი კვლევითი ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა; მეორეც, სხვადასხვა თარგმანების კორელაციური ანალიზის საფუძველზე ქართული სააზროვნო სივრცისათვის ადეკვატური ტერმინების მოძიებასა და დადგენას; გარდა ამისა, ძველბერძნული აზროვნების პირველსაწყისებთან დაბრუნებას. ეს გულისხმობს დიალოგში გამოწვევას და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას არაძალადობრივი საშუალებებით, რაც კონსენსუსის მიღწევის გზად უნდა იქცეს. ჩვენს მუშაობას იმის შეგნება წარმართავდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება ინტრიგების ქსელის ხლართვის ხელოვნება კი არ არის, არამედ ღრმა აზროვნების ერთერთი ფორმაა და პოლიტიკურ ინტერესებს ინტელექტუალური დაცვის ევლით უზრუნველყოფა ესაჭიროება.

ფილოსოფიისადმი ინტერესის გაღვივებას და ღრმა აზროვნების საწყისებთან მიბრუნების მიზანს ისახავდა პლატონის “პოლითეას” შესახებ ამერიკელი ფილოსოფოსის ლანსელოტ ფლეტჩერის მიერ ორგანიზებული მუდმივმოქმედი ინგლისურენოვანი სემინარი. სემინარის მონაწილეები იმ დასკვნამდე მივიდნენ რომ, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში ძალზე სჭარბობს ძალადობის გამომხატველი ტერმინოლოგია, რაც აუკუღმართებს პოლიტიკური კომუნიკაციის სივრცეს და საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ ქცევას ძალადობაზე ორიენტირებულს ხდის. ხოლო პლატონის “სახელმწიფო” გვასწავლის თუ როგორ უნდა დაეიცვათ საკუთარი პოზიცია დიალოგის შენარჩუნების ფარგლებში. პლატონის

“სახელმწიფოს” კომენტარები იმგვარ ავტორებთან კორელაცი-
აში მიმდინარეობდა როგორცაა ჰანა არენდტი, ლეო შტრაუსი,
აღან ბლუმი და სხვა.

ბუნებრივია, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე
ამ ორ ჯგუფს შორის ურთიერთინტერესი გაჩენილიყო რამაც
განაპირობა კიდევ ჩვენი შეხვედრა. ამ შეხვედრებზე მრავალი
საერთო ინტერესი გამოიკვეთა. დისკუსიები ეხებოდა ქართული
და ამერიკული აზროვნების წესებს, კულტურის როლს პლიტი-
კური აზროვნებისა და დემოკრატიის განვითარებაში. ჩვენი
დილოგიდან გამომდინარე ლანსელოტ ფლეტჩერმა განაცხადა,
რომ ქვეყნის კულტურული ცხოვრების წესის ძირეულმა უარყ-
ოფამ შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს. ქართული
კულტურა და ტრადიცია კი შეიძლება, ერთგვარ საყრდენად
იქცეს დემოკრატიის განვითარებისათვის.

ჩვენი პოზიცია ძირითადად შემდეგნაირად იყო გამოხატული:
დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება გა-
მოირჩევა უკიდურესი პოლიტიკური არამდგრადობით.
დარღვეულია თანაფარდობა საზოგადოების ყველაზე აქტიურ
და მოაზროვნე ნაწილებს შორის. პოლიტიკურ გადაწყვეტილე-
ბათა და პასუხისმგებლობის მექანიზმში ინტელექტის სიმწირე
შეიმჩნევა.

პოლიტიკოსობა ვერ გასცდება ვიწრო ინტრიგანულ ქსელს,
თუკი პოლიტიკური მოქმედება და გადაწყვეტილება ინ-
ტელექტუალურ გააზრებათა ნაკადით არ არის გაჯერებული.
შეუძლებელია, განახორციელო რაიმე პოლიტიკური ინტერესი
თუკი ის ინტელექტუალური დაცვის მექანიზმით არ არის უზ-
რუნველყოფილი და ფილოსოფიური გააზრების წნეხში არ
არის გატარებული.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ წამყვან დემოკრატიულ ქვეყ-
ნებს უფრო და უფრო ხშირად უხდებათ მტრისა და მოყვარის
დისპოზიციიდან გადაწყვეტილებათა მიღება. საქართველოც
აკეთებს თავის ისტორიულ არჩევანს პოლიტიკურ სცენაზე. იგი
აშშ-ს მოკავშირედ მოიაზრებს თავისთავს. მაგრამ რამდენად
არის ეს არჩევანი ინტელექტუალური დაცვის მექანიზმით უზ-
რუნველყოფილი?

ამგვარად გამოიკვეთა ჩვენი ინტერესების ერთობლიობა და საკითხი ასე დაისვა – რა უნდა არჩეულიყო ისეთ საწყისად, რაც ინტელექტუალურად უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ინტერესებს. ჩვენი მხრიდან არჩევანი ამერიკელ “ფედერალისტთა” ნააზრევზე შეჩერდა. იგი მრავალმხრივ პასუხობდა ქართულ პოლიტიკურ ინტერესს. ჰამილტონის, ჯეის და მედისონის ბრწყინვალეუ ესეების თარგმნა და გააზრება საშეალებას მოგვცემდა ქართული საზოგადოებისათვის გაგვეცნო ამერიკული აზროვნების წესი და ის სულიერი საფუძვლები, რომლებსაც ეს დიდი სახელმწიფო ემყარება. ამგვარად, გადავწყვიტეთ ერთობლივი ქართულ-ამერიკული კითხვების ორგანიზება, რომლის პირველი შედეგი *ფედერალისტური წერილების თარგმნა, კომენტირება და გამოცემა* იქნებოდა.

ჩვენს მიერ განხორციელებული პრაქტიკა თავისი არსით გულისხმობდა მიღებული შედეგების იმპლამენტაციას უნივერსიტეტების სასწავლო პროცესებში.

ამ მხრივ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში პირველი ნაბიჯი გადაიდგა, სადაც დაარსდა ლიბერალური განათლების ხელშემწყობი მუდმივმოქმედი სემინარი, რომელზეც პოლიტიკური აზროვნების კლასიკური ტექსტები იკითხება, რომელთა შორის ერთერთი უპირველესთაგანი სწორედ “ფედერალისტური წერილებია”. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ფილოსოფიის მოდული, რომლის კურსკულუმში შედგენილია ზემოთხსენებული პრაქტიკის შედეგთა გათვალისწინებით. აღნიშვნის ღირსია ლიბერალური განათლების მუდმივმოქმედი სტუდენტური სემინარის წევრთა – ო. ქანთარიას, ნ. ჩხეიძის, დ. ნორაკიას, ს. გერმანოზიშვილის, ს. ფოჩხუას მ. აზარაშვილის, ნ. ჩხაიძეს – აქტიური მონაწილეობა ფედერალისტური წერილების განხილვასა და ათი მათგანის გამოსაცემად მომზადებაში.

Challenge to Dialogue

This project, the first stage of which implies translation and commentary on the *Federalist Papers*, has its own adventure. It begins so: The Georgian Philosophical Association troubled for shortage of intellectual security mechanisms of the political discussions and resolutions of the Georgian society and thought how to fill up this gap.

With this aim we began reading Plato's *Politeia* on the Ancient Greece and making its comparative analysis with English, German, French, Latin, Russian and Spanish translations. This endeavor had several purposes: in the first place, it meant reading Plato's *Politeia* in the original and refusing the fixed positions, which had been formed on the basis of research traditions.

In the second it meant, on the basis of the comparative analysis, searching and ascertaining for the terms that would be adequate to Georgian political space; in addition it meant returning to the principles of old Greek thought. This suggests **Challenge to Dialogue** i.e. arguing your own position by unforcible means which must become the way to reach the consensus. Our work has been led by the thought that political life is not the art of intrigue, but it is one of the forms of deep reflections; herewith political interests need to provide intellectually.

At the same time American philosopher Lancelot Fletcher organized in Tbilisi seminar on Plato's *Politeia* in English language. The seminar was aimed to kindle interests in philosophy and return to the origins of deep thought. The participants of the seminar have come to the conclusion that in modern Georgian political dictionary terminology expressing violence prevails. This distorts the space of political communication, and in the long run, the political behavior becomes oriented to violence. But Plato's *Politeia* teaches us how to protect our own position on the bases of dialogue. The commentary of Plato's *Politeia* was based on the works of such authors as Hanh Arendt, Leo Strauss and Allan Bloom and so on.

It's natural that some common interests arose between these two groups which at the beginning worked independently from each other. Our meet-

ings were preconditioned namely by this situation. On those meetings our common interests became clear. The discussions concerned the ways of Georgian and American thought, the role of culture in the development of political thought and democracy. Lancelot Fletcher declared that the denial of the way of cultural life of this country might have fatal results; herewith Georgian culture and tradition may become a kind of base for the development of democracy .

Our position on the whole was expressed as follows: the political situation of up-dated Georgia is very unstable; there is disbalance between the most active and thinking parts of our society; there is a shortage of intellect in the political discussions and responsibility. We believe that the social political situation of today's Georgia is very similar to the situation in which lived American society in Federalists' epoch.

Politicians won't go far from the narrow net of intrigues if the political actions and discussions are not full of intellectual thought; it is impossible to carry out political interest without providing it with intellectual defense field and going through the press of philosophical thought.

After September 11-th leading democratic countries more and more often have to make decisions from enemy-friends disposition. And Georgian people make their own choice on the world political scene. Georgia thinks itself as ally of the USA. But in what extent is this decision provided by the field of intellectual defence?

So, our common interests became clear and the question was raised: what should be such point of departure which would intellectually provide the ally interest of our country. From our point of view **The Federalist Papers** perfectly answer to the interest of Georgian politics. The translation and commentary of the brilliant essays of the American founder fathers would give us the possibility to introduce the American way of life and spiritual basics of this great country to Georgian society.

That's why we decided to hold joint Georgian-American reading of **Federalist Papers** the result of which must be translation, commentary and publishing of this work.

Our practice implied implementation of its results into learning process. In this respect we stopped our choice on Grigol Robakidze University where was have established students seminar for supporting **Liberal Education**. On this seminar students and professors read the classical texts of political thought. Herewith at Grigol Robakidze University module of political philosophy was formed, the curriculum of which is based on the results of the above mentioned practice. Especially must be mentioned active participation of the following students: O. Kantaria, N. Chkheidze, D. Norakia, S. Germanozishvili, S. Pochkhua, M. Azarashvili, N. Chkhaidze in the discussion of **Federalist Papers** and preparation the first ten **Papers** for publishing.

ფედერალისტი №1

**ზოგადი შესავალი
დამოუკიდებელი გაზეთისათვის**

აკვილობნი

ნიუ-იორკის შტატის ხალხს.

რაკილა ცხადლივ გამოსცადეთ არსებული ფედერალური მმართველობის უეარგისობა, სხვა გზა არ არის თუ არა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი კონსტიტუცია განიხილოთ. ეს თემა თვით მეტყველებს თავისსავე მნიშვნელობაზე; თუკი ჩაეუკვირდებით, მაშინ ერთობ საინტერესო ყოფილა სწორედ რომ ჩვენი კავშირის არსებობა, მისი შემადგენელი ნაწილების უსაფრთხოება და კეთილდღეობა, ჩვენი იმპერიის ბედი, მრავალმხრივ რომაა ყველაზე საინტერესო მთელი მსოფლიოსათვის. მრავალგზის მიუნიშნებიან, თითქოსდა ჩვენ ქვეყანას წილად რგებოდეს თავისი ქცევითა და მაგალითით გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი საკითხი: ნამდვილად შესწევთ თუ არა ძალა ადამიანთა საზოგადოებებს, დაამყარონ განსჯასა და არჩევანზე დაფუძნებული ვარგებული მმართველობა, თუ ერთხელ და სამუდამოდ არიან განწირულნი თავიანთი პოლიტიკური აგებულება შემთხვევითობასა და ძალმომრეობას დაუმონონ. თუკი ამ მინიშნებაში არის სიმართლის რაღაც მარცვალი, მაშინ კრიზისი, რომელიც დაგვედგომია, ვინძლო მართლაც ის დრო იყოს, როცა ეს საკითხი უნდა გადაწყდეს; და თუ მცდელობა გაგვიცუდდა, მაშინ ალბათ, დავიმსახურებთ, კაცობრიობას უსაშველო ჭირად ვერაცხებოდეთ. ეს მოსაზრება პატრიოტულ ზრახვებს ფილანთროპიულსაც ზედ ურთავს, ამბაფრებს წუხილს, რასაც ყოველი დარბაისელი და კეთილი ადამიანი უნდა განიცდიდეს ამ ამბის გამო. რაღა აჯობებს, თუკი ჩვენი არჩევანი ჩვენივე ჭეშმარიტი ინტერესთა გონიერულ შეფასებას დაემყარება, თუკი მას არ აამღვრევსა და არ გაამრუდებს ისეთი მოსაზრებები, ხელი რომ არ აქვთ საზოგადო სიკეთესთან. ეს, ალბათ, უფრო მხურვალე სურვილია, ვიდრე ასახდენი მოლოდინი. თქვენს სამსჯავროზე გამოტანილი პროექტი აუარება კერძო ინტერესს ეხება, უამრავ ადგილობრივ დაწესებულებას უცვლის სახეს, მაგრამ იგი არ განიხილავს მისი ღირსებისთვის შეუფერებელ სხვადასხვა თემას, არც იმ შეხედულებებს, გრძნობებსა და წინასწარ რწმენებს, ნაკლებ რომ უწყობენ ხელს ჭეშმარიტების გამჟღავნებას.

The FEDERALIST NO. 1

General Introduction

For the Independent Journal

HAMILTON

To the People of the State of New York:

AFTER an unequivocal experience of the inefficiency of the subsisting federal government, you are called upon to deliberate on a new Constitution for the United States of America. The subject speaks its own importance: comprehending in its consequences nothing less than the existence of the UNION, the safety and welfare of the parts of which it is composed, the fate of an empire in many respects the most interesting in the world. It has been frequently remarked that it seems to have been reserved to the people of this country, by their conduct and example, to decide the important question, whether societies of men are really capable or not of establishing good government from reflection and choice, or whether they are forever destined to depend for their political constitutions on accident and force. If there be any truth in the remark, the crisis at which we are arrived may with propriety be regarded as the era in which that decision is to be made; and a wrong election of the part we shall act may, in this view, deserve to be considered as the general misfortune of mankind.

This idea will add the inducements of philanthropy to those of patriotism, to heighten the solicitude which all considerate and good men must feel for the event. Happy will it be if our choice should be directed by a judicious estimate of our true interests, unperplexed and unbiased by considerations not connected with the public good. But this is a thing more ardently to be wished than seriously to be expected. The plan offered to our deliberations affects too many particular interests, innovates upon too many local institutions, not to involve in its discussion a variety of objects foreign to its merits, and of views, passions and prejudices little favorable to the discovery of truth.

Among the most formidable of the obstacles which the new Constitution will have to encounter may readily be distinguished the obvious interest of a certain class of men in every State to resist all changes which may hazard a diminution of the power, emolument, and consequence of the offices they hold under the State-establishments -

საზარელ დაბრკოლებათა შორის, რომელებსაც ახალი კონსტიტუცია გადაეყრება, იოლად შეიცნობა თითოეულ შტატში იმ ხალხის აშკარა ინტერესი, წინააღმდეგი რომაა ყოველგვარი ცვალებადობისა, რაკი უფროსის ძალაუფლების, ჯამაგირის და სარგებლის შეკვეცას, რასაც მას შტატის დაწესებულებაში სამსახური აძლევს. ასეთივე დაბრკოლებაა უკუღმართი ამბიციის ადამიანთა იმ ჯგუფისა, რომელსაც ქვეყნის არეულობით ხელის მოთბობა ეოცნებება ანდა უფრო წარმტაც პერსპექტივას ელოლიავენ; ხომ უფრო ადვილია ხელი გამოკრა კარგ თანამდებობას მრავალ შემადგენელ კონფედერაციად დანაწევრებული იმპერიის ადგილობრივ მთაერობებში, ვიდრე ერთს – ცენტრალურ ხელისუფლებაში.

ამგვარი შენიშვნებით თავს არ შეგაწყენთ. კარგად ვიცი, უსინდისობა იქნებოდა, განურჩევლად ყველა ადამიანი (მარტოოდენ იმიტომ, რომ მათი თანამდებობრივი მდგომარეობა ბადებს ეჭვს) მიკერძოებულ ანდა პატიემოყვარე ოპოზიციად მიგვეჩინა. პატიოსნება გვეაღდებულეებს ვივარაუდოთ, რომ მათაც წრფელი ზრახვები ამოძრავებთ. შეუძლებელია ეჭვს იწვევდეს ის, რომ დაპირისპირება, რომელიც უკვე გამოქმდენდა ანდა რამაც აწი უნდა იჩინოს თავი, წესიერებით თუ არა, კეთილმოსურნეობით მაინც სასრდოობს; ესაა გონების წრფელი ცდომილება; გონებისა, რომლისთვისაც გზა აურევია წინასწარაკეთილებულ შურსა და შიშს. სინამდვილეში ეგზომ აუარება და ძლევა-მოსილია მიკერძოებული მსჯელობის მიზეზები, რომ ბრძენი და კეთილი ადამიანებიც კი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მართებულადაც წყვეტდნენ და უმართებულადაც. ჯეროვნად თუ ჩაეუკვირდებით, ეს გარემოება ზომიერების ნიმუშად უნდა დაისახონ იმათ, ვისაც ყოველი დავისას სიმართლე თავისკენ დაუგულეებია. ამ მხრივ სიფრთხილის კიდევ ერთი საფუძველია შემდეგი დაკვირვება: შეუძლებელია, ყოველთვის დარწმუნებულნი ვიყოთ იმაში, რომ ჭეშმარიტების დამცველს უფრო წმინდა ზრახვა ამოძრავებს, ვიდრე მის მოწინააღმდეგეს. ამბიციის, სიხარბე, პირადი მტრობა, პარტიული დაპირისპირება და ბევრიც სხვა, უფრო სათაკილო მოტივი იმათზეც მოქმედებს, ვინც საკითხს მართებულად წყვეტს და იმათზეც, ვინაც ამგვარ გადაწყვეტილებას უპირისპირდება. თავშეკაების ამგვარი მოტივები რომც არ არსებულებიყო, მაინც არაფერი იქნებოდა უფრო არაგონიერული, ვიდრე ურთიერთუნდობლობის ის სულისკვეთება, რომელიც

and the perverted ambition of another class of men, who will either hope to aggrandize themselves by the confusions of their country, or will flatter themselves with fairer prospects of elevation from the subdivision of the empire into several partial confederacies than from its union under one government. It is not, however, my design to dwell upon observations of this nature. I am well aware that it would be disingenuous to resolve indiscriminately the opposition of any set of men (merely because their situations might subject them to suspicion) into interested or ambitious views. Candor will oblige us to admit that even such men may be actuated by upright intentions; and it cannot be doubted that much of the opposition which has made its appearance, or may hereafter make its appearance, will spring from sources, blameless at least, if not respectable, the honest errors of minds led astray by preconceived jealousies and fears. So numerous indeed and so powerful are the causes which serve to give a false bias to the judgment, that we, upon many occasions, see wise and good men on the wrong as well as on the right side of questions of the first magnitude to society. This circumstance, if duly attended to, would furnish a lesson of moderation to those who are ever so much persuaded of their being in the right in any controversy. And a further reason for caution, in this respect, might be drawn from the reflection that we are not always sure that those who advocate the truth are influenced by purer principles than their antagonists. Ambition, avarice, personal animosity, party opposition, and many other motives not more laudable than these, are apt to operate as well upon those who support as those who oppose the right side of a question. Were there not even these inducements to moderation, nothing could be more ill-judged than that intolerant spirit which has, at all times, characterized political parties. For in politics, as in religion, it is equally absurd to aim at making proselytes by fire and sword. Heresies in either can rarely be cured by persecution.

And yet, however just these sentiments will be allowed to be, we have already sufficient indications that it will happen in this as in all former cases of great national discussion. A torrent of angry and malignant passions will be let loose. To judge from the conduct of the opposite parties, we shall be led to conclude that they will mutually hope to evince the justness of their opinions, and to increase the number of their converts by the loudness of their declamations and the bitterness of their invectives. An enlightened zeal for the energy and efficiency of government will be stigmatized as the offspring of a temper fond of despotic power and hostile to the principles of liberty. An over-scrupulous jealousy of danger to the rights of the people,

ოღითგანვე ახასიათებდათ პოლიტიკურ პარტიებს. ადამიანების მოქცევა ცეცხლითა და მახვილით პოლიტიკაშიც სისულელეა და რელიგიაშიც; დენა და შევიწროვება ძნელად თუ გამოდგება ერესისგან განკურნების საშუალებად.

მიუხედავად იმისა სამართლიანია თუ არა, ვითვალისწინებდეთ ამგვარ აზრებს, მაინც საკმაო ნიშანი გვაქვს იმისა, რომ ასეთი რამ ყოველი ნაციონალური პაექრობისას ხდებოდა და ახლაც ასე მოხდება. გადმოინთხევა ბოღმისა და გესლის წამლუკავი ნაკადი. ურთიერთდაპირისპირებული პარტიების ქცევიდან შეიძლება დავასკენათ, რომ თითოეულ მათგანს ეიმედება, ქვეყანას მოსდონ თავიანთი შეხედულებების სამართლიანობა; მოიმრავლონ მომხრეები გამაყრუებელი განცხადებებითა და საშინელი ლანძღვა-გინებით; ყბად აიღონ განსწავლული თავგამოდება ენერგიული და ეფექტური მმართველობისადმი; აქაოდა, იგი ეს თავგამოდება იმ სნემ შობა, დესპოტურსა და თავისუფლების პრინციპებისადმი მტრულ ხელისუფლებას რომ ეტრფისო. გადამეტებული დაეჭვება იმაში, ვაითუ საფრთხეში იყოს ადამიანის უფლებებიო, გონების ცდომილება უფროა, ვიდრე გულისა; იგი წარმოგვიდგება, როგორც უბრალო თვალთმაქცობა და ოინი, როგორც სატყუარა, რათა საზოგადო სიკეთის სანაცვლოდ კოპულარობა მოიხვეუკო. ერთი მხრივ, დაივიწყებენ, რომ ეჭვი ყოველთვის მხოლოდ სიმართლეს ახლავს თან და რომ თავისუფლებისადმი ამაღლებულ სწრაფვას ადვილად დარევს ხოლმე ხელს უნდობლობისა და გაუტანლობის სული. მეორე მხრივ, ისიც დაივიწყებას მიეცემა, რომ ძღვევამოსილი მმართველობა აუცილებელია სწორედ რომ თავისუფლების უსაფრთხოებისათვის; რომ ჯანსაღმა და განსწავლულმა მსჯელობამ შეუძლებელია დააშორიშოროს მათი ინტერესები; და რომ სახიფათო ამბიციები ხალხის უფლებებისადმი თავგამოდების მიმზიდველი ნიღბის უკან არის მიმალული და არა მათდამი თავანკარა გულმოდგინეობაში, რასაც მხოლოდ იმის გამო ვერ ჰგუობენ, რომ მკაცრსა და ენერგიულ მმართველობას ესწრაფვის. ისტორია გვასწავლის, რომ პირველი უფრო უტყუარი გზაა დესპოტიზმისაკენ, ვიდრე მეორე; რომ იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ რესპუბლიკათა თავისუფლებებს, თავიანთ კარიერას ხალხთან პირმოთნე კურკურით იწყებდნენ. თავიდან დემაგოგობდნენ, ბოლოს კი ტირანებად იქცეოდნენ.

which is more commonly the fault of the head than of the heart, will be represented as mere pretense and artifice, the stale bait for popularity at the expense of the public good. It will be forgotten, on the one hand, that jealousy is the usual concomitant of love, and that the noble enthusiasm of liberty is apt to be infected with a spirit of narrow and illiberal distrust. On the other hand, it will be equally forgotten that the vigor of government is essential to the security of liberty; that, in the contemplation of a sound and well-informed judgment, their interest can never be separated; and that a dangerous ambition more often lurks behind the specious mask of zeal for the rights of the people than under the forbidden appearance of zeal for the firmness and efficiency of government. History will teach us that the former has been found a much more certain road to the introduction of despotism than the latter, and that of those men who have overturned the liberties of republics, the greatest number have begun their career by paying an obsequious court to the people; commencing demagogues, and ending tyrants.

In the course of the preceding observations, I have had an eye, my fellow-citizens, to putting you upon your guard against all attempts, from whatever quarter, to influence your decision in a matter of the utmost moment to your welfare, by any impressions other than those which may result from the evidence of truth. You will, no doubt, at the same time, have collected from the general scope of them, that they proceed from a source not unfriendly to the new Constitution. Yes, my countrymen, I own to you that, after having given it an attentive consideration, I am clearly of opinion it is your interest to adopt it. I am convinced that this is the safest course for your liberty, your dignity, and your happiness. I affect not reserves which I do not feel. I will not amuse you with an appearance of deliberation when I have decided. I frankly acknowledge to you my convictions, and I will freely lay before you the reasons on which they are founded. The consciousness of good intentions disdains ambiguity. I shall not, however, multiply professions on this head. My motives must remain in the depository of my own breast. My arguments will be open to all, and may be judged of by all. They shall at least be offered in a spirit which will not disgrace the cause of truth.

I propose, in a series of papers, to discuss the following interesting particulars:

თანამოქალაქენო! წინასწარი შენიშვნებისას გულისყური ერთ-
თავად იქითკენ მქონდა, რომ თქვენი კეთილდღეობისათვის ეგ-
ზომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენა
არ მოეხდინა სხვა რამ შთაბეჭდილებას, თუ არა იმას, რაც
ჭეშმარიტების სიცხადიდან მომდინარეობს. უეჭველია, მათი
ზოგადი საწიერიდან დაასკენიდით, რომ ისინი ახალი კონსტი-
ტუციისადმი კეთილგანწყობით გამსჭვალულან. დიახაც, ჩემო
თანამემამულენო! უნდა ვაღიარო, პროექტის საგულდაგულო
აწონ-დაწონვის მერე ნათლად ვხედავ, რომ თქვენთვის სა-
სარგებლოა მისი მიღება. დარწმუნებული ვარ, იგი ყველაზე
საიმედო საშუალებაა თქვენი თავისუფლების, ღირსებისა და
ბედნიერების უზრუნველსაყოფად. თავის მოკატუნება ვერაფერი
საკადრისია. ფიქრად არა მაქვს, თქვენს გასართობად წარ-
მოვადგინო ჩემი მსჯელობები, რომელთა საფუძველზე მივიღე
გადაწყვეტილება. გულწრფელად გიზიარებთ ჩემს შეხედულებ-
ებს და უშურველად გადმოგიშლით იმ საფუძველებს, რომელ-
თაც ისინი ემყარება. შეგნებული და კეთილი ზრახვები ვერ
ჰგუობენ ორაზროვნებას. ამ საკითხზე ჩემს გრძნობათა გამხე-
ლას არ ვაპირებ. დაე! ისინი დარჩნენ ჩემი გულის საცავში.
არგუმენტაცია კი საჯაროდ გამომაქვს. ჯერარს, იგი ყველამ
განსაჯოს. ერთი რამ კია, ჩემს მსჯელობათა სულისკვეთება
აგდებით არ უყურებს ჭეშმარიტებას.
განზრახული მაქვს, სტატიათა სერიაში, ცალ-ცალკე გავარჩიო
შემდეგი საინტერესო საკითხები:

კავშირის სარგებლიანობა თქვენი კეთილდღეობისათვის;
ახლანდელი კონფედერაციის არასაკმარისობა საიმისოდ, რომ
შენარჩუნებული იქნას ეს კავშირი;
აუცილებლობა ისეთი ენერგიული მმართველობისა მაინც, რაც
ამ მიზნს მიგვალწეინებს;
შემოთავაზებული კონსტიტუციის შესაბამისობა რესპუბლიკუ-
რი მმართველობის ჭეშმარიტ პრინციპებთან;

მისი მსგავსება თქვენი მშობლიური შტატების კონსტიტუციებ-
თან; და ბოლოს, დამატებითი დარწმუნებულობა იმაში, რომ
შენარჩუნებული იქნება მმართველობის ამ ფორმის თავისებუ-
ლება თავისუფლებისა და საკუთრების უზრუნველსაყოფად.

- THE UTILITY OF THE UNION TO YOUR POLITICAL PROSPERITY
- THE INSUFFICIENCY OF THE PRESENT CONFEDERATION TO PRESERVE THAT UNION
- THE NECESSITY OF A GOVERNMENT AT LEAST EQUALLY ENERGETIC WITH THE ONE PROPOSED, TO THE ATTAINMENT OF THIS OBJECT THE CONFORMITY OF THE PROPOSED CONSTITUTION TO THE TRUE PRINCIPLES OF REPUBLICAN GOVERNMENT
- ITS ANALOGY TO YOUR OWN STATE CONSTITUTION
- and lastly, THE ADDITIONAL SECURITY WHICH ITS ADOPTION WILL AFFORD TO THE PRESERVATION OF THAT SPECIES OF GOVERNMENT, TO LIBERTY, AND TO PROPERTY.

პროექტის განხილვისას შეეცდები, დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცე ყველა შეპასუხებას, რომელიც კი წამოიტრება და რამდენადმე მაინც იპყრობს თქვენს ყურადღებას.

იქნებ ზედმეტიც კი იყოს დასაბუთება იმისა, რომ სასარგებლოა ამ კაეშირის შენარჩუნება, რაკი ეს აზრი ღრმად გაჯდომია გულში ადამიანთა უმრავლესობას თითოეულ შტატში; ერთი შეხედვით, მას არც კი უნდა ჰქაყედეს მოწინააღმდეგე. მაგრამ ფაქტია, რომ ახალი კონსტიტუციის ავისმოსურნეთა წრეებში გაუთაყებლად ჩურჩულებენ იმის თაობაზე ცამეტი შტატი ძალიან დიდი სიყრცე ხომ არაა საიმისოდ, რათა ისინი რომელსამე საერთო სისტემაში ჩაყატიოთ; და რომ აუცილებელია, ერთი მთელის განსხვაყებული ნაწილებისგან შეიქმნას ცალ-ცალკე კონფედერაციებიო; როგორც ჩანს, ეს დოქტრინა ნაბიჯ-ნაბიჯ გავრცელდება, ვიდრე საყმარის მომხრეებსა, და მერე, საყოყელთაო მხარდაჭერას მოიპოყებდეს. იმათთვის, ვისი ხედვის პორიზონტიც ფართოა, არ არსებობს ახალი კონსტიტუციის უფრო აშყარა ალტერნატივა, ვიდრე ეს ჩვენი კაეშირის დანაწეერებაა. ამიტომაც უპრიანია, თავდაპირველად გამოვიყელიოთ კაეშირის უპირატესობანი; გაეისიგრძეგანოთ ის უბედურებანი და მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც თიოეულ შტატს დაემუქრება, თუკი კაეშირი დაიშლება. ჩემი მომდენო სიტყვის საგანი სწორედ ეს არის.

თუკი გულდაგულ გავადენებოთ თვალს, იგივე იდეა გამოთქმულია ახალი კონსტიტუციის საწინააღმდეგო ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში.

პუბლიკა

In the progress of this discussion I shall endeavor to give a satisfactory answer to all the objections which shall have made their appearance, that may seem to have any claim to your attention.

It may perhaps be thought superfluous to offer arguments to prove the utility of the UNION, a point, no doubt, deeply engraved on the hearts of the great body of the people in every State. and one, which it may be imagined, has no adversaries. But the fact is, that we already hear it whispered in the private circles of those who oppose the new Constitution, that the thirteen States are of too great extent for any general system, and that we must of necessity resort to separate confederacies of distinct portions of the whole.¹ This doctrine will, in all probability, be gradually propagated, till it has votaries enough to countenance an open avowal of it. For nothing can be more evident, to those who are able to take an enlarged view of the subject, than the alternative of an adoption of the new Constitution or a dismemberment of the Union. It will therefore be of use to begin by examining the advantages of that Union, the certain evils, and the probable dangers, to which every State will be exposed from its dissolution. This shall accordingly constitute the subject of my next address.

PUBLIUS

¹ The same idea, tracing the arguments to their consequences, is held out in several of the late publications against the new Constitution.

შედეგალისპი №2

ქვეყნის გარედან შეიარაღებული თავდასხმისა და პოლიტიკური ზემოქმედების საფრთხეთა თაობაზე.
დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჯეი

ნიუ-იორკის შტატის ხალხს.

ამერიკის ხალხი თუკი ჩაუკვირდება იმ საკითხს, რისი გადაწყვეტაც ჯერარს – საკითხს, რომელიც იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს იმ საკითხთა შორის, რომელთაც მისი ყურადღება ოდესმე დაუპყრია – მაშინ ნათელი გახდება თუ რაოდენ მართებულია, რომ იგი ამომწურავად და ფრიადი სერიოზულობით გადაწყდეს.

არაფერია იმაზე უფრო უტყუარი, ვიდრე ის, რომ ადამიანებს აუცილებლად ესაჭიროებათ მმართველობა; ასევე უდაოა ისიც, რომ სადაც და როგორც უნდა იყოს იგი დაფუძნებული, ხალხმა მას უნდა ჩააბაროს თავისი ბუნებრივი უფლებების ნაწილი, რათა მთავრობა აუცილებელი ძალაუფლებით აღიჭურვოს. ამიტომაც, უთუოდ ღირს დაფიქრებად ის, თუ რა უფრო ხელსაყრელია ამერიკის ხალხისათვის; თუ რა არის მისი ინტერესი; იყოს ფედერალურ მმართველობას დაქვემდებარებული ერთი ნაცია თუ დაცალკეეებული კონფედერაციები, რომელთაგან თითოეული იმავე უფლებით იქნება აღჭურვილი, რომლის მინიჭებაც პროექტით მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მთავრობისთვისაა ნაგარაუდები.

დღევანდლამდე ეტკვს არ იწვევდა და ყველა იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ ამერიკის ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო კავშირის ურყევ სიმტკიცეზე, ამას შენატროდნენ, ამაზე ღოცულობდნენ და საამისოდ იღვწოდნენ ჩვენი რჩეული და უტკვიანესი თანამემამულენი. სადღეისოდ კი ქვეყნიერებას მოვლინებიან პოლიტიკოსები, რომლებიც დაბეჯითებით ირწმუნებიან, ასეთი მოსაზრება მცდრიაო; უსაფრთხოებასა და ბედნიერებას შეკაუშირებაში კი არ უნდა ვეძიებდეთ, არამედ ისინი უნდა გვეგულებოდეს ერთიანი სახელმწიფოს დაქუცმაცებაში კონფედერაციებად თუ სუვერენულ წარმონაქმნებადო. როგორ ექსცენტრულადაც უნდა გვეჩვენოს ეს დოქტრინა, მას ჰყავს თავისი ადვოკატები.

The FEDERALIST NO. 2

Concerning Dangers from Foreign Force and Influence
For the *Independent Journal*.

JAY

To the People of the State of New York:

WHEN the people of America reflect that they are now called upon to decide a question, which, in its consequences, must prove one of the most important that ever engaged their attention, the propriety of their taking a very comprehensive, as well as a very serious, view of it, will be evident.

Nothing is more certain than the indispensable necessity of government, and it is equally undeniable, that whenever and however it is instituted, the people must cede to it some of their natural rights in order to vest it with requisite powers. It is well worthy of consideration therefore, whether it would conduce more to the interest of the people of America that they should, to all general purposes, be one nation, under one federal government, or that they should divide themselves into separate confederacies, and give to the head of each the same kind of powers which they are advised to place in one national government.

It has until lately been a received and uncontradicted opinion that the prosperity of the people of America depended on their continuing firmly united, and the wishes, prayers, and efforts of our best and wisest citizens have been constantly directed to that object. But politicians now appear, who insist that this opinion is erroneous, and that instead of looking for safety and happiness in union, we ought to seek it in a division of the States into distinct confederacies or sovereignties. However extraordinary this new doctrine may appear, it nevertheless has its advocates; and certain characters who were much opposed to it formerly, are at present of the number. Whatever may be the arguments or inducements which have wrought this change in the sentiments and declarations of these gentlemen, it certainly would not be wise in the people at large to adopt these new political tenets without being fully convinced that they are founded in truth and sound policy.

ზოგიერთი პატივცემული გვამი ადრე არ იზიარებდა, მაგრამ ახლა ემხრობა ამ აზრს. როგორც უნდა იყოს ის არგუმენტები და მოტივები, რომლებმაც ამ ჯენტლმენებს აზრი და განაცხადი შეაცვლევინა, მაინც არ იქნებოდა გონივრული, მთელ ხალხს გაეზიარებინა ეს ახალი პოლიტიკური პრინციპი. თუკი სრულად არ იქნებოდა დარწმუნებული იმაში, რომ ის ჭეშმარიტებასა და ჯანსაღ პოლიტიკას ემყარება.

ყოველთვის სიამოვნების ჟრუნტელი მივლის ხოლმე, როცა ვფიქრობ, რომ დამოუკიდებელი ამერიკა როდი იყო დაცალცალეული და დაშორიშორებული ტერიტორიების უბრალო ჯამი; არამედ, ეს ერთიანი, ნაყოფიერი და ფართოდგაშლილი ქვეყანა წილად ხედა თავისუფლებისმოყვარულ ჩვენს ვაჟაკებს, რომლებიც თავის დროზე დასავლეთიდან გამოვიდნენ. განგებამ განსაკუთრებული წყალობა მოიღო ამ ქვეყნისადმი. დააფერთხა მას მრავალფეროვანი ნიადაგი და წიაღისეული. მის მკვიდრთ სალხენად და სახეიროდ უწყალობა აურაცხელი მოჩუხჩუხე წყარო და ნაკადული. სანაეიგაციო წყლების წყება ერთგვარი ყელსაბამივით შებმია მის ნაპირებს, თითქოსდა ერთმანეთთან ჰკრავსო მათ; ხოლო ქვეყნის შიგნით ერთმანეთისაგან ხელდა-სამხარ დაშორებაზე მიიზლაზნება მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი მდინარეები – უმოკლესი გზები, რომლებიც აიოლებენ იმას, რომ ხალხმა ერთმანეთს ძმური დახმარების ხელი გაუწოდოს, ურთიერთშორის ტვირთბრუნვა და საქონელგაცვლა აწარმოოს.

იმავე სიამოვნების ჟრუნტელს დაუვლია ხოლმე, როცა შემინიშნავს, რომ განგებამ ეს განუყოფელი ქვეყანა ერთადერთ ხალხს უწყალობა – ხალხს, რომელიც ერთი და იმავე წინაპრის შთამომავალია; ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს; ერთსა და იმავე სარწმუნოებას აღიარებს; ერთგულია მმართველობის ერთი და იმავე პრინციპებისა. ხალხს, რომელიც ძალზე ჰგავს ერთმანეთს ზნითა და ჩვეულებით. ხალხს, რომელსაც გაერთიანებული რჩევით, ჯარებითა და ძალისხმევით მრავალი ხნის მანძილზე ერთმანეთის მხარდამხარ უომია სისხლისმღვრელ ომებში; რის შედეგადაც მოუპოვებია საყოველთაო თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

It has often given me pleasure to observe that independent America was not composed of detached and distant territories, but that one connected, fertile, widespreading country was the portion of our western sons of liberty. Providence has in a particular manner blessed it with a variety of soils and productions, and watered it with innumerable streams, for the delight and accommodation of its inhabitants. A succession of navigable waters forms a kind of chain round its borders, as if to bind it together; while the most noble rivers in the world, running at convenient distances, present them with highways for the easy communication of friendly aids, and the mutual transportation and exchange of their various commodities.

With equal pleasure I have as often taken notice that Providence has been pleased to give this one connected country to one united people, people descended from the same ancestors, speaking the same language, professing the same religion, attached to the same principles of government, very similar in their manners and customs, and who, by their joint counsels, arms, and efforts, fighting side by side throughout a long and bloody war, have nobly established general liberty and independence.

This country and this people seem to have been made for each other, and it appears as if it was the design of Providence, that an inheritance so proper and convenient for a band of brethren, united to each other by the strongest ties, should never be split into a number of unsocial, jealous, and alien sovereignties.

ეს ქვეყანა და ეს ხალხი, თითქოსდა, ერთმანეთისთვის გაუჩენია ღმერთს; თითქოსდა განგებას ენებებინოს, რომ ჭეშმარიტი ძმობით აღბეჭდილი ეს მემკვიდრეობა არასოდეს გაიხლიჩოს დაქსაქსულ, ერთმანეთის მოშურნე და ერთმანეთისადმი მტრულ სუვერენულ წარმონაქმნებად.

ყოველი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მრწამსის ადამიანს დღევანდლამდე უფრო ამგვარი აზრები ჰქონდა. საერთოსა და მთავარში ჩვენ ერთ ხალხად ჩამოეყალიბდით; თითოეული ჩვენი მოქალაქე, სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ერთი და იმავე ეროვნული უფლებით, პრივილეგიითა და მფარველობით სარგებლობდა. ჩვენი, როგორც ერის ერთიანობა ყველაფერში ელინდებოდა. მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს ეუზადებოდით თუ მასთან ომში ვებმებოდით; საერთო მტერზე ვიმარჯვებდით თუ სხვადასხვა ალიანსში შევდიოდით, მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით თუ ხელშეკრულებებს ვდებდით.

რაკი ხალხს მტკიცედ სწამდა, რომ კავშირი ძალზე ფასეულია და სასიკეთო, ამიტომ მის შესანარჩუნებლად და უკედლესაყოფად ადრევე ჩამოაყალიბა ერთიანი ფედერალური მთავრობა. იგი თითქმის ჩვენი ხალხის მიერ პოლიტიკური არსებობის მოპოვებისთანავე დაფუძნდა. უფრო მეტიც, იგი იმ დროს დაწესდა, როს ცეცხლის ენები ტკაცანით ნთქაედა მათს საცხოვრისებს, როს ურიცხვი მათი თანამოქმე სისხლისაგან იცლებოდა, როს ომი და სასოწარკვეთა სპობდა მშვიდი მოფიქრებისა და აღუშფოთველი აწონ-დაწონვის ყოველგვარ საშუალებას. რაც ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს ხოლმე თავისუფალი ხალხის მიერ ბრძენი და გაწონასწორებული ხელისუფლების ჩამოყალიბებას. ბუნებრივია, რომ იმ ჟამთა სიავეში შექმნილი მმართველობა ვერაფერი შეილი იქნებოდა და ვერ უპასუხებდა მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენმა გონიერმა ხალხმა შეიგნო და შეინანა ეს ნაკლოვანებანი. ურთიერთკავშირი ამ ხალხს მათსავე თავისუფლებაზე ნაკლებ როდი უყვარს. ამიტომაც ჩასწვდა კარსმომდგარ საფრთხეს, რომელიც ჯერ კავშირს ემუქრება და მერელა – თავისუფლებას. რაკი დარწმუნდა, რომ კავშირისა და თავისუფლების ყოველისმომცველი უსაფრთხოების საწინდარი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ბრძნულად გამართული

Similar sentiments have hitherto prevailed among all orders and denominations of men among us. To all general purposes we have uniformly been one people each individual citizen everywhere enjoying the same national rights, privileges, and protection. As a nation we have made peace and war; as a nation we have vanquished our common enemies; as a nation we have formed alliances, and made treaties, and entered into various compacts and conventions with foreign states.

A strong sense of the value and blessings of union induced the people, at a very early period, to institute a federal government to preserve and perpetuate it. They formed it almost as soon as they had a political existence; nay, at a time when their habitations were in flames, when many of their citizens were bleeding, and when the progress of hostility and desolation left little room for those calm and mature inquiries and reflections which must ever precede the formation of a wise and wellbalanced government for a free people. It is not to be wondered at, that a government instituted in times so inauspicious, should on experiment be found greatly deficient and inadequate to the purpose it was intended to answer.

This intelligent people perceived and regretted these defects. Still continuing no less attached to union than enamored of liberty, they observed the danger which immediately threatened the former and more remotely the latter; and being persuaded that ample security for both could only be found in a national government more wisely framed, they as with one voice, convened the late convention at Philadelphia, to take that important subject under consideration.

This convention composed of men who possessed the confidence of the people, and many of whom had become highly distinguished by their patriotism, virtue and wisdom, in times which tried the minds and hearts of men,

ნაციონალური მმართველობა, ხალხმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, ფილადელფიაში მოეწვია ამასწინანდელი კონვენტი, რომელიც ამ საჭირობოროტო საკითხს განიხილავდა.

კონვენტის წევრებად ისეთი ადამიანები აირჩიეს, რომლებიც ხალხის ნდობით სარგებლობდნენ. მათი უმრავლესობის გონება და გული ომიანობის უმძიმესმა განსაცდელმა გამოსცადა. მათ ბრძოლის ველზე დაამტკიცეს თავიანთი ზნემაღალი პატრიოტობა, სიქველუ და სიბრძნე. მშვიდობიანობის აღუშფოთველ უამს სხვა რამ საფიქრალთაგან განრიდებულმა ამ ღირსეულმა კაცებმა მრავალი თვე განლიეს გულდამშვიდებულსა და აუზღერეველ ბჭობაში. მათ არც ხელისუფლების შიში კქონიათ და არც სხვა რამ გრძნობას წარუტაცნია მათი გონება თვინიერ სამშობლოს სიყვარულისა. და აი, შეადგინეს და ხალხის სამსჯავროზე გამოიტანეს პროექტი, როგორც ნაყოფი მათი შეერთებული და ფრიადი ერთსულოვნებით აღბეჭდილი მიზანდასახულობისა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ პროექტს თავს კი არავინ გახვევთ, არამედ მხოლოდ გთავაზობენ. მაგრამ გთავაზობენ არა იმიტომ, რომ ბრძად მოიწონოთ ანდა ბრძადე დაიწუნოთ, არამედ იმიტომ, რომ იმგვარი მიუკერძოებლობითა და სიწრფელით განიხილოთ იგი, რასაც ჭეშმარიტად იმსახურებს ეს საგანი თვისის სიზვიადითა და მნიშვნელობით. მაგრამ (როგორც წინა წერილში აღინიშნა) საკითხის ამგვარი განხილვა და გამოკვლევა ალბათ ოცნებაში უფროა შესაძლებელი, ვიდრე სინამდვილეში. ძველი გამოცდილება გვასწავლის, რომ ზედმეტი გულუბრყვილობით არ ვეკიდებოდეთ ამგვარ იმედებს. ჯერ კიდევ არ მისცემია დაეიწყებას ის ამბავი, რომ კარს მომდგარი საფრთხის საფუძვლიანმა გააზრებამ აიძულა ამერიკის ხალხი, 1774 წელს მოეწვია ღირსსახსოვარი კონგრესი. ამ ორგანიზაციამ რამდენიმე ღონისძიება შესთავაზა თავის ამომრჩეველს. მოვლენებმა აჩვენეს, რომ მიღებული ზომები ბრძნული იყო. დღემდე ისიც ცოცხლად შემოუნახავს მეხსიერებას, რომ ყოველკვირეულ გაზეთებში მაშინვე დატრიალდა სწორედ ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ მიმართული კამფლეტებისა და კრიტიკის კორიანტელი; კერძო ინტერესებს გადაგებული სახელმწიფო მოხელეები, ის თანამდებობის პირები, რომლებიც მართებულად ვერ აფასებდნენ შედეგებს ანდა ადრინდელი

undertook the arduous task. In the mild season of peace, with minds unoccupied by other subjects, they passed many months in cool, uninterrupted, and daily consultation; and finally, without having been awed by power, or influenced by any passions except love for their country, they presented and recommended to the people the plan produced by their joint and very unanimous councils.

Admit, for so is the fact, that this plan is only RECOMMENDED, not imposed, yet let it be remembered that it is neither recommended to BLIND approbation, nor to BLIND reprobation; but to that sedate and candid consideration which the magnitude and importance of the subject demand, and which it certainly ought to receive. But this (as was remarked in the foregoing number of this paper) is more to be wished than expected, that it may be so considered and examined. Experience on a former occasion teaches us not to be too sanguine in such hopes. It is not yet forgotten that well-grounded apprehensions of imminent danger induced the people of America to form the memorable Congress of 1774. That body recommended certain measures to their constituents, and the event proved their wisdom; yet it is fresh in our memories how soon the press began to teem with pamphlets and weekly papers against those very measures. Not only many of the officers of government, who obeyed the dictates of personal interest, but others, from a mistaken estimate of consequences, or the undue influence of former attachments, or whose ambition aimed at objects which did not correspond with the public good, were indefatigable in their efforts to persuade the people to reject the advice of that patriotic Congress. Many, indeed, were deceived and deluded, but the great majority of the people reasoned and decided judiciously; and happy they are in reflecting that they did so.

გულმოდგინების ხათრით მოქმედებდნენ; ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ისეთ მიზნებს ისახავდნენ, რანიც საზოგადო სიკეთეს არად დაგიდევდათ, დაუცხრომლად ამუნათებდნენ ხალხს, ყურად არ ელოთ პატრიოტი კონგრესის რჩევა, ბევრი მოალორეს და გააბრიყვეს. მაგრამ, უმრავლესობამ ისე სამართლიანად განსაჯა და გადაწყვიტა, რომ ამის გამო ახლა სიამოვნებისაგან ნეტარებენ.

ხალხი დარწმუნდა, რომ კონგრესმენტა უმრავლესობა ბრძენი და გამოცდილი ადამიანები იყვნენ; რომ ქვეყნის სხვადასხვა მხარიდან მოწვეულებმა თავი ერთად მოიყარეს და ერთმანეთს ბევრი სასარგებლო ცნობა გაუზიარეს; რომ თავყრილობის განმავლობაში მათ გამოიძიეს და განიხილეს ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები და მის თაობაზე საფუძვლიანი ცოდნა შეიძინეს; რომ ისინი პიროვნულად იყვნენ დაინტერესებული საზოგადოების თავისუფლებითა და აქედან გამომდინარე მათი მოვალეობა და რაც მთავარია, არანაკლები შინაგანი მისწრაფება იყო, საფუძვლიანი ბჭობის შემდგომ ნამდვილად გონიერული და მიზანშეწონილი ღონისძიებების განხორციელებისათვის დაეჭირათ მხარი.

ამგვარმა და ამის მსგავსმა მოსაზრებებმა დაარწმუნა ხალხი, რომ ფრიადი ნდობა გამოეცხადებინა კონგრესის გონიერებისა და პატიოსნებისათვის. რა ეშმაკობასა და რა ღონეს არ მიმართეს, რათა ხალხს არა და არ მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მან ყურად იღო კონგრესის რჩევა. და თუკი მთელი ხალხი ენდო იმ კონგრესს, რომლის წევრთაგან ცოტა თუ იყო დიდად გამოცდილი ანდა საყოველთაოდ ცნობილი, მაშინ რა თქმა უნდა, უფრო მეტი საფუძველი აქვს მას, ანგარიშს უწევდეს ახლანდელი კონვენტის გონიერებასა და თათბირს; ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ღირსსახსოვარი კონგრესის უგამორჩეულესი წევრები ამჟამინდელ კონვენტშიც შედიან; ისინი პოლიტიკის ბრძმედში ნაწრთობი და დიდად გამოცდილი ხალხია, თავი რომ გამოიჩინეს სამშობლოს სიყვარულითა და სხვა პოლიტიკური სიქველებით; მათ უშურველად გაუზიარეს კონვენტს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება.

They considered that the Congress was composed of many wise and experienced men. That, being convened from different parts of the country, they brought with them and communicated to each other a variety of useful information. That, in the course of the time they passed together in inquiring into and discussing the true interests of their country, they must have acquired very accurate knowledge on that head. That they were individually interested in the public liberty and prosperity, and therefore that it was not less their inclination than their duty to recommend only such measures as, after the most mature deliberation, they really thought prudent and advisable.

These and similar considerations then induced the people to rely greatly on the judgment and integrity of the Congress; and they took their advice, notwithstanding the various arts and endeavors used to deter them from it. But if the people at large had reason to confide in the men of that Congress, few of whom had been fully tried or generally known, still greater reason have they now to respect the judgment and advice of the convention, for it is well known that some of the most distinguished members of that Congress, who have been since tried and justly approved for patriotism and abilities, and who have grown old in acquiring political information, were also members of this convention, and carried into it their accumulated knowledge and experience.

It is worthy of remark that not only the first, but every succeeding Congress, as well as the late convention, have invariably joined with the people in thinking that the prosperity of America depended on its Union. To preserve and perpetuate it was the great object of the people in forming that convention, and it is also the great object of the plan which the convention has advised them to adopt. With what propriety, therefore, or for what good purposes, are attempts at this particular period made by some men to depreciate the importance of the Union? Or why is it suggested that three or four confederacies would be better than one?

ღირსია აღნიშვნისა, რომ პირველიდან მოყოლებული ყველა კონგრესი, ისევე როგორც ამასწინანდელი კონვენტი, ურყევად გამოხატავდა ერთსულოვნებას ხალხის მრწამსთან, რომ ამერიკის კეთილდღეობა დამოკიდებულია მასში შემავალი შტატების კავშირზე; კონვენტის მიერ შემოთავაზებულ პროექტსაც იგივე მიზანი აქვს. რომელი წესიერება და კეთილი ზრახვა ამოძრავებს იმ ადამიანებს, ახლა რომ კავშირის მნიშვნელობას აკნინებენ? რად ირწმუნებიან, სამი თუ ოთხი კონფედერაცია ერთზე უმჯობესიაო? შინაგანად დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი ყოველთვის მართებულად განსჯიდა ამ საკითხს. ის საყოველთაო და უცვლელი ერთგულება, რითაც იგი გამსჭვალული იყო კავშირისადმი დიადი და ღირსშესანიშნავი მიზეზებითაა განპირობებული. მათს გადმოცემასა და განმარტებას მომდევნო წერილებში შეეცდები; მას, ვინაც შემოთავაზებული პროექტის ნაცვლად მხარს უჭერს ცალკეული კონფედერაციების წარმოქმნას, ვინძლო, განეჭვრიტა უსაშველო საფრთხე, რასაც კავშირის არსებობას უქადის პროექტის უარყოფა. ასეთი საფრთხის აღბათობა ძალზე დიდია; ამიტომაც, გულწრფელად მსურს, ყოველი კარგი მოქალაქე წინასწარ ჭერეტდეს იმას, რომ თუკი კავშირი დაიშლება, მაშინ ამერიკას ისღა დარჩება, პოეტის სიტყვებით შესძახოს: “დიდებაე, ჩემო, საუკუნოდ გემშვიდობები!”

კუბლიუსი

I am persuaded in my own mind that the people have always thought right on this subject, and that their universal and uniform attachment to the cause of the Union rests on great and weighty reasons, which I shall endeavor to develop and explain in some ensuing papers. They who promote the idea of substituting a number of distinct confederacies in the room of the plan of the convention, seem clearly to foresee that the rejection of it would put the continuance of the Union in the utmost jeopardy. That certainly would be the case, and I sincerely wish that it may be as clearly foreseen by every good citizen, that whenever the dissolution of the Union arrives, America will have reason to exclaim, in the words of the poet: "FAREWELL! A LONG FAREWELL TO ALL MY GREATNESS."

PUBLIUS.

შედეგალისათვის №3

იმავე თემის განგრობობა (ქვეყნის გარედან შეიარაღებული თაედასხმისა და პოლიტიკური საფროთხის თაობაზე) დამოუკიდებელი გარზეთისათვის

ჯეი

ნიუ იორკის შტატის ხალხს.

ყველამ იცის, იშვიათად მომხდარა, რომ რომელიმე ქვეყნის ხალხს (მით უმეტეს, თუკი იგი ამერიკელებით გონიერი და გათვითცნობიერებულია) ჯიუტად და ძალზე დიდი ხნით გამოეჩინოს წინდაუხედობა საკუთარი კეთილდღეობის საკითხში. ბუნებრივია, ამგვარი მოსაზრება გვეკარნახობს, რომ ფრიადი პატივისცემით ვიმსჯელებოდეთ იმ ერთსულღვანი ფიქრისადმი, რითაც ამერიკელი ხალხი რა ხანია თაეს ევლება ერთ ფედერალურ მთაერობას დაქვემდებარებული ურყევი ერთობის მნიშვნელობას; მთაერობისა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა საკმარისი ძალაუფლებით როგორც საგარეო, ისე საშინაო მიზნების აღსრულებისათვის.

რაც უფრო გულდასმით ვარკვევ და ვიკვლევ იმ მიზეზებს, რომლებმაც, ეტყობა, ამგვარი მზრუნველი ფიქრი შეეს, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ისინი უტყუარია და დამაჯერებელი.

მრავალი რამ არსებობს ისეთი, რაც ბრძენი და თავისუფალი ხალხის აუცილებელი მზრუნველობის საგანია; მაგრამ, მათ შორის პირველი, როგორც ჩანს, მაინც უსაფროთხოების უზრუნველყოფაა. უეჭველია, რომ ხალხის უსაფროთხოება ურიცხვ გარემობასა და მოსაზრებაზეა დამოკიდებული; ამიტომაც ფართო გასაქანი ეძლევა მათ, ვინაც მოწადინებულია ზუსტად და ამომწურავად განმარტოს იგი. ამჯერად მინდა, განვიხილო უშიშროების ის ნაირსახეობა, რომელიც აუცილებელია მშვიდობისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად; ქვეყნის გარედან სამხედრო აგრესიისა და ზემოქმედების აღსაკვეთად; აგრეთვე, საშინაო მიზეზებით გამოწვეული იმავე მუქარის ასარიდებლად; უპრიანია, ჯერ ის საფროთხე გავარჩიოთ, რომელიც პირველად მოვიხსენიე; ამრიგად, ნება მიბოძეთ განვაგრძო იმის გამორკვევა, სწორია თუ არა ხალხი,

The FEDERALIST NO. 3

*The Same Subject Continued
(Concerning Dangers From Foreign Force and Influence)
For the Independent Journal*

JAY

To the People of the State of New York:

IT IS not a new observation that the people of any country (if, like the Americans, intelligent and well informed) seldom adopt and steadily persevere for many years in an erroneous opinion respecting their interests. That consideration naturally tends to create great respect for the high opinion which the people of America have so long and uniformly entertained of the importance of their continuing firmly united under one federal government, vested with sufficient powers for all general and national purposes.

The more attentively I consider and investigate the reasons which appear to have given birth to this opinion, the more I become convinced that they are cogent and conclusive.

Among the many objects to which a wise and free people find it necessary to direct their attention, that of providing for their SAFETY seems to be the first. The SAFETY of the people doubtless has relation to a great variety of circumstances and considerations, and consequently affords great latitude to those who wish to define it precisely and comprehensively.

At present I mean only to consider it as it respects security for the preservation of peace and tranquillity, as well as against dangers from FOREIGN ARMS AND INFLUENCE, as from dangers of the LIKE KIND arising from domestic causes. As the former of these comes first in order,

როცა იგი ფიქრობს, რომ ერთ, ქმედით ნაციონალურ მთავრობას დაქვემდებარებული გულითადი კავშირი ყველაზე საუკეთესოა იმ უსაფრთხოებათა შორის, რომლის მოფიქრება ადამიანის გონებას შეუძლია ქვეყნის გარედან შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად.

ფიქრობ, მსოფლიოში უკვე მომხდარი ანდა აწი მოსახდენი ომების რიცხვი პირდაპირპროპორციული უნდა იყოს იმ რეალური თუ მოჩვენებითი მიზეზების რაოდენობის და მნიშვნელობისა, რომელთაც ომის ანკესზე წამოუგია ანდა ერთმანეთისთვის სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაუკიდებია ხალხები. თუკი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ საქმეს დიდად წაადგება იმის გამორკვევა, თუ რომელი უფრო მისცემს სხვა ქვეყნებს გამართლებული ომების საბაბს, გაერთიანებული თუ შტატებად დაშლილი ამერიკა. თუკი აღმოჩნდა, რომ გაერთიანებული ამერიკა ბევრად უფრო უპრიანია, მაშინ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ამ მხრივ კავშირი ყველაზე უკეთესი თავმდებია სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობის შენარჩუნებისა.

გამართლებული ომის მიზეზი, უპირატესად, ხელშეკრულებათა დარღვევა ანდა პირდაპირი ძალმომრეობაა. ამერიკამ უკვე დადო ხელშეკრულებები არანაკლებ ექვს უცხო სახელმწიფოსთან. საქმე ისაა, რომ ყველა მათგანი, გარდა პრუსიისა, საზღვაო ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, ნებისმიერ მათგანს შეუძლია ჩვენი მოთმინებიდან გამოყვანა და შეურაცხყოფა. გარდა ამისა, ამერიკას გაცხოველებული ვაჭრობა აქვს პორტუგალიასთან, ესპანეთსა და ბრიტანეთთან; რაც შეეხება ბოლო ორ სახელმწიფოს, მათთან მიმართებაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი თავიანთი კოლონიებით ჩვენს ქვეყანას ესაზღვრებიან.

ამერიკის ხალხი რომ უშფოთველად ცხოვრობდეს, საამისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი იცავდეს საერთაშორისო ნორმებს ამ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში; ფიქრობ, ცხადი უნდა იყოს, რომ ამას ბევრად უფრო სრულად და განუხრელად განახორციელებს ერთი ნაციონალური ხელისუფლება, ვიდრე ცამეტი დაცალცალეული შტატი ან, თუნდაც, სამი თუ ოთხი ცალკე კონფედერაცია.

it is proper it should be the first discussed. Let us therefore proceed to examine whether the people are not right in their opinion that a cordial Union, under an efficient national government, affords them the best security that can be devised against HOSTILITIES from abroad.

The number of wars which have happened or will happen in the world will always be found to be in proportion to the number and weight of the causes, whether REAL or PRETENDED, which PROVOKE or INVITE them. If this remark be just, it becomes useful to inquire whether so many JUST causes of war are likely to be given by UNITED AMERICA as by DISUNITED America; for if it should turn out that

United America will probably give the fewest, then it will follow that in this respect the Union tends most to preserve the people in a state of peace with other nations.

The JUST causes of war, for the most part, arise either from violation of treaties or from direct violence. America has already formed treaties with no less than six foreign nations, and all of them, except Prussia, are maritime, and therefore able to annoy and injure us. She has also extensive commerce with Portugal, Spain, and Britain, and, with respect to the two latter, has, in addition, the circumstance of neighborhood to attend to.

It is of high importance to the peace of America that she observe the laws of nations towards all these powers, and to me it appears evident that this will be more perfectly and punctually done by one national government than it could be either by thirteen separate States or by three or four distinct confederacies.

Because when once an efficient national government is established, the best men in the country will not only consent to serve, but also will generally be appointed to manage it; for, although town or country, or other contracted

თუკი ერთხელაც იქნა და შეიქმნა ძლევამოსილი ნაციონალური მმართველობა, მაშინ ქვეყნის რჩეული კაცები არა თუ ოდენ მასში სამსახურის უფლებას შეიძენენ, არამედ მათ სწორედაც რომ მთავრობის თავკაცებად გაამწესებენ. ქალაქს, სოფელსა თუ გავლენიან ამქარს შეეძლება თავიანთი წარმომადგენლები შეიყვანოს სახელმწიფო საკანონმდებლო საკრებულოებსა თუ საბჭოებში, სასამართლოებსა თუ აღმასრულებელ უწყებებში; მაგრამ, საქმე ისაა, რომ კაცი, რომელსაც ნაციონალური მთავრობის სამსახურში დანიშნავენ, მრავალი ტალანტით უნდა იყოს შემკული. მით უფრო, რომ ფედერალურ მთავრობას სათანადო კადრების შერჩევისას ბევრად მეტი გასაქანი ექნება და არასოდეს იგრძნობს მათს უკმარისობას, რასაც ჩვეულებრივ განიცდის ხოლმე ესა თუ ის შტატი. ამრიგად, ნაციონალური მთავრობის ადმინისტრაციული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები თუ სასამართლო განაჩენები ბევრად უფრო ბრძნული, უფრო ზედმიწევნითი და გონივრული იქნება, ვიდრე ის განჩინებანი, რომლებიც ცალკეულ შტატს გამოაქვს. ბუნებრივია, ამით სხვა ქვეყნებსაც ვაამებთ და არც ჩვენს უსაფრთხოებას ვავენბთ.

ისიც ბუნებრივია, რომ ერთიანი ნაციონალური ხელისუფლება ხელშეკრულებებს, მათს ცალკეულ მუხლებსა და საერთაშორისო ნორმებს ყოველთვის ერთსა და იმავე განმარტებას მისცემს და ერთსა და იმავე ნაირადვე შეასრულებს; ხოლო ცამეტი შტატი ანდა სამი თუ ოთხი კონფედერაცია იმავე საკითხების განმარტებისას ვერ გამოიჩენს სათანადო თანამიმდევრულობასა და ურყეობას. ეს იმით აიხსნება, რომ ბევრნაირი დამოუკიდებელი სასამართლო და მოსამართლე არსებობს, რომლებიც ურთიერთგანსხვავებულსა და თვითმყოფად მთავრობებს დაუნიშნავეთ; გარდა ამისა, მათზე შესაძლოა, ზეგავლენასა და ზემოქმედებას ახდენდეს ნაირგვარი ადგილობრივი წესჩვეულება და ინტერესთა მრავალფეროვნება. შეუძლებელია, დიდი მოწინავეთ არ განიმსჭვალო კონვენტის გადაწყვეტილებებისადმი, რომ ამგვარი საკითხები მის მიერ დანიშნულ სასამართლოთა იურისდიქციას გადააბაროს, რომლებიც პასუხისმგებელნი მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მთავრობის წინაშე იქნებიან.

influence, may place men in State assemblies, or senates, or courts of justice, or executive departments, yet more general and extensive reputation for talents and other qualifications will be necessary to recommend men to offices under the national government,—especially as it will have the widest field for choice, and never experience that want of proper persons which is not uncommon in some of the States. Hence, it will result that the administration, the political counsels, and the judicial decisions of the national government will be more wise, systematical, and judicious than those of individual States, and consequently more satisfactory with respect to other nations, as well as more SAFE with respect to us.

Because, under the national government, treaties and articles of treaties, as well as the laws of nations, will always be expounded in one sense and executed in the same manner,—whereas, adjudications on the same points and questions, in thirteen States, or in three or four confederacies, will not always accord or be consistent; and that, as well from the variety of independent courts and judges appointed by different and independent governments, as from the different local laws and interests which may affect and influence them. The wisdom of the convention, in committing such questions to the jurisdiction and judgment of courts appointed by and responsible only to one national government, cannot be too much commended.

Because the prospect of present loss or advantage may often tempt the governing party in one or two States to swerve from good faith and justice; but those temptations, not reaching the other States, and consequently having little or no influence on the national government, the temptation will be fruitless, and good faith and justice be preserved. The case of the treaty of peace with Britain adds great weight to this reasoning.

Because, even if the governing party in a State should be disposed to resist such temptations, yet as such temptations may, and commonly do,

თითო-ორიოლა შტატში მმართველი პარტია შეიძლება აყვეს სარგებლის მოხვეჭის ცდუნებას. ასევე შესაძლოა იგი სარგებლის დაკარგვამ აიძულოს, ხელყოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპები; მაგრამ, ამგვარი ცდუნებები ვერ გავრცელდება სხვა შტატებში, მცირე რამ ზეგავლენას თუ იქონიებს ანდა საერთოდ ვერ შეეხება ნაციონალურ მთავრობას. ამრიგად, ცდუნება ნაყოფს ვერ გამოიღებს, ხოლო პატიოსნება და სამართლიანობა გადარჩება. ამ მოსაზრების მნიშვნელობას უფრო ზრდის ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულება.

დაეუშვათ, შტატის მმართველმა პარტიამ თადარიგი დაიჭირა და შეეწინააღმდეგა ამგვარ ცდუნებებს; მაგრამ, რაკი ისინი იმავე შტატის ადგილობრივი თავისებურებებიდან იბადება; რაკი ცდუნება მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დარევს ხოლმე ხელს; მმართველ პარტიას შესაძლოა, სურვილი კი ჰქონდეს, მაგრამ ღონე არ შესწევდეს იმისა, რომ აღკვეთოს წინასწარგანზრახული უსამართლობა ანდა დასაჯოს აგრესორი. ხოლო ნაციონალური მთავრობა, რომელთანაც ხელი არა აქვს ადგილობრივ სპეციფიკურ გარემოებებს, თვითონ არასოდეს გადაცდება და ყოველთვის ექნება იმის ძალა და უნარი, რომ აღკვეთოს დანაშაული ანდა დასაჯოს ის, ვინც მას სწადის.

რაკი ისეა, რომ ომის გამართლებულ მიზეზად ხელშეკრულებათა ანდა სხვა ერების კანონთა შეგნებული ანდა შეუგნებელი დარღვევა იქცევა ხოლმე, ასეთი რამ ნაკლებადაა მოსალოდნელი ერთი საერთო ხელისუფლების პირობებში, ვიდრე მრავალი წერილ-წერილი მთავრობების დროს. ამ მხრივ, ერთიანი ეროვნული მთავრობა ყველაზე უფრო მარჯვეა ხალხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იგივე უნდა ითქვას იმ ომის მიზეზებზე, რომელთა გამართლებაც პირდაპირი და აკრძალული ძალმომრეობაა. ჩემთვის ასევე ნათელია, რომ ერთ ვარგებულ ნაციონალურ მმართველობას ამგვარ საფრთხეთაგან თავდაცვის ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ცალკეული შტატის მთავრობებს.

ძალმომრეობათა მიზეზი უფრო ხშირად ერთი მთელის შემადგენელ ნაწილთა ვნება და ინტერესია, ვიდრე თვითონ ეს

result from circumstances peculiar to the State, and may affect a great number of the inhabitants, the governing party may not always be able, if willing, to prevent the injustice meditated, or to punish the aggressors. But the national government, not being affected by those local circumstances, will neither be induced to commit the wrong themselves, nor want power or inclination to prevent or punish its commission by others.

So far, therefore, as either designed or accidental violations of treaties and the laws of nations afford JUST causes of war, they are less to be apprehended under one general government than under several lesser ones, and in that respect the former most favors the SAFETY of the people.

As to those just causes of war which proceed from direct and unlawful violence, it appears equally clear to me that one good national government affords vastly more security against dangers of that sort than can be derived from any other quarter.

Because such violences are more frequently caused by the passions and interests of a part than of the whole; of one or two States than of the Union. Not a single Indian war has yet been occasioned by aggressions of the present federal government, feeble as it is; but there are several instances of Indian hostilities having been provoked by the improper conduct of individual States, who, either unable or unwilling to restrain or punish offenses, have given occasion to the slaughter of many innocent inhabitants.

მთელი; ომის გამართლებულ მიზეზს უფრო თითო-ორიოლა შტატი წარმოადგენს და არა ამ შტატების კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ფედერალური მთავრობა ჯერ კიდევ ეგზომ სუსტია, მისი მიზეზით ინდიელებთან არც ერთი ომი ჯერ არ წამოწყებულა; მაშინ, როდესაც მათი რამოდენიმე შეიარაღებული თავდასხმა გამოიწვია ცალკეული შტატების მესვეურთა უნიათო ქცევამ. ათასობით მათი თანამოქალაქის ხვედრად აქცია ომის სისხლიანი სასაკლავო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ შტატების თავკაცებმა ან თავდასხმის აღკვეთის და მომხდურის დასჯის სურვილი არ გამოამჟღავნეს ანდა ამ საქმეში სრული უნიათობა გამოაგლინეს.

ესპანეთისა და ბრიტანეთის სამფლობელოთა სიახლოვე, რომელთაც ზოგიერთი შტატი ესაზღვრება კიდევ, შეიძლება ჩვენი მესაზღვრე შტატების მათთან წაჩხუბების მიზეზად იქცეს. ასეთი შტატები მართალია ცოტაა, მაგრამ ძალზე დიდია აღბათობა იმისა, რომ მათ უეცარმა სიბრაზემ წამოუაროს, დაუფარავეს სიხარბემ დარიოს ხელი ანდა შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი; ამის გამო კი აშკარა ძალმომრეობაზე გადავიდნენ და ამ სახელმწიფოებს ომი აუტეხონ. ამგვარ საშიშროებას უფრო ეფექტურად ვერაფერს აგვაშორებს თავიდან თუ არა ნაციონალური მთავრობა, რომლის სიბრძნესა და კეთილგონიერებასთან ხელი არა აქვს იმ ვნებებს, რანიც უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს საომარდ აღაგზნებს.

ნაციონალური ხელისუფლება ომის არა თუ ბევრად უფრო ცოტა საბაბს იძლევა, არამედ უფრო მეტად შესწევს ღონე დაეა ჩააცხროს და მოჩხუბრებს შორის ძმობა ჩამოაგდოს. ასეთი ხელისუფლება ამ მხრივაც უფრო აღუშფოთველი და თავშეკავებული იქნება და, საერთოდ, ყოველმხრივ უფრო მეტ კეთილგონიერებას გამოიჩინს, ვიდრე გულმოსული შტატი. ცალკეულ შტატს, ისე როგორც თითოეულ ადამიანს, სიამაყის თავისებური გრძნობა აქვს. ბუნებრივია, ამ გრძნობით ამართლებს იგი თავის საქციელს; მაგრამ, იგივე სიამაყე უშლის ხელს აღიაროს, გამოასწოროს და გამოისყიდოს თავისი შეცდომა და დანაშაული. ნაციონალურ მთავრობას კი გონებას ვერ დაუბრმავებს სიამაყის ამგვარი გრძნობა. იგი მოთმინებითა და მიუკერძოებლად განსჯის და გადაწყვეტს იმას, თუ რა გზით უნდა დააღწიოს თავი წარმოქმნილ სახიფათო სიბნელებს.

The neighborhood of Spanish and British territories, bordering on some States and not on others, naturally confines the causes of quarrel more immediately to the borderers. The bordering States, if any, will be those who, under the impulse of sudden irritation, and a quick sense of apparent interest or injury, will be most likely, by direct violence, to excite war with these nations; and nothing can so effectually obviate that danger as a national government, whose wisdom and prudence will not be diminished by the passions which actuate the parties immediately interested.

But not only fewer just causes of war will be given by the national government, but it will also be more in their power to accommodate and settle them amicably. They will be more temperate and cool, and in that respect, as well as in others, will be more in capacity to act advisedly than the offending State. The pride of states, as well as of men, naturally disposes them to justify all their actions, and opposes their acknowledging, correcting, or repairing their errors and offenses. The national government, in such cases, will not be affected by this pride, but will proceed with moderation and candor to consider and decide on the means most proper to extricate them from the difficulties which threaten them.

ეგეც რომ არ იყოს, ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ბრალის აღიარება, ახსნა-განმარტება და კომპენსაცია დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ხოლმე, როცა ამას ერთიანი ძლიერი ნაცია სწადის. ხოლო თუკი მათ უმნიშვნელო ძალაუფლების მქონე შტატი ან კონფედერაცია იძლევა, უმაღლესი უკანვე მოგიგდებენ, აქაოდა, არაა დამაკმაყოფილებელიო.

1685 წელს გენუამ ლუი XIV გაანაწყენა; მერე კი სცადა, მისი გული მოეგო. მაგრამ, ლუდოვიკომ მოსთხოვა მას, დოჟი ან ქალაქის თავი წარმოაგლინე ოთხი სენატორის თანხლებით, რათა პატიება ითხოვოს და ჩემს პირობებსაც დაჰყაბულდესო. გენუა, ომის შიშით, მის ნებას დაჰყვა. მაგრამ, განა ესპანეთი, ბრიტანეთი ანდა რომელიმე სხვა ძლევამოსილი სახელმწიფო მიიღებდა ასეთ პრეტენზიებსა და აიტანდა ამგვარ დამცირებას?

კუპლიუსი

Besides, it is well known that acknowledgments, explanations, and compensations are often accepted as satisfactory from a strong united nation, which would be rejected as unsatisfactory if offered by a State or confederacy of little consideration or power.

In the year 1685, the state of Genoa having offended Louis XIV., endeavored to appease him. He demanded that they should send their Doge, or chief magistrate, accompanied by four of their senators, to FRANCE, to ask his pardon and receive his terms. They were obliged to submit to it for the sake of peace. Would he on any occasion either have demanded or have received the like humiliation from Spain, or Britain, or any other POWERFUL nation?

PUBLIUS

შედეგების №4

იმავე თემის განგრძობა (ქვეყნის გარედან შეიარაღებული თავდასხმისა და პოლიტიკური ძალმომრეობის საფრთხეთა თაობაზე) დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჯეი

ნიუ იორკის შტატის ხალხს.

წინა წერილში რამდენიმე საბუთი წარმოვადგინე იმისა, თუ რატომაა, რომ ხალხი, რომელიც განსაცდელის წინაშეა, კავშირის მეოხებით უკეთ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას - განსაცდელისა, რომელიც შესაძლოა, სხვა სახელმწიფოებმა ომის გამამართლებელ საბაბად გამოიყენონ. წარმოდგენილი საბუთები მოწმობენ, რომ ერთი ნაციონალური მმართველობის პირობებში უფრო იშვიათად გაჩნდება ამგვარი მიზეზები, ვიდრე ცალკეული შტატების მთავრობათა თუ რამდენიმე კონფედერაციის არსებობის დროს. მაგრამ ქვეყნის გარედან შეიარაღებული თავდასხმის საფრთხეთაგან ამერიკის ხალხის უსაფრთხოება რომ დაცული იყოს, ეს არ არის დამოკიდებული მარტო იმაზე, რომ იგი სხვა სახელმწიფოებს გამართლებული ომის მიზეზებს არ მისცემს, არამედ იმაზეც, რომ ამ ქვეყნებმაც არ უმტრონ ამერიკას და არ შეურაცხყონ იგი. ზედმეტიც კია იმის თქმა, რომ ომი მოგონილი მიზეზითაც ხშირად აუტეხიათ.

იქნებ ადამიანის მოდგმისთვის სათაკილოა, მაგრამ მაინც ვერსად წაუგვალთ იმ სიმართლეს: ერები ომებს იმიტომ აჩადებენ ხოლმე, რომ სული მისდიოდათ სხვის სიმდიდრეზე. უფრო მეტი, აბსოლუტურ მონარქებს ხშირად გაუჩაღებიათ ისეთი ომები, რომლებშიც მათ ქვეშევრდომებს ვერაფერი ხეირი უნახავთ. ასეთი ომების საბაბი სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ხელმწიფეთა პირადი მიზნები და ზრახვანი. სამხედრო დიდების წყურვილი იქნება ეს, პიროვნული შეურაცხყოფის გამო შურისგება თუ საიდუმლო გარიგებანი, რომელთაც მიზნად კქონიათ გამორჩეული დიდგვაროვანი ოჯახებისა თუ სახელმწიფოს პირადი დამქაშების აღზევება და შეწვენა. ესა და სხვა ამგვარი მოტივები მხოლოდ სუვერენის ჭკუა-გონებაზე მოქმედებს და უბიძგებს მას ისეთ ომში ჩაებას, რომელსაც არც სამართლიანობის ლოცვა - კურთხევა მიუღია და

The FEDERALIST NO. 4

The Same Subject Continued
(Concerning Dangers From Foreign Force and Influence)
For the *Independent Journal*

JAY

To the People of the State of New York:

MY LAST paper assigned several reasons why the safety of the people would be best secured by union against the danger it may be exposed to by JUST causes of war given to other nations; and those reasons show that such causes would not only be more rarely given, but would also be more easily accommodated, by a national government than either by the State governments or the proposed little confederacies.

But the safety of the people of America against dangers from FOREIGN force depends not only on their forbearing to give JUST causes of war to other nations, but also on their placing and continuing themselves in such a situation as not to INVITE hostility or insult; for it need not be observed that there are PRETENDED as well as just causes of war.

It is too true, however disgraceful it may be to human nature, that nations in general will make war whenever they have a prospect of getting anything by it; nay, absolute monarchs will often make war when their nations are to get nothing by it, but for the purposes and objects merely personal, such as thirst for military glory, revenge for personal affronts, ambition, or private compacts to aggrandize or support their particular families or partisans. These and a variety of other motives, which affect only the mind of the sovereign, often lead him to engage in wars not sanctified by justice or the voice and interests of his people. But, independent of these inducements to war, which are more prevalent in absolute monarchies, but which well deserve our attention, there are others which affect nations as often as kings;

არც ხალხისა. მართალია, ომის ამგვარი მიხედვები უფრო აბსოლუტურ მონარქიებს ახასიათებთ, მაგრამ მათ მაინც დიდი გულისყურით უნდა ევკიდებოდეთ. ამათ გარდა, ომს სხვა საბაბიც ბლომად აქვს, ქვეყნის მესვეურსა და მის ქვეშევრდომთ რომ ერთნაირად დარევს ხოლმე ხელს. შემდგომი გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მათგანი ისეთ გარემოებებსა და ვითარებაში იბადება, ჩვენსას რომ ძლიერ წააგავს.

საფრანგეთი და ბრიტანეთი დღესდღეისობით თევზჭერაში გვეცილება. მართალია, მათ თავიანთ საქონელზე შეღავათები აქვთ დაწესებული, ჩვენსაზე კი – ისეთი ბაჟი, რომ კაცს ვაჭრობის ხალხის წაგერთმევა, მაგრამ, ჩვენ მაინც შეგვწვეს იმის უნარი, რომ მათსავე ბაზარზე უფრო იაფად გავიტანოთ თევზი, ვიდრე თვითონ ჰყიდინ.

ამ ქვეყნებთან ერთად, ნოსნობასა და საზღვაო ვაჭრობაში სხვა ევროპული სახელმწიფოებიც გვიწვევენ მეტოქეობას. თავს მოვიტყუებდით, თუკი ვიფიქრებდით, რომ მათ გულზე ეხატებოდეთ ჩვენი წარმატება; რაკი შეუძლებელია, ჩვენი საზღვაო ვაჭრობა ისე გაფართოვდეს, რომ რამდენადმე ფრთები არ შეეკეცოს მათსას. ამიტომ, ამ სახელმწიფოების ინტერესი და პოლიტიკა მიმართული იქნება იქითკენ, რომ მხარი კი არ დაუჭირონ ჩვენს საქმეს, არამედ ყველანაირად დააბრკოლონ იგი.

ბევრ სახელმწიფოს ჩინეთსა და ინდოეთთან ჩვენი ვაჭრობაც არ მოსდის თვალში. ვინაიდან ეს გეაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენც ვნახოთ ხეირი იმ საქმიდან, რასაც აქამდე ეს ქვეყნები არაეის ანებებდნენ; ასევე იმისაც, რომ ჩვენ თვითონ ვიყიდოთ ჩინეთსა და ინდოეთიდან ის საქონელი, რასაც ადრე ჩვენი მეტოქე სახელმწიფოებიდან ვიძენდით.

ჩვენს ხომალდებს რომ გაცხოველებული აღებ-მიცემობა აქვთ გაჩაღებული, შეუძლებელია ეს სიამოვნებდეთ რომელიმე იმ სახელმწიფოთაგანს, ამ კონტინენტზე ან მის მეზობლად საფლობელოებს რომ ფლობენ. ჩვენი საქონელი იაფიცაა და ჩინებულიც. და რაკი ეს ქვეყნებიც ჩვენგან დასამხარ სიშორეზეა, ხოლო ჩვენი ვაჭრები სხვებზე ფხიანები და შნოიანები არიან, მეზღვაურები კი სიმამაცით სხვებსა სჯობიან,

and some of them will on examination be found to grow out of our relative situation and circumstances.

With France and with Britain we are rivals in the fisheries, and can supply their markets cheaper than they can themselves, notwithstanding any efforts to prevent it by bounties on their own or duties on foreign fish.

With them and with most other European nations we are rivals in navigation and the carrying trade; and we shall deceive ourselves if we suppose that any of them will rejoice to see it flourish; for, as our carrying trade cannot increase without in some degree diminishing theirs, it is more their interest, and will be more their policy, to restrain than to promote it.

In the trade to China and India, we interfere with more than one nation, inasmuch as it enables us to partake in advantages which they had in a manner monopolized, and as we thereby supply ourselves with commodities which we used to purchase from them.

The extension of our own commerce in our own vessels cannot give pleasure to any nations who possess territories on or near this continent, because the cheapness and excellence of our productions, added to the circumstance of vicinity, and the enterprise and address of our merchants and navigators, will give us a greater share in the advantages which those territories afford, than consists with the wishes or policy of their respective sovereigns.

ამიტომაც, ჩვენ ბევრად უფრო მეტად ვხეირობთ იმ სიმდიდრით, ეს ქვეყნები რომ ფლობენ, ვიდრე ამას ჩვენი მოცილე სახელმწიფოების პატივცემულ ხელისუფალთა სურვილი და პოლიტიკა გვარგუნებს.

ესპანეთი ფიქრობს, რომ კარგია, თუ მისისიპთან მისასულელს გადაგვიკეტავს; ხოლო ბრიტანეთს ერთი სული აქვს, წმინდა ლაერენტის მიდამოებდან გამოგვაძეოს; არც ერთი მათგანი არ დაუშვებს იმას, რომ ურთიერთ მიმოსულისა და აღებმიცემობისათვის გამოვიყენოთ სხვა მდინარეები, მათსა და ჩვენს შორის რომ მოედინება.

თუკი ამას კეთილგონიერება მოითხოვდა, შეგვეძლო კელაეაც მრავლად მოგვეხმო და გამოწვლილვით განგვეხილა ამგვარი მოსაზრებები, მაგრამ, რაც ითქვა, იქედანაც ცხადად ჩანს, რომ სხვა სახელმწიფოების მესვეურთა გრძობა-გონებას ნელ-ნელა დარევს ხელს შური და გაუტანლობა; ამიტომაც, არ უნდა ველოდეთ, რომ ისინი გულგრილად და მიამიტად დაუწყებენ ყურებას ჩვენი კავშირის განმტკიცებასა და მისი ძლევამოსილების ზრდას, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვად.

ამერიკის ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ ესა და ბევრი სხვა, ჯერაც ფარული გარემოება, შესაძლოა, ომის საბაზად იქცეს; მერე კი ყოველთვის მოიძენებიან ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე ადამიანები; ისინიც როდი არიან ცოტანი, ვინაც ყველაფერს სხვაგვარად წარმოიდგენს და ომს გაამართლებს; ამიტომ, ბრძენია ამერიკის ხალხი, როცა აუცილებლობად რაცხს კავშირის შექმნას და ვარგებული ნაციონალური ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც საომრად კი არ წააქეზებს მას არამედ ყოველთვის შეეცდება წინასაომარი ვნებათაღელვის ჩაცხრომასა და ხალხის დაშოშმინებას. საამისოდ საჭიროა, სახელმწიფოს რაც შეიძლება კარგად ჰქონდეს გამართული თავდაცვის სისტემა; ეს კი დამოკიდებულია ამ ქვეყნის მთავრობაზე, შეიარაღებულ ძალებსა და რესურსებზე.

მთელის უსაფრთხოება ამავე მთელის სასიცოცხლო ინტერესია; და რაკი შეუძლებელია მისი უზრუნველყოფა ისე, რომ არ არსებობდეს ერთი, ერთზე მეტი ანდა მრავალი მთავრობა, ნება მიბოძეთ გამოვიკითხო, ამ საქმეს უფრო

Spain thinks it convenient to shut the Mississippi against us on the one side, and Britain excludes us from the Saint Lawrence on the other; nor will either of them permit the other waters which are between them and us to become the means of mutual intercourse and traffic.

From these and such like considerations, which might, if consistent with prudence, be more amplified and detailed, it is easy to see that jealousies and uneasinesses may gradually slide into the minds and cabinets of other nations, and that we are not to expect that they should regard our advancement in union, in power and consequence by land and by sea, with an eye of indifference and composure.

The people of America are aware that inducements to war may arise out of these circumstances, as well as from others not so obvious at present, and that whenever such inducements may find fit time and opportunity for operation, pretenses to color and justify them will not be wanting. Wisely, therefore, do they consider union and a good national government as necessary to put and keep them in SUCH A SITUATION as, instead of INVITING war, will tend to repress and discourage it. That situation consists in the best possible state of defense, and necessarily depends on the government, the arms, and the resources of the country.

As the safety of the whole is the interest of the whole, and cannot be provided for without government, either one or more or many, let us inquire whether one good government is not, relative to the object in question, more competent than any other given number whatever.

უნარიანად ერთი, ვარგებული ხელისუფლება გაართმევდა თავს თუ ერთზე მეტი ან თუნდაც მრავალი მათგანია საამისოდ აუცილებელი? ერთიან მთავრობას შესწევს უნარი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიყვანოს ყველაზე ნიჭიერი ადამიანები და სახელმწიფოს მოახმაროს მათი ტალანტი და გამოცდილება; თავის პოლიტიკას საფუძვლად დაუდოს ყველასათვის მისაღები პრინციპები. მას შეუძლია, ქვეყნის ყველა მხარე და მისი ურთიერთგანხეავეებული წევრები ჰარმონიაში იყოლიოს, თანასწორი უფლება მიანიჭოს და ერთნაირი მფარველობა გაუწიოს მათ; ყველას თანაბრად გაუნაწილოს თავისი სიფრთხილისა და წინდახედულობის ნაყოფი. ერთიან მთავრობას ძალუძს, ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინოს მთლიანად ქვეყნისა და მისი ცალკეული კუთხეების ინტერესიც, რამდენადაც ეს უკანასკნელნი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთიანი სახელმწიფოს ინტერესებთან; უფრო იოლად და სწრაფად მოუყაროს თავი რესურსებსა და ძალებს, რათა დაიცვას ქვეყნის ცალკეული მხარე, ვიდრე ამას შეძლებდა გათითოებული შტატების მთავრობები, ანდა რამდენიმე ცალკე კონფედერაცია, რომელთა შორის არ იქნებოდა თანხმობა და არც მოქმედების ერთიანი სისტემა ექნებოდათ. ერთიან მთავრობას შეუძლია, იყოლიოს დისციპლინირებული ლაშქარი, რომლის ოფიცრებიც პირდაპირ დაემორჩილებიან უმაღლეს ხელისუფლებას. ეს იქნება ერთიანი ჯარი, რომელსაც ექნება უფრო მეტი ძალა, ვიდრე აქვს ცამეტი გათითოებული შტატისა თუ სამი ანდა ოთხი კონფედერაციის მხედრობას.

რა იქნებოდა ბრიტანეთის მხედრობა თუკი ინგლისის ლაშქარი ინგლისის მთავრობას დაემორჩილებოდა, შოტლანდიისა – შოტლანდიის ხელისუფლებას, ხოლო უელსის ლაშქარი – უელსის მთავრობას? თუკი მათ მტერი დაესხმოდა თავს, განა შეძლებდა ეს სამი მთავრობა (საერთო ენა რომც გამოენახათ) თავთავიანთი სპეხით უფრო ეფექტურად გამკლავებოდნენ მომხდურს, ვიდრე ამას ბრიტანეთის ერთიანი ხელისუფლება შესძლებს?

სახელგანთქმულია ბრიტანეთის ფლოტი; მაგრამ თუკი სიბრძნით ვიქნებით, მალე მოეადრო და ამერიკის ფლოტსაც გაუვარდება სახელი. ბრიტანეთის გაერთიანებულ ნაციონალურ ხელისუფლებას რომ ეგზომ კარგად არ აეწყო ნაოსნობა და

One government can collect and avail itself of the talents and experience of the ablest men, in whatever part of the Union they may be found. It can move on uniform principles of policy. It can harmonize, assimilate, and protect the several parts and members, and extend the benefit of its foresight and precautions to each. In the formation of treaties, it will regard the interest of the whole, and the particular interests of the parts as connected with that of the whole. It can apply the resources and power of the whole to the defense of any particular part, and that more easily and expeditiously than State governments or separate confederacies can possibly do, for want of concert and unity of system. It can place the militia under one plan of discipline, and, by putting their officers in a proper line of subordination to the Chief Magistrate, will, as it were, consolidate them into one corps, and thereby render them more efficient than if divided into thirteen or into three or four distinct independent companies.

What would the militia of Britain be if the English militia obeyed the government of England, if the Scotch militia obeyed the government of Scotland, and if the Welsh militia obeyed the government of Wales? Suppose an invasion: would those three governments (if they agreed at all) be able, with all their respective forces, to operate against the enemy so effectually as the single government of Great Britain would?

We have heard much of the fleets of Britain, and the time may come, if we are wise, when the fleets of America may engage attention. But if one national government, had not so regulated the navigation of Britain as to make it a nursery for seamen--if one national government had not called forth all the national means and materials for forming fleets, their prowess and their thunder would never have been celebrated. Let England have its navigation and fleet--let Scotland have its navigation and fleet--let Wales have its navigation and fleet--let Ireland have its navigation and fleet--let those four of the constituent parts of the British empire be be under four independent governments, and it is easy to perceive how soon they would each dwindle into comparative insignificance.

არ ექცია იგი მეზღვაურთა დავაუკაცების კერად, მას რომ ფლოტის ასაშენებლად არ მოეზიდა მთელი სახელმწიფო სახსრები, მაშინ ინგლისელი ზღვაოსნები არ იქნებოდნენ ეგ-ზომ ქველნი, ხოლო მისი ფლოტი თავზარს არ დასცემდა ბრიტანეთის ავის მოსურნეს. ინგლისს, შოტლანდიას, უელსსა და ირლანდიას რომ ცალცალკე ნაოსნობა ჰქონდეთ და ფლოტებიც გათითოებულნი ჰყავდეთ; ბრიტანეთის იმპერიის ეს ოთხი შემადგენელი ნაწილი რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ოთხ მთავრობას ემორჩილებოდეს, ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მათი ძლევამოსილება დიდად დაზარალდებოდა.

მოდით, ჩვენ შესახებაც იმავე ფაქტებით ვიმსჯელოთ. თუკი ამერიკა ცამეტ ნაწილად, ანდა, გნებავთ, სამ თუ ოთხ დამოუკიდებელ ხელისუფლებად იქნება დაყოფილი, განა მას შეეძლება, შექმნას და შეინახოს არმია? განა ოდესმე შესძლებს იგი ფლოტის ყოლას? ამერიკის ერთ განცალკეებულ ნაწილს რომ მტერი დაესხას, განა ამ ძნელბედობის ჟამს მას სხვა გათითოებული ნაწილები წამოეშეელებიან? განა მოისურვებენ ისინი თავიანთი სისხლი ჩააქციონ და ფული შეაღიონ მის დაცვას? განა მეზობლის გულისათვის საფრთხეში ჩააგდებენ თავიანთს სიმშვიდესა და უსაფრთხოებას? განა სხვის ომში ჩაურევლობა უფრო არ ელამუნება მათს გრძნობა-გონებას და განა მშვიდობის ეგზომი სიყვარული არ აცდუნებს მათ, რომ იგი ომზე არ გაცვალონ? განა ამერიკის გათითოებული ნაწილები ერთმანეთის მიმართ შურიტ არ იქნებიან აღძრულები და განა კმაყოფილებას არ მოჰგერის რომელიმე მათგანს, სხვა თუ დამცრობილი და დაკნინებული იხილა? ასეთი საქციელი გონიერული როდია, მაგრამ ბუნებრივი კი ნამდვილად არის. ისტორია ამის აუარება მაგალითს გეთავაზობს; და არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ ის, რაც ეგზომ ხშირად მომხდარა, მსგავს პირობებში, კელავაც და კელავაც მოხდეს.

დაეუშვათ, ამერიკის დანარჩენმა ნაწილებმა მოისურვეს იმ შტატისა თუ კონფედერაციის დახმარება, რომელზედაც მტერმა ხელი შემართა; მაგრამ, ვინ უნდა გადაწყვიტოს ის, თუ როგორ და როდის გაიგზავნოს დახმარება. რამდენი ცოცხალი ძალა და ფულია საჭირო? ვინ უნდა უხელმძღვანელოს გაერთიანებულ სამხედრო ძალებს? ვის ბრძანებას უნდა

Apply these facts to our own case. Leave America divided into thirteen or, if you please, into three or four independent governments--what armies could they raise and pay--what fleets could they ever hope to have? If one was attacked, would the others fly to its succor, and spend their blood and money in its defense? Would there be no danger of their being flattered into neutrality by its specious promises, or seduced by a too great fondness for peace to decline hazarding their tranquillity and present safety for the sake of neighbors, of whom perhaps they have been jealous, and whose importance they are content to see diminished? Although such conduct would not be wise, it would, nevertheless, be natural. The history of the states of Greece, and of other countries, abounds with such instances, and it is not improbable that what has so often happened would, under similar circumstances, happen again.

But admit that they might be willing to help the invaded State or confederacy. How, and when, and in what proportion shall aids of men and money be afforded? Who shall command the allied armies, and from which of them shall he receive his orders? Who shall settle the terms of peace, and in case of disputes what umpire shall decide between them and compel acquiescence? Various difficulties and inconveniences would be inseparable from such a situation; whereas one government, watching over the general and common interests, and combining and directing the powers and resources of the whole, would be free from all these embarrassments, and conduce far more to the safety of the people.

ემორჩილებოდეს იგი? ვინ დადოს სასაეო ხელშეკრულება? უთანხმოების შემთხვევაში, ვინ უნდა მოარიგოს მხარეები და ვინ უნდა მოითხოვოს უტყვი მორჩილება? ათასნაირი სიძნელე შეიძლება წარმოიშვას და უსაშველო დავიდარაბა ატყდეს; მაგრამ, ერთიანი ნაციონალური ხელისუფლება, რომლისთვისაც მთავარია ქვეყნის საერთო ინტერესები, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობს შეიარაღებულ ძალებს და საომარ სახსრებს, თავს დაადევს ყველანაირ სიძნელეს და მეტადრე განამტკიცებს ხალხის უსაფრთხოებას.

ჩვენ შეიძლება, არად მიგვაჩნდეს, ერთიანი და მძლავრი ნაციონალური მთავრობა გვყავს თუ რამდენიმე კონფედერაციად დახლენილი. მაგრამ, ერთი რამ უტყუარია: უცხო სახელმწიფოები ყველაფერს ზუსტად ისე ხედავენ, როგორც არის; ისინი ზუსტად ისე მოგვექცევიან, როგორაც ვიმსახურებთ; თუკი დაინახავენ, რომ ჩვენი ნაციონალური მთავრობა მძლავრია და მას ვარგებული თავკაცები ხელმძღვანელობენ, ჩვენი ვაჭრობის საქმე გონივრულადაა აწყობილი, ლაშქარი კი – სათანადოდ ორგანიზებული და გაწვრთნილია, ჩვენს სახსრებსა და ფინანსებს კი დიდი რუდუნებით მართავენ; თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს შორის ნდობა აღდგენილია, ხოლო ჩვენი ხალხი თავისუფალი, კმაყოფილი და ერთიანია, მაშინ ჩვენი ავისმოსურნე ჩვენთან მეგობრობას ამჯობინებს და არა მტრობას. მაგრამ, თუ ისინი დაინახავენ, რომ ჩვენ არა გვყავს მძლავრი და ერთიანი ხელისუფლება და ყოველი შტატის მესვეური ავად თუ კარგად იმას აკეთებს, რაც მოეგუნება; თუკი გახლენილები ვართ სამ ან ოთხ დამოუკიდებელ და ერთმანეთის მოშურნე რესპუბლიკად თუ კონფედერაციად, რომელთაგანაც ერთი ბრიტანეთისკენ მიიღტვის, მეორეს საგრანგეთისკენ მიუწევს გული, ხოლო მესამეს ესპანეთისკენ უჭირავს თვალი; და ამასთანავე, მათ შორის უთანხმოებასა და შურს დაუსადგურებია, მაშინ ადვილი წარმოსადგენია თუ რა უბადრუკი სანახავი იქნება ამერიკა მათ თვალში. მტერი მას არათუ აითვალწუნებს, არამედ შეურაცყოფს კიდევ; და უმაღლე საკუთარ თავზე ვიწვნევთ მთელს გაუსაძლის სიმძიმეს იმ გამოცდილებისას, რომ ხალხის ან ოჯახის დაქუცმაცება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავის მტრობა.

კუბლიუსი

But whatever may be our situation, whether firmly united under one national government, or split into a number of confederacies, certain it is, that foreign nations will know and view it exactly as it is; and they will act toward us accordingly. If they see that our national government is efficient and well administered, our trade prudently regulated, our militia properly organized and disciplined, our resources and finances discreetly managed, our credit re-established, our people free, contented, and united, they will be much more disposed to cultivate our friendship than provoke our resentment. If, on the other hand, they find us either destitute of an effectual government (each State doing right or wrong, as to its rulers may seem convenient), or split into three or four independent and probably discordant republics or confederacies, one inclining to Britain, another to France, and a third to Spain, and perhaps played off against each other by the three, what a poor, pitiful figure will America make in their eyes! How liable would she become not only to their contempt but to their outrage, and how soon would dear-bought experience proclaim that when a people or family so divide, it never fails to be against themselves.

PUBLIUS

ფელაქალისტი №5

იმავე თემის განგრძობა
(ქვეყნის გარედან შეიარაღებული თავდასხმისა და
პოლიტიკური ძალმომრეობის საფრთხეთა თაობაზე)
დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჯეი

ნიუ იორკის შტატის ხალხს.

წერილში, რომელიც დედოფალმა ანამ 1706 წლის 1 ივლისს შოტლანდიის პარლამენტს მისწერა, იგი ჩვენთვის საყურადღებო რამდენიმე მოსაზრებას გამოთქვამს იმ კავშირის თაობაზე, რომელიც ინგლისსა და შოტლანდიას შორის იმ დროს ის-ის იყო ყალიბდებოდა. მინდა, საზოგადოებას ამ წერილიდან ერთი-ორი ამონარიდი შეეთავაზო: “ერთიანი და დასრულებული კავშირი მტკიცე მშვიდობის ურყევი საფუძველი იქნებოდა; იგი ჩვენი რელიგიის, თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას უსრუნველყოფდა, ბოლოს მოუღებდა თქვენს შორის მტრობას; ჩვენს სამეფოებს შორის შულლსა და უთანხმოებას აღმოფხვრიდა. იგი გააასკეცებდა თქვენს ძლევამოსილებას და სიმდიდრეს, გააფართოებდა ვაჭრობას. ასეთი კავშირის პირობებში მთელ ჩვენს კუნძულს სიყვარული შეკრავდა და იგი თავს დააღწევდა შიშს, რომელსაც ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები წარმოშობენ; იგი შეძლებდა, ყველა მტერს გამკლავებოდა.” “ჩვენ ყოველთვის უსასღერო სერიოზულობით გირჩევდით მოთმინება და ერთსულოვნება გამოგვეჩინა ამ დიადსა და ძალზე მნიშვნელოვან საქმეში; რაც შესაძლებლობას მოგეცემდა, კეთილად დაგვეგვირგვინებინა იგი; რამეთუ კავშირი ერთადერთი ქმედითი საშუალებაა ჩვენი აწმყო და მომავალი ბედნიერების უსრუნველყოფისა; - თქვენი და ჩვენი მტრების გეგმების ჩაფუშვისა, რომლებიც უჭკველია, ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა იგი დააბრკოლონ ან ჩაშალონ”.

წინა წერილში აღვნიშნავდით, რომ თუკი შინ დავსუსტდებით და დავნაწევრდებით, თავს დაგვატყდება საგარეო საფრთხეები და ვერაფერი მათგან უფრო ვერ დაგვიფარავს, როგორც ურთიერთშორის კავშირი, შინა სიმტკიცე და ვარგებული

The FEDERALIST NO. 5

*The Same Subject Continued
(Concerning Dangers From Foreign Force and Influence)
For the Independent Journal*

JAY

To the People of the State of New York:

QUEEN ANNE, in her letter of the 1st July, 1706, to the Scotch Parliament, makes some observations on the importance of the UNION then forming between England and Scotland, which merit our attention. I shall present the public with one or two extracts from it: "An entire and perfect union will be the solid foundation of lasting peace: It will secure your religion, liberty, and property; remove the animosities amongst yourselves, and the jealousies and differences betwixt our two kingdoms. It must increase your strength, riches, and trade; and by this union the whole island, being joined in affection and free from all apprehensions of different interest, will be ENABLED TO RESIST ALL ITS ENEMIES." "We most earnestly recommend to you calmness and unanimity in this great and weighty affair, that the union may be brought to a happy conclusion, being the only EFFECTUAL way to secure our present and future happiness, and disappoint the designs of our and your enemies, who will doubtless, on this occasion, USE THEIR UTMOST ENDEAVORS TO PREVENT OR DELAY THIS UNION."

It was remarked in the preceding paper, that weakness and divisions at home would invite dangers from abroad; and that nothing would tend more to secure us from them than union, strength, and good government within ourselves. This subject is copious and cannot easily be exhausted.

მმართველობა. ეს საკითხი ძალზე ფართოა და იოლად მას ვერ ამოვწურავთ.

რაკი, სასოგადოდ, კარგად ვიცნობთ დიდი ბრიტანეთის ისტორიას შეგვიძლია, მისგან ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლოთ. შეგვიძლია, ვიხეიროთ ბრიტანელთა გამოცდილებით იმ საზღაურის გაუღებლად, რადაც ეს გამოცდილება მათ დაუჯდათ. მიუხედავად საღი აზრისა, რომლისთვისაც ცხადია, რომ ასეთი კუნძულის ხალხი განუყოფელი ერი უნდა იყოს, ეს სამი ხალხი თითქმის გაუთავებელ შეხლა-შემოხლასა და ერთმანეთის წინააღმდეგ ომში არიან გახვეულნი. თუმც კი ბრიტანელი ხალხები ერთი საერთო ინტერესით იყვნენ განმსჭვალულნი კონტინენტურ სახელმწიფოთა მიმართ, ისინი თავიანთ მხრივ ათასგვარ ინტრიგებს ხლართავდნენ და ათასნაირ ხელოვნებას იშველიებდნენ, რომ ბრიტანეთის ხალხებს შორის აგზნებული ყოფილიყო გაუთავებელი ურთიერთშუღლი, რომ ეს ხალხები ერთმანეთს მხარში არ ამოდგომოდნენ და ურთიერთსარგებლობაზე არ ეზრუნათ, არამედ ურთიერთენება და ურთიერთტანჯვა დაეთესათ.

თუკი ამერიკა სამ ან ოთხ ერად დანაწევრდება განა მათაც იგივე არ მოუვათ? განა იგივე ურთიერღვარძლი არ იჩენს თავს და განა ამ ღვარძლსაც იმაენაირად არ დაუწყებენ ლოლიავს? ნაცვლად იმისა, რომ “სიყვარულით შეერთდნენ” და “თავი დააღწიონ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების შიშს” უმაღლე შეური და ღვარძლი აღმოფხვრის მათ შორის ნდობასა და სიყვარულს, თითოეული კონფედერაციის კერძო ინტერესი შთანთქავს მთლიანი ამერიკის საერთო ინტერესს. კერძო ინტერესი იქნება მათი პოლიტიკისა და მისწრაფების ერთადერთი საგანი და მსგავსად მოსაზღვრე სახელმწიფოთა უმრავლესობისა ამერიკული კონფედერაციებიც გაუთავებელ შეხლა-შემოხლასა და ომში, ანდა განუწყვეტელ შიშში იქნებიან გახვეულნი.

სამი თუ ოთხი ამერიკული კონფედერაციის ჩამოყალიბების ყველაზე მგზნებარე ქომაგებიც შეუძლებელია სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ კონფედერაციები დიდხანს შეინარჩუნებენ თანაბარ ძალას, თუნდაც თავდაპირველად ეს მოხერხდეს. რომც დაეუშვათ ასეთი ტოლძალიანობის შესაძლებლობა,

The history of Great Britain is the one with which we are in general the best acquainted, and it gives us many useful lessons. We may profit by their experience without paying the price which it cost them. Although it seems obvious to common sense that the people of such an island should be but one nation, yet we find that they were for ages divided into three, and that those three were almost constantly embroiled in quarrels and wars with one another. Notwithstanding their true interest with respect to the continental nations was really the same, yet by the arts and policy and practices of those nations, their mutual jealousies were perpetually kept inflamed, and for a long series of years they were far more inconvenient and troublesome than they were useful and assisting to each other.

Should the people of America divide themselves into three or four nations, would not the same thing happen? Would not similar jealousies arise, and be in like manner cherished? Instead of their being "joined in affection" and free from all apprehension of different "interests," envy and jealousy would soon extinguish confidence and affection, and the partial interests of each confederacy, instead of the general interests of all America, would be the only objects of their policy and pursuits. Hence, like most other BORDERING nations, they would always be either involved in disputes and war, or live in the constant apprehension of them.

The most sanguine advocates for three or four confederacies cannot reasonably suppose that they would long remain exactly on an equal footing in point of strength, even if it was possible to form them so at first; but, admitting that to be practicable, yet what human contrivance can secure the continuance of such equality? Independent of those local circumstances which tend to beget and increase power in one part and to impede its progress in another, we must advert to the effects of that superior policy and good management which would probably distinguish the government of one above the rest, and by which their relative equality in strength and consideration would be destroyed.

რომელი ადამიანური მექანიზმი შესძლებს მის გამრავალუ-
ხიერებას გარდა იმ ადგილობრივი გარემოებებისა, რომლებიც
ხელს უწყობს ძალის წარმოშობას და გაასკეცებას ქვეყნის
ერთ მხარეში, ხოლო მეორეში – ხელს უშლის მის განვითარე-
ბას? აუცილებელია, მოვიხსენიოთ იმ დახვეწილი პოლიტიკისა
და ვარგებული მართვის შედეგები, რომლებიც ერთ მთავრობას
მეორისგან გამოარჩევს და არღვევს ძალისა და წინდახედ-
ულების მხრივ მათ შედარებით თანაბრობას. ამიტომაც
ვერაინ მისცემს თავს იმის მტკიცების უფლებას, რომ კონ-
ფედერაციები მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნებენ
ერთგვაროვნებას და ერთსა და იმავე ღონეს ჯანსაღი,
კეთილგონიერი და წინდახედული პოლიტიკის წარმოებაში.

არაინ იცის როდის და რა მიზეზით, მაგრამ შეიძლება
მოხდეს და მოხდება კიდევ ის, რომ ამ სახელმწიფოთა თუ
კონფედერაციათაგან ერთ-ერთი სწრაფად გასცდება საერთო
ღონეს და პოლიტიკური მნიშვნელოვნების მხრივ უკან ჩამოი-
ტოვებს თავის მეზობლებს. ესენი შურიტა და შიშით დაუწყე-
ბენ მას ყურებას. შურისა და შიშის გამო მეზობლები თუკი
ხელს არ შეუწყობენ თანაგრძნობით მაინც მოექიდებიან ყვე-
ლაფერს, რაც დაწინაურებული თანამოქმის მნიშვნელოვნებას
დამცრობას უქადის. ამავე გრძნობათა გამო ისინი თავს შეი-
კაებენ იმ ღონისძიებებისგან, რომლებიც იმავე ქვეყნის დაწი-
ნაურებასა თუ მისი აყვავების უზრუნველყოფაზე იყო
გათვლილი; ბევრი დრო არ დასჭირდება იმ ქვეყანას საიმისოდ,
რომ გამოიცნოს მეზობლების ვერაგული ჩანაფიქრები. იგი მყ-
ისევე არათუ ნდობას დაკარგავს მეზობლებისადმი, არამედ
იმავე არაკეთილმოსურნეობით განეწყობა მათდამი. უნ-
დობლობა უნდობლობასევე ბადებს. ხოლო კეთილ ნებასა და
კარგ საქციელს ვერაფერი ცვლის ისე სწრაფად, როგორც
აშკარად გამოხატული თუ შეფარული ღვარძლით საცხე შური
და უღირსი შეუცხყოფა.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ძლიერ რეგიონს წარ-
მოადგენს და მრავალი ადგილობრივი გარემოებაც შეუწყობს
ხელს იმას, რომ ნაევარაუდევე კონფედერაციათაგან ყველაზე
ჩრდილოური არც თუ შორეულ მომავალში სხვებზე უფრო
ძლევამოსილი შეიქმნას. მაგრამ არც თუ ისე სწრაფად გახდება
საცნაური ის, რომ ჩრდილოურ სკას ამერიკის ყველაზე
სამხრეთული მხარეები იმავე აზრებსა და გრძნობებს აუშლიან,

For it cannot be presumed that the same degree of sound policy, prudence, and foresight would uniformly be observed by each of these confederacies for a long succession of years.

Whenever, and from whatever causes, it might happen, and happen it would, that any one of these nations or confederacies should rise on the scale of political importance much above the degree of her neighbors, that moment would those neighbors behold her with envy and with fear. Both those passions would lead them to countenance, if not to promote, whatever might promise to diminish her importance; and would also restrain them from measures calculated to advance or even to secure her prosperity. Much time would not be necessary to enable her to discern these unfriendly dispositions. She would soon begin, not only to lose confidence in her neighbors, but also to feel a disposition equally unfavorable to them. Distrust naturally creates distrust, and by nothing is good-will and kind conduct more speedily changed than by invidious jealousies and uncandid imputations, whether expressed or implied.

The North is generally the region of strength, and many local circumstances render it probable that the most Northern of the proposed confederacies would, at a period not very distant, be unquestionably more formidable than any of the others. No sooner would this become evident than the NORTHERN HIVE would excite the same ideas and sensations in the more southern parts of America which it formerly did in the southern parts of Europe. Nor does it appear to be a rash conjecture that its young swarms might often be tempted to gather honey in the more blooming fields and milder air of their luxurious and more delicate neighbors.

They who well consider the history of similar divisions and confederacies will find abundant reason to apprehend that those in contemplation would in no other sense be neighbors than as they would be borderers; that they would neither love nor trust one another, but on the contrary would be a

იაც თავის დროზე ევროპის სამხრეთმა აუშალა კონტინენტურ რდილოეთს. როგორც ჩანს სწრაფად ვერც იმას მიეხვედებით, რომ ჩრდილოურ ამერიკული ფუტკრის ნორჩ ნაყარს ხშირად ჯარეეს ხელს ცდუნება იმისა, რომ თაფლის მოსაგროვებლად ჯავიანთი მდიდარი და ტურფა მეზობლების აყვავებულ ველებს ჰქესიონ და მათი ლბილი ჰაერი ისუნთქონ.

ინც კარგად იცის მსგავსი დანაწევრებებისა და კონფედერაციების ისტორია, ისიც კარგად აქვს გასიგრძეგანებული, რომ ქვეყნებს, რომლებზეც ვმსჯელობთ, მხოლოდ და მხოლოდ იმდენად შეიძლება ეწოდოთ მეზობლები, რამდენადაც ერთმანეთთან საერთო საზღვარი ექნებათ. მათ არც ეყვარებათ ერთმანეთი და არც ნდობით იქნებიან ერთმანეთის მიმართ, არამედ პირიქით, მათ უთანხმოება, შუღლი და ურთიერთცილისწამება მოუღებს ბოლოს. ერთი სიტყვით, ეს ქვეყნები ზუსტად იმ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორშიც ზოგიერთ სახელმწიფოს ჩვენი ხილვა ეოცნებება. კერძოდ ეს არის მდგომარეობა, როცა საშიშროებას მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთს შეეუქმნით.

ამგვარი განაზრებანი ნათლად გვიჩვენებს, რომ დიდად ცდებიან ის ბატონები, რომლებიც ფიქრობენ, თითქოსდა ნაგარაუდევი კონფედერაციებისაგან შესაძლებელი იყოს შეტევითი თუ თაყდაცვითი ალიანსების შეკერა; თითქოსდა მათ თან ახლდეს შესაძლებლობა იმისა, რომ მოეახდინოთ ნებათა, სამხედრო ძალებისა და რესურსების კომბინირება და შეერთება, რაც აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ ისინი მრისხანე მომხდურის წინააღმდეგ ძალად ქცეულიყვნენ.

როდის ყოფილა, რომ ისეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებადაც თავის დროზე დაიყო ბრიტანეთი და ესპანეთი, ალიანსი შეეკრათ ანდა საერთო გარეშე მტრის წინააღმდეგ ძალები გაეერთიანებინათ? ნაგარაუდევი კონფედერაციებიც სხვადასხვა სახელმწიფოები იქნება, თითოეულ მათგანს უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის მოსაწესრიგებლად აუცილებლად დასჭირდებათ უცხო ქვეყნებთან განსხვავებული ხელშეკრულებების დადება, და რაკი ისინი სხვადასხვა პროდუქტებსა და საქონელს აწარმოებენ, სხვადასხვა ბაზარზე რომ არის მორგებული, ამგვარი ხელშეკრულებანიც არსებითად სხვადასხვა ხასიათის იქნება. აღებ-მიცემობაზე განსხვავებული საზრუნავი

prey to discord, jealousy, and mutual injuries; in short, that they would place us exactly in the situations in which some nations doubtless wish to see us, viz., **FORMIDABLE ONLY TO EACH OTHER.**

From these considerations it appears that those gentlemen are greatly mistaken who suppose that alliances offensive and defensive might be formed between these confederacies, and would produce that combination and union of wills of arms and of resources, which would be necessary to put and keep them in a formidable state of defense against foreign enemies.

When did the independent states, into which Britain and Spain were formerly divided, combine in such alliance, or unite their forces against a foreign enemy? The proposed confederacies will be **DISTINCT NATIONS.** Each of them would have its commerce with foreigners to regulate by distinct treaties; and as their productions and commodities are different and proper for different markets, so would those treaties be essentially different. Different commercial concerns must create different interests, and of course different degrees of political attachment to and connection with different foreign nations. Hence it might and probably would happen that the foreign nation with whom the **SOUTHERN** confederacy might be at war would be the one with whom the **NORTHERN** confederacy would be the most desirous of preserving peace and friendship. An alliance so contrary to their immediate interest would not therefore be easy to form, nor, if formed, would it be observed and fulfilled with perfect good faith.

განსხვავებულ ინტერესებს წარმოშობს. ბუნებრივია, ეს ხელშეკრულებები ერთმანეთისგან პოლიტიკური ერთგულების ხარისხითაც განსხვავდებიან და უცხო ქვეყნებთან ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულებითაც. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ის უცხო ქვეყანა, რომელსაც შესაძლოა, სამხრეთული კონფედერაცია ეომებოდეს, იგივე სახელმწიფო აღმოჩნდეს, რომელთან მშვიდობისა და მეგობრობის შენარჩუნება ყველაზე სასურველია ჩრდილოური კონფედერაციისათვის. ამიტომაც იოლი არ არის ისეთი ალიანსის შეკვრა, რომელიც მიუღებელია მათი უშუალო ინტერესისთვის. ასეთი ალიანსი რომც შეიკრას, ძნელი იქნება მისი შენარჩუნება. ასევე ძნელი წარმოსადგენია, იგი ურთიერთნდობას ემყარებოდეს და სრულად სრულდებოდეს.

უფრო მეტიც, ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ამერიკაში, ისე როგორც ევროპაში ურთიერთდაპირისპირებული ინტერესებითა და ერთმანეთისადმი არაკეთილმოსურნე გრძნობებით განმსჭვალული მეზობელი სახელმწიფოები ხშირად აღმოჩნდნენ სხვადასხვა სამხედრო ბანაკში. თუ მხედველობაში მივიღებთ ევროპისგან ჩვენს დაშორებას, მაშინ უფრო ბუნებრივია, რომ ამ კონფედერაციებისათვის საფრთხე არათუ შორეული ქვეყნებიდან, არამედ ერთმანეთისაგან მომდინარეობს. ამიტომაც მათთვის ბევრად უფრო სასურველი იქნება ერთმანეთისაგან უცხო ალიანსებით დაიცვან თავი, ვიდრე ერთმანეთს შორის შეკრული ზავით წინ აღუდგნენ გარეშე საფრთხეს. აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბევრად უფრო ადვილია უცხო ფლოტები შემოუშვა მშობლიურ ნავსადგურში და სამშობლოში უცხო ჯარები შემოიყვანო, ვიდრე ის, რომ დაარწმუნო ან აიძულო იგი, დატოვოს ქვეყნის ტერიტორია. გავიხსენოთ თუ რამდენი ქვეყანა დაუპყრიათ რომაელებსა და სხვებს სამოკავშირეო ხელშეკრულებათა დადების გზით და მათი საბაბით რამდენი რამ მოუხვევიათ თავს იმ მთავრობებისთვის, რომლებსაც თითქოსდა მფარველობას უწევდნენ.

დაე, პატიოსანმა ადამიანებმა განსაჯონ, საიმედოდ ვიქნებით თუ არა დაცულნი უცხო სახელმწიფოთა მხრივ მტრობისა და უმართებულო ჩარევისაგან, თუკი ამერიკა რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დანაწევრდება.

კუპლიანი

Nay, it is far more probable that in America, as in Europe, neighboring nations, acting under the impulse of opposite interests and unfriendly passions, would frequently be found taking different sides. Considering our distance from Europe, it would be more natural for these confederacies to apprehend danger from one another than from distant nations, and therefore that each of them should be more desirous to guard against the others by the aid of foreign alliances, than to guard against foreign dangers by alliances between themselves. And here let us not forget how much more easy it is to receive foreign fleets into our ports, and foreign armies into our country, than it is to persuade or compel them to depart. How many conquests did the Romans and others make in the characters of allies, and what innovations did they under the same character introduce into the governments of those whom they pretended to protect.

Let candid men judge, then, whether the division of America into any given number of independent sovereignties would tend to secure us against the hostilities and improper interference of foreign nations.

PUBLIUS

შტატებს შორის შეტაკების საფრთხეთა თაობაზე
დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჰამილტონი

ნიუ იორკის შტატის ხალხს.

წინა სამ წერილში ის საფრთხეები გავარჩიეთ გათითოებულებს იარაღის ძალით, ანდა სხვა რამ საშუალებით, თავს რომ დაგვატეხენ უცხო სახელმწიფოები. ახლა სრულიად სხვა საფრთხეების განხილვას ვიწყებ. ესენი, შესაძლოა, უფრო სახიფათონიც კია, რაკი თვითონ შტატებს შორის უთანხმოების, შინააშლილობისა და შფოთვის მიზეზით წარმოიშობა. ამის რამდენიმე მაგალითი ადრევე მოვიტანეთ. მაგრამ, ეს საფრთხეები ღირან იმად, რომ მათ გამორჩეული ყურადღებით მოვეკიდოთ და უფრო სრულად გამოვიკვლიოთ.

უსაშველო სპეკულაციებით უნდა გქონდეს თავი გამოტენილი, რათა არ დაიჯერო ის, რომ შტატები სამკედრო-სასიცოცხლოდ დაერევიან ერთმანეთს, თუკი მათ შორის არ იქნება კავშირი ანდა თუკი ისინი ცალ-ცალკე კონფედერაციებად ან, სულაც, უფრო წერილ ჯგუფებად გაერთიანდებიან. ზოგიერთი ფიქრობს, ამგვარი ხოცვა-ჟლეტა არ მოხდება, რაკი საამისო მიზეზი არ არსებობს; მაგრამ, ასე იფიქრო იმას ნიშნავს, დაივიწყო, ადამიანი ამპარტაენი, ლვარძლიანი და გაუმაძღარი რომაა. მოელოდე იმას, რომ რაკი მეზობლები არიან ეს დაცალცალეებული სახელმწიფოები ერთმანეთს არაფერს დაუშავენ და მათ შორის მარადიული თანხმობა იქნებაო, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ანგარიშს არ უწევდე ადამიანური ისტორიის ჩვეულებრივ მსვლელობას და უგულვებულყოფდე საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას.

სახელმწიფოთა შორის მტრობა აურაცხელი მიზეზით ხდება. ზოგიერთი მათგანი იმდენად ზოგადია, რომ თითქმის გამუდმებით ახდენს შემოქმედებას საზოგადოების კოლექტიურ სტრუქტურებზე. მათ შორისაა ძალაუფლების სიყვარული, პირველობისა და ბატონობის სურვილი. ძალაუფლებისადმი უნდობლობა, მისგან თავდაცვისა და თანასწორობისაკენ სწრაფვაც ამავე მიზეზებში შედის. სხვა მიზეზების მოქმედების

The FEDERALIST NO. 6

*Concerning Dangers from Dissensions Between the States
For the Independent Journal*

HAMILTON

To the People of the State of New York:

THE three last numbers of this paper have been dedicated to an enumeration of the dangers to which we should be exposed, in a state of disunion, from the arms and arts of foreign nations. I shall now proceed to delineate dangers of a different and, perhaps, still more alarming kind--those which will in all probability flow from dissensions between the States themselves, and from domestic factions and convulsions. These have been already in some instances slightly anticipated; but they deserve a more particular and more full investigation.

A man must be far gone in Utopian speculations who can seriously doubt that, if these States should either be wholly disunited, or only united in partial confederacies, the subdivisions into which they might be thrown would have frequent and violent contests with each other. To presume a want of motives for such contests as an argument against their existence, would be to forget that men are ambitious, vindictive, and rapacious. To look for a continuation of harmony between a number of independent, unconnected sovereignties in the same neighborhood, would be to disregard the uniform course of human events, and to set at defiance the accumulated experience of ages.

The causes of hostility among nations are innumerable. There are some which have a general and almost constant operation upon the collective bodies of society. Of this description are the love of power or the desire of preeminence and dominion--the jealousy of power, or the desire of equality and safety.

ვარგლები ბევრად უფრო შეზღუდულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინიც ძალუმ შემოქმედებას ახდენენ თავ-თავიანთი სფეროების შიგნით. ასეთია ის საეკატრო ურთიერთქიშობა და კონკურენცია, რომელიც მოვაჭრე სახელმწიფოთა შორის არსებობს. ამათზე მცირერიცხოვანი როდია მტრობის ის მიზეზები, მთლიანად პიროვნული ვნებებით რომ სასრდლობს; იქნება ეს თემის თავკაცთა ერთგულება, შუღლი, დაინტერესება, იმედი თუ შიში იმ თემებისადმი, რომლის წევრებიც თვითონვე არიან. ამ ყაიდის ადამიანებსაც, სულ ერთია, ვინ იყო იგი, მეფისა თუ ხალხის რჩეული, ხშირად ბოროტად უსარგებლიათ იმ ნდობით, მათ რომ გამოუცხადეს; აქაოდა საზოგადო საქმისთვის ვიღეწითო, მათ სახელმწიფოებრივი სიმშვიდე უტიფრად შეუწირავეთ ხოლმე პირადი სარფისა და კერძო კმაყოფილებისთვის.

სახელგანთქმულმა პერიკლემ თანამემამულეთა აუარება სისხლი და ქონება შეაღია¹, რომ როგორმე თავისი ხარჯა ეამებინა, როგორმე მისთვის წყენა დაეცხრო. იგი თავს დაესხა ქალაქ სამნიას, სძლია და მიწასთან გაასწორა იგი. არაეინ იცის, რამ შეაგულიანა იგივე პერიკლე მეგარელთა², ამ ბერძნული სახელმწიფოს მიმართ პირადმა შუღლმა თუ იმან, რომ მოიწადინა, თავი დაედწია იმ სასჯელსათვის, რასაც იმის მტკიცება უქადდა, რომ მისი ხელი ერია ფიდიასის ქანდაკების გატაცებაში³; თუ იმან, რომ უნდოდა თავიდან აეშორებინა კიდევ ერთი ბრალდება: სახელმწიფო ხაზინა გაფლანგა, რათა ხალხის კეთილგანწყობა⁴ მოენადირებინაო. ვინ იცის, იქნებ ყველა ამ მიზეზმა ერთად წააქეზა იგი, რომ აებრიალებინა ღირსახსოვარი და საბედისწერო ომის ხანძარი, საბერძნეთის ისტორიაში პელოპენესის ომის სახელით რომაა ცნობილი. იგი მრავალგზის შეწყდა და კვლავ განახლდა. მან მოიტანა ათასგვარი უბედურება. ხელი მოუთავა ათენელთა შეკავშირებას.

ერთი ამპარტავანი კარდინალი, ჰენრი VIII კარზე პრემიერ-მინისტრად რომ იყო, ისე გაზულუქდა, ოცნებაში რომის პაპის გვირგვინსაც კი წაეპოტინა.⁵ იმპერატორის, კარლოს V შეწეუნის იმედი მოიცა, რათა ხელთ ეგდო ეს, ეგზომ სანუკვარი ჯილდო. ამ კარდინალმა ინგლისი დანასისხლად გადაქიდა საფრანგეთს, რათა გაქნილი და ძღვევამოსილი იმპერატორის

There are others which have a more circumscribed though an equally operative influence within their spheres. Such are the rivalships and competitions of commerce between commercial nations. And there are others, not less numerous than either of the former, which take their origin entirely in private passions; in the attachments, enmities, interests, hopes, and fears of leading individuals in the communities of which they are members. Men of this class, whether the favorites of a king or of a people, have in too many instances abused the confidence they possessed; and assuming the pretext of some public motive, have not scrupled to sacrifice the national tranquillity to personal advantage or personal gratification.

The celebrated Pericles, in compliance with the resentment of a prostitute,¹ at the expense of much of the blood and treasure of his countrymen, attacked, vanquished, and destroyed the city of the SAMNIANS. The same man, stimulated by private pique against the MEGARENSIANS,² another nation of Greece, or to avoid a prosecution with which he was threatened as an accomplice of a supposed theft of the statuary Phidias,³ or to get rid of the accusations prepared to be brought against him for dissipating the funds of the state in the purchase of popularity,⁴ or from a combination of all these causes, was the primitive author of that famous and fatal war, distinguished in the Grecian annals by the name of the PELOPONNESIAN war; which, after various vicissitudes, intermissions, and renewals, terminated in the ruin of the Athenian commonwealth.

The ambitious cardinal, who was prime minister to Henry VIII., permitting his vanity to aspire to the triple crown,⁵ entertained hopes of succeeding in the acquisition of that splendid prize by the influence of the Emperor Charles V. To secure the favor and interest of this enterprising and powerful monarch, he precipitated England into a war with France, contrary to the plainest dictates of policy, and at the hazard of the safety and independence, as well of the kingdom over which he presided by his counsels, as of Europe in general.

კეთილგანწყობა მოენადირებინა და ყურადღება მიექყრო. არაფრად ჩააგდო ის, რომ ამგვარი მზაკეობა ეწინააღმდეგება პოლიტიკის ყველაზე თვალნათლივ მოთხოვნებს და საფრთხეში აგდებს არათუ საზოგადოდ ევროპის, არამედ თავად იმ სამეფოს უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას, რომლის მთავრობის თავმჯდომარეც თვითონ იყო. თუკი ოდესმე ყოფილა ქვეყნად ისეთი ხელმწიფე, ვისაც ღონე შესწევდა, ხორცი შეესხა მსოფლიო მონარქიის იდეისათვის, ეს სხვა არაა იყო, თუ არა იმპერატორი კარლოს V. მან თავისი ინტრიგების ქსელში გახვია და გამოიყენა პატივმოყვარე და ყვეწი კარდინალი უოლსეი.

ევროპის ამა თუ იმ მნიშვნელოვან ნაწილში შფოთიც შეუტანია და მღელვარება დაუცხრია კიდევც იმ ზეგავლენას, რომელიც მოჰყოლია ერთი ვინმე მანდილოსნის⁶ თავდავიწყებულ სიყვარულს, მეორის სულწასულობას,⁷ ხოლო მესამის მეტისმეტ მიდრეკილებას საიდუმლო შეთქმულებებისადმი.⁸ ეს თემები და მათი ზეგავლენა თანამედროვე პოლიტიკაზე ისეთის გულმოდგინებითაა გამოკვლეული, რომ აღარც კი შეიძლება იყოს საზოგადო ინტერესის საგანი.

ამიტომაც დროს აღარ გაეფლანგავ, რათა კვლავ და კვლავ მოვიტანო მაგალითები იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენს კერძო მოსასრებები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენათა ფორმირებაზე როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. ამგვარი ზეგავლენის წყაროთა ზერელე ცოდნაც კია საკმარისი, რათა თავად გაიხსენო მისი სხვადასხვა მაგალითები. ხოლო თუკი ღრმად იცნობ კაცის ბუნებას, მაშინ აღარც კი გჭირდება რაიმე ისტორიული ცნობები, რომ ზემოხსენებული ზეგავლენის ნამდვილობასა და ხარისხზე საკუთარი აზრი იქონიო. ზოგადი პრინციპის საილუსტრაციოდ იქნებ უპრიანი იყოს ის შემთხვევა გაეიხსენოთ, რაც ამ ბოლო დროს ჩვენში მოხდა. შეიხს რომ ყველა იმედი არ ჰქონოდა გადაწურული ვალის გასტუმრებისა, მაშინ ალბათ არც მასაჩუსეტსი გაეხვეოდა სამოქალაქო ომის აღში.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილების მონაცემები, ამ შემთხვევაში, ჩემს სისწორეს ადასტურებს, დღემდე მაინც მოიძებნებიან ისეთი მეოცნებე და გამომგონებელი ადამიანები, მზად რომ არიან, უაზრობა ამტკიცონ: შტატებს შორის მარადიულ

For if there ever was a sovereign who bid fair to realize the project of universal monarchy, it was the Emperor Charles V., of whose intrigues Wolsey was at once the instrument and the dupe.

The influence which the bigotry of one female,⁶ the petulance of another,⁷ and the cabals of a third,⁸ had in the contemporary policy, ferments, and pacifications, of a considerable part of Europe, are topics that have been too often descanted upon not to be generally known.

To multiply examples of the agency of personal considerations in the production of great national events, either foreign or domestic, according to their direction, would be an unnecessary waste of time. Those who have but a superficial acquaintance with the sources from which they are to be drawn, will themselves recollect a variety of instances; and those who have a tolerable knowledge of human nature will not stand in need of such lights to form their opinion either of the reality or extent of that agency. Perhaps, however, a reference, tending to illustrate the general principle, may with propriety be made to a case which has lately happened among ourselves. If Shays had not been a DESPERATE DEBTOR, it is much to be doubted whether Massachusetts would have been plunged into a civil war.

But notwithstanding the concurring testimony of experience, in this particular, there are still to be found visionary or designing men, who stand ready to advocate the paradox of perpetual peace between the States, though dismembered and alienated from each other. The genius of republics (say they) is pacific; the spirit of commerce has a tendency to soften the manners of men, and to extinguish those inflammable humors which have so often kindled into wars. Commercial republics, like ours, will never be disposed to waste themselves in ruinous contentions with each other. They will be governed by mutual interest, and will cultivate a spirit of mutual amity and concord.

მშვიდობა დაისადგურებს თუნდაც ისინი ერთმანეთისაგან გათიშულნი და პირმიქცევით იყვნენო.

ისინი ამბობენ, რესპუბლიკებს მშვიდობისმყოფელი გენია მფარველობსო. ვაჭრობის სული ადამიანის ზნეს ღმობიერს ხდის, შრეტს ვნებათა იმ მხურვალებას, რომელთაც ხშირად აღუგზნია ომის კოცონიო; რესპუბლიკები, რომლებიც აღებმიცემობას მისდევენ, თავიანს ძალ-ღონეს არასოდეს შეაღებენ ურთიერთშორის გამაჩანაგებელ შეხლა-შემოხლასო; ისინი საერთო ინტერესებით იხელმძღვანელებენ, ამხანაგობისა და ურთიერთთანხმობის სულს გააღაღებენო.

მაგრამ, განა (ერთიც ვკითხოთ ამ გამომგონებელ პოლიტიკოსებს) ყოველი სახელმწიფოს ინტერესი არ არის, კეთილმოწყაღე და ფილოსოფიურ სულს ნერგავდეს? თუნდაც, ასე იყოს, განა მუდამ ეს ინტერესი ასულდგმულებს თითოეულ მათგანს? განა პირიქით არ არის – განა ყოველთვის არ ვაწყდებით ხოლმე, რომ ეფემერული ვნებები და წუთიერი ინტერესები უფრო აქტიურად და ძალუმად გაბატონებულან ადამიანის ქცევაზე, ვიდრე ზოგადი და შორეული წარმოდგენები პოლიტიკის, სარგებლობიანობისა და სამართლიანობის შესახებ? განა რესპუბლიკებს ნაკლებ ემარჯვებათ და მოსწონთ ომი, ვიდრე მონარქებს? როგორც ერთის, ისე მეორის სათავეში განა ცოდვილი ადამიანი არა დგას? განა ზიზღით, მიკერძოებით, მოცილებობით და არამი ლუკმის ხელში ჩაგდების სურვილით არ იღვეწიან როგორც მეფენი, ისე რესპუბლიკური სახელმწიფოები? განა სახალხო წარმომადგენლობებს არ დარეეს ხოლმე ხელს უეცარი რისხვა, გაუტანლობა, შური, სიძუნწე და სხვაც ბევრი სათაკილო და შმაგი სწრაფვა? განა შესანიშნავად არ ვიცით, რომ ასეთს წარმომადგენლობებს რამდენიმე ნდობით აღჭურვილი პირი მართავს და რომ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლებელია, ამ პირთა ვნებებისა და შეხედულებების დაღი არ აჩნდეს? განა კომერციამ დღემდე რამე ქნა გარდა იმისა, რომ ომის მიზნები შეცვალა? სარგებლისადმი ტრფიანლება განა ისევე დიდმპყრობელური და გაქნილი ვნება არაა, როგორც ძალაუფლებისა თუ განდიდების სიყვარული? განა უფრო ცოტა ომი ატეხილა კომერციული მიზეზებით, მას შემდეგ რაც აღებ-მიცემობა სახელმწიფოებრივი მოწყობის უპირატეს სისტემად იქცა, ვიდრე გარდასულ დროებში, როცა ომების საბაბი მიწებისა და სამფლობელოების გაუმადლარი ნდობა

Is it not (we may ask these projectors in politics) the true interest of all nations to cultivate the same benevolent and philosophic spirit? If this be their true interest, have they in fact pursued it? Has it not, on the contrary, invariably been found that momentary passions, and immediate interest, have a more active and imperious control over human conduct than general or remote considerations of policy, utility or justice? Have republics in practice been less addicted to war than monarchies? Are not the former administered by MEN as well as the latter? Are there not aversions, predilections, rivalships, and desires of unjust acquisitions, that affect nations as well as kings? Are not popular assemblies frequently subject to the impulses of rage, resentment, jealousy, avarice, and of other irregular and violent propensities? Is it not well known that their determinations are often governed by a few individuals in whom they place confidence, and are, of course, liable to be tinctured by the passions and views of those individuals? Has commerce hitherto done anything more than change the objects of war? Is not the love of wealth as domineering and enterprising a passion as that of power or glory? Have there not been as many wars founded upon commercial motives since that has become the prevailing system of nations, as were before occasioned by the cupidity of territory or dominion? Has not the spirit of commerce, in many instances, administered new incentives to the appetite, both for the one and for the other? Let experience, the least fallible guide of human opinions, be appealed to for an answer to these inquiries.

Sparta, Athens, Rome, and Carthage were all republics; two of them, Athens and Carthage, of the commercial kind. Yet were they as often engaged in wars, offensive and defensive, as the neighboring monarchies of the same times. Sparta was little better than a wellregulated camp; and Rome was never sated of carnage and conquest.

იყო ხოლმე? განა ვაჭრული სულის დანერგვამ ხელი არ შეუწყო იმას, რომ ახალი მადა გახსნოდათ სახელმწიფოებს ერთმანეთის მიწა-წყლის მიტაცებისა? დაე, ამ კითხვებზე პასუხი მივანებოთ გამოცდილებას, ადამიანური აზრის ამ ყველაზე შეუმცდარ მეგზურს.

სპარტა, ათენი, რომი და კართაგენი სხვა არაფერი იყო, თუ არა რესპუბლიკები. ორი მათგანი, ათენი და კართაგენი კომერციული ყაიდის რესპუბლიკა იყო. მაგრამ, ორივენი ხშირად ჩაბმულა თავდასხმითსა და თავდაცვით ომებში, ზუსტად ისე, როგორც იმ დროის მათი მეზობელი მონარქიები. სპარტა ოდნავლა თუ იყო უფრო უკეთესი შესახედავი, ვიდრე კარგად გამართული საბრძოლო ბანაკი. რომი კი ვერ იქნა და ვერ გაძღა სისხლიანი სასაკლაოებითა და დამპყრობლური ომებით. კართაგენი, თუმც კი სავაჭრო რესპუბლიკა იყო, მაგრამ აგრესორად მოგვევლინა სწორედ იმ ომში, რომელმაც იგი აღგავა კიდევ პირისაგან მიწისა. მიუხედავად იმისა, რომ ჰანიბალი იტალიის შუაგულში შეიჭრა და რომის კარიბჭეს მიაღგა, სციპიონმა უკუაქცია იგი, მისი ჯარი კართაგენის მისადგომებთან შემუსრა და ხელთ იგდო მისი სამშობლო.

უფრო მოგვიანებით კი ვენეციამ გამუდმებული ომებით აიკლო სხვა იტალიური სახელმწიფოები, ვიდრე პაპმა იულიუს II არ გამოიხსნა სახსრები, რათა შეექმნა მრისხანე ლიგა⁹, რომელმაც სასიკედილო ლახვარი ჩასცა ამ თავგასული რესპუბლიკის ძლიერებასა და ყოყლოჩინობას.

პოლანდის პროვინციები ვიდრე მათ სიქას ააცლიდა ვალები და გადასახადები, მთავარსა და გამორჩეულ წილს იღებდა ევროპულ ომებში; გააფთრებით ებრძოდნენ ინგლისს, რათა ხელთ ეგდოთ ზღვაზე ბატონობა; ლუი XIV-ის ყველაზე შეუპოვარი და უღმობელი მტრებიც ისინი იყვნენ.

ბრიტანულ მმართველობაში სახალხო წარმომადგენლობა მხოლოდ ერთი შტოა ნაციონალური საკანონმდებლო ხელისუფლებისა. საუკუნეების მანძილზე ეს ქვეყანა უმთავრესად აღებმიცემობას ეწეოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ძნელად თუ მოიპოვება მეორე სახელმწიფო, ეგზომ გამალებით რომ ეწარმოებინოს ომები; და საქმე ისაა, რომ უმრავლეს

Carthage, though a commercial republic, was the aggressor in the very war that ended in her destruction. Hannibal had carried her arms into the heart of Italy and to the gates of Rome, before Scipio, in turn, gave him an overthrow in the territories of Carthage, and made a conquest of the commonwealth.

Venice, in later times, figured more than once in wars of ambition, till, becoming an object to the other Italian states, Pope Julius II. found means to accomplish that formidable league,⁹ which gave a deadly blow to the power and pride of this haughty republic.

The provinces of Holland, till they were overwhelmed in debts and taxes, took a leading and conspicuous part in the wars of Europe. They had furious contests with England for the dominion of the sea, and were among the most persevering and most implacable of the opponents of Louis XIV.

In the government of Britain the representatives of the people compose one branch of the national legislature. Commerce has been for ages the predominant pursuit of that country. Few nations, nevertheless, have been more frequently engaged in war; and the wars in which that kingdom has been engaged have, in numerous instances, proceeded from the people.

There have been, if I may so express it, almost as many popular as royal wars. The cries of the nation and the importunities of their representatives have, upon various occasions, dragged their monarchs into war, or continued them in it, contrary to their inclinations, and sometimes contrary to the real interests of the State. In that memorable struggle for superiority between the rival houses of AUSTRIA and BOURBON, which so long kept Europe in a flame, it is well known that the antipathies of the English against the French, seconding the ambition, or rather the avarice, of a favorite leader,¹⁰ protracted the war beyond the limits marked out by sound policy, and for a considerable time in opposition to the views of the court.

შემთხვევაში ეს სამეფო ხალხის ღოცვა-კურთხევით ებმებოდა ომებში.

სახალხო და სამეფო ომები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთნაირი სიხშირით ხდებოდა. ხალხის ღაღადსა და - მათი სურვილის საპირისპიროდ და სახელმწიფოს ჭეშმარიტ ინტერესთა საზიანოდაც კი - სახალხო წარმომადგენელთა დაუნიებულ მოთხოვნას ხშირად ჩაუთრევია ომში მონარქები. ევროპა დიდი ხნით იყო ცეცხლის ალებში გახეული იმის გამო, რომ პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდა ორი სამეფო კარი: ავსტრია და ბურბონები. კარგადაა ცნობილი, რომ ამ ომში ინგლისის მიერ საფრანგეთის ათვალწუნება მათივე სათაყვანები წინამძღოლის¹⁰ ამბიციასა და სიძულელილს თუ ჩამოუყარდებოდა მხოლოდ; ინგლისელების ამ უსაშველო ანტიპატიამ გაუსაძლისად გააჭიანურა ეს ომი. საღი პოლიტიკის საზღვრებში ვეღარ ეტეოდა იგი. გარკვეულ პერიოდებში სამეფო კარის ინტერესებშიც აღარ შედიოდა მისი განგრძობა.

ხსენებულ ორ სახელმწიფოს შორის ომებს უმეტესწილად კომერციული მოსაზრებები ასაზრდოებდა. ყოველ მათგანს სურდა მეორე დაეჯახნა ალებ-მიცემობის ერთს რომელიმე სფეროში. უფრთხოდა იმას, ვაითუ უპირატესობა დაეკარგო საზოგადოდ ვაჭრობის და ნაოსნობის სფეროში. უფრო სათაკილო რამაც ხდებოდა - ერთი სახელმწიფო მეორის ბაზარზე უნებართვო ვაჭრობას ესწრაფოდა. ბრიტანეთსა და ესპანეთს შორის ერთ-ერთი ბოლო ომი იმის გამო დაიწყო, რომ ინგლისელმა ვაჭრებმა ესპანეთის ამერიკასთან უკანონო ვაჭრობა სცადეს. ბრიტანულ უსამართლობას ესპანეთმა იმით უპასუხა, რომ უკიდურესად მკაცრი ზომები გაატარა ბრიტანეთის ქვეშევრდომთა მიმართ. ესპანური სანქციები არაფრით იყო გონიერული, ამიტომაც სამართლიანად დასდეს მას ბრალი სისასტიკესა და არაადამიანურობაში. ისე რომ ესპანეთის მიერ გატარებული ღონისძიებები უფრო მართლზომიერი როდი იყო, ვიდრე ინგლისელი ვაჭრების საქციელი, თავს რომ ასეთი სისასტიკე დაიტეხეს. ესპანელებმა ბევრი ინგლისელი სოვედაგარი იგდეს ხელთ და ესპანეთის ამერიკის სანაპიროზე პოტოზის მაღაროებში გააგზავნეს სამუშაოდ. როცა კაცს გამქვინვარება დარევს ხოლმე ხელს, არად დაგიდევს, სად უდანაშაულოა, სად დამნაშავე. ყველას ერთად მოუსვენს ხელი და უმართებულო სასჯელი დაადეს. სოვედაგართა ღაღადისმა შურისძიების

The wars of these two last-mentioned nations have in a great measure grown out of commercial considerations,—the desire of supplanting and the fear of being supplanted, either in particular branches of traffic or in the general advantages of trade and navigation. and sometimes even the more culpable desire of sharing the commerce of other nations, without their consent.

The last war but two between Britain and Spain sprang from the attempts of English merchants, to prosecute an illicit trade with the Spanish main. These unjustifiable practices on their part produced severities on the part of the Spaniards, to wards the subjects of Great Britain, which were not more justifiable; because they exceeded the bounds of just retaliation, and were chargeable with inhumanity and cruelty. Many of the English who were taken on the Spanish coast were sent to dig in the mines of Potosi; and by usual progress of spirit of resentment, the innocent were after a whole confounded with the guilty in indiscriminate punishment . The complaints of the merchants kindled a violent flame throughout the nation, which soon after broke out in the hose of commons, and was communicate from that body to the ministry . Letters of reprisal were granted and war ensued, which in its consequences overthrew all the alliances that but twenty years before had been formed, with sanguine expectations of the beneficial fruits.

From this summary of what has taken place in other countries, whose situations have borne the nearest resemblance to our own, what reason can we have to confide in those reveries which would seduce us into an expectation of peace and cordiality between the members of the present confederacy, in a state of separation? Have we not already seen enough of the fallacy and extravagance of those idle theories which have amused us with promises of an exemption from the imperfections, weaknesses and evils incident to society in every shape? Is it not time to awake from the deceitful dream of a golden age, and to adopt as a practical maxim for the direction of our political conduct that we, as well as the other inhabitants of the globe, are yet remote from the happy empire of perfect wisdom and perfect virtue?

ცეცხლი დაანთო თანამემამულეთა შორის; მისი ალები თემთა პალატას მოედო, მერე კი სამინისტროსაც შეენტო. გასცეს სიგელები, კონტრეპრესიათა ნებას რომ იძლეოდა. ამას მოჰყვა ომი, რომელმაც მოშალა ყველა ის კავშირი, ოცი წლის მანძილზე რომ შენდებოდა და ყველას იმედს უნერგაედა, მალე ვიგემებთო მის კეთილისმყოფელ ნაყოფს.

და ახლა, როცა გულისყურით ვეკიდებით სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას, რომელთა მდგომარეობა ჩვენსას წააგავს, განა გვაქვს საფუძველი აუყვეთ ოცნებებს და ვიქონიოთ იმედი, რომ კონფედერაციის დაშლის შემდგომ მათს წევრებს შორის მშვიდობა და გულითადობა დაისადგურებს? განა თავი არ მოგვაბუზრეს იმ მცდარმა და სუელელურმა თეორიებმა, ადამიანის გრძნობა-გონებას რომ ელამუნება, რაკი გეპირდება, ჩამოგვაშორონ ის არასრულყოფილება, სისუსტე და ბოროტება, რომლებიც ყველა ჯურის საზოგადოებას ახასიათებს? განა დრო არ არის გამოვერკვეთ ოქროს საუკუნეზე ამ გონებისწამლები სიზმრიდან და პოლიტიკური მოქმედების ერთი პრაქტიკული მაქსიმა გავითავისოთ; ჩვენ, ისევე, როგორც დედამიწის ყოველი სხვა მკვიდრი, განა ჯერ ისევე ძალზე შორს არა ვართ სრული სიბრძნისა და სრული სათნოების სანეტარო იმპერიიდან?

ამასობაში კი უკიდურესად დაცემულია ჩვენი ნაციონალური ღირსება და ნდობა. საყოველთაო წუხილს ბადებს ჩვენი მმართველობის დასუსტება და დასნეულება. ჩრდილოეთ კაროლინის ერთი ნაწილი აჯანყებას მოუცავს; შემფოთებას იწვევს არეულობა პენსილვანიაში; მასაჩუსეტში ამბოხია და ჯანყი; რარიგ მრავლისმეტყველია ეს მოვლენები!...

კაცობრიობის გამოცდილება სულაც არ ადასტურებს იმ პრინციპების სისწორეს, რომლებიც ძილისმომგვრელი გრძნეულებით ჩაგვიჩურჩულებენ, კავშირის დარღვევის შემთხვევაში შტატებს შორის უთანხმოება და მტრობა არ ჩამოვარდებაო; პირიქით, საზოგადოების განვითარებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად საკაცობრიო აზრმა ერთი პოლიტიკური აქსიომა შეადგინა: სახელმწიფოთა ურთიერთმეზობლობა და სიახლოვე მათ შორის ბუნებრივი მტრობის საწინდარიად. ერთი გონიერი მწერალი ამის შესახებ შემდეგ რასმე ამბობს: "სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად არიან,

Let the point of extreme depression to which our national dignity and credit have sunk, let the inconveniences felt everywhere from a lax and ill administration of government, let the revolt of a part of the State of North Carolina, the late menacing disturbances in Pennsylvania, and the actual insurrections and rebellions in Massachusetts, declare--!

So far is the general sense of mankind from corresponding with the tenets of those who endeavor to lull asleep our apprehensions of discord and hostility between the States, in the event of disunion, that it has from long observation of the progress of society become a sort of axiom in politics, that vicinity or nearness of situation, constitutes nations natural enemies. An intelligent writer expresses himself on this subject to this effect: "NEIGHBORING NATIONS (says he) are naturally enemies of each other unless their common weakness forces them to league in a CONFEDERATE REPUBLIC, and their constitution prevents the differences that neighborhood occasions, extinguishing that secret jealousy which disposes all states to aggrandize themselves at the expense of their neighbors."¹¹ This passage, at the same time, points out the EVIL and suggests the REMEDY.

PUBLIUS

ბუნებრივი მტრობით იმსჯელებიან ერთი მეორის მიმართ, ვიდრე საერთო სიძაბუნე არ აიძულებს მათ კონფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანდნენ; სანამ კონსტიტუცია თავიდან არ ააშორებს მათ იმ უთანხმოებებს, ურთიერთმეზობლობა რომ აჩენს; სანამ არ აღმოფხვრავს იგი იმ ფარულ შურს, რომლითაც აღიძვრის სახელმწიფოები, რათა მეზობელი დააკნინონ, თვითონ კი აღზევდნენ¹¹. ამ სიტყვებში სიძაბუნეცაა ნახსენები და ის საშუალებაცაა მოცემული, რითაც მას უნდა ეუწამლოთ.

კუბლიუსი

1. ასპასია, იხ. პლუტარქესთან, “პერიკლეს ცხოვრება”.
2. იქვე
3. იქვე
4. იქვე. ამბობენ, ფიდიასმა მინერვას ქანდაკების მოსაჭედად სახაზინო ოქრო მოიპარა, ხოლო პერიკლემ ნამუსი შეუნახაო
5. პაპის გვირგვინი
6. მაღამ მენტენონი
7. პერცოგინია მალბორო
8. მაღამ პომპედური
9. კამბრეის ლიგა: მასში შედიოდა იმპერატორი, საფრანგეთისა და არაგონის მეფეები, იტალიის მთაერებისა და სახელმწიფოების უმრავლესობა.
10. პერცოგი მალბორო
11. გაბრიელ ბონე დე მაბლი, “მოლაპარაკებათა წარმოების პრინციპთა შესახებ”

- ¹ Aspasia, vide ``Plutarch's Life of Pericles.''
- ² Ibid.
- ³ Ibid.
- ⁴ Ibid. Phidias was supposed to have stolen some public gold, with the connivance of Pericles, for the embellishment of the statue of Minerva.
- ⁵ Worn by the popes.
- ⁶ Madame de Maintenon.
- ⁷ Duchess of Marlborough.
- ⁸ Madame de Pompadour.
- ⁹ The League of Cambray, comprehending the Emperor, the King of France, the King of Aragon, and most of the Italian princes and states.
- ¹⁰ The Duke of Marlborough.
- ¹¹ Vide ``Principes des Negociations" par l'Abbe de Mably.

ამავე თემის განგრძობა (შტატებს შორის შეტაკების სა-
ვრთხეთა თაობაზე)

დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჰამილტონი

ნიუ იორკის შტატის ხალხს.

ხშირად ტრიუმფატორის გამომეტყველებით იკითხავენ ხოლმე, განა რა ექნებათ საჩხუბარი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შტატებსო? ამომწურავი პასუხი ასეთი იქნებოდა: ისინი იმავე მიზეზით უმტრობენ ერთმანეთს, რის გამოც მსოფლიოს სახელმწიფოებს თავს დასტეხიათ სისხლის წვიმები. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენთან მიმართებაში ეს შეკითხვა უფრო საგანგებო პასუხს მოითხოვს. ჩვენი განხილვის თვალსაწიერში უთანხმოებათა ისეთი მიზეზები შემოდის, რომელთა საერთო მიმართულება ფედერალური კონსტიტუციით დაწესებულ აკრძალვათა პირობებშიც კი საკმაო გამოცდილებას გვაძლევს, რათა დავეასკვნათ, რომ ბევრად უფრო უარესი რამაა მოსალოდნელი, თუკი ეს აკრძალვები გაუქმდებოდა.

ტერიტორიული დავა ყველა დროებში ყველაზე უფრო ნოყიერი ნიადაგი იყო ხოლმე სახელმწიფოთა შორის შუღლის გასადვივებლად. დედამიწის გამაპარტახებელი ომების უმეტესობაც მანვე წარმოშვა. ამ მიზეზს არნახული გასაქანი ექნება ჩვენში. შეერთებული შტატების საზღვრებში ხომ მოქცეულია თვალუწვდენელი უკაცრიელი ტერიტორიები. რამდენიმე შტატი დღემდე აცხადებს მათზე ურთიერთგამომრიცხავსა და დაუკმაყოფილებელ პრეტენზიას. კავშირის დაშლის შემდგომ კი ასე მოიქცევა უკლებლივ ყველა მათგანი. ცნობილია, თუ რა სერიოზული და ცხოველი კამათი ჰქონიათ შტატებს ერთმანეთს შორის იმ მიწების თაობაზე, რომლებიც რევოლუციის დროს არავისთვის გადაუციათ. ეს ტერიტორიები სამეფო მიწებად იწოდებოდა. მათ თავიანთს საკუთრებად რაცხდნენ ის შტატები, რომელთა კოლონიური მმართველობის საზღვრებშიც იყო მოქცეული ეს მიწები; სხვები კი ამტკიცებდნენ, ამ პუნქტში სამეფო კარის უფლებამოსილება სამოკავშირეო ხელისუფლებას უნდა გადაეცესო. ეს ითქმის განსაკუთრებით დასავლურ ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ბრიტანეთის მეფის იურისდიქციაში შედიოდა. მეფე ამ მიწას ან ფაქტიურად

The FEDERALIST NO. 7

*The Same Subject Continued
(Concerning Dangers from Dissensions Between the States)
For the Independent Journal*

HAMILTON

To the People of the State of New York:

IT IS sometimes asked, with an air of seeming triumph, what inducements could the States have, if disunited, to make war upon each other? It would be a full answer to this question to say--precisely the same inducements which have, at different times, deluged in blood all the nations in the world. But, unfortunately for us, the question admits of a more particular answer. There are causes of differences within our immediate contemplation, of the tendency of which, even under the restraints of a federal constitution, we have had sufficient experience to enable us to form a judgment of what might be expected if those restraints were removed.

Territorial disputes have at all times been found one of the most fertile sources of hostility among nations. Perhaps the greatest proportion of wars that have desolated the earth have sprung from this origin. This cause would exist among us in full force. We have a vast tract of unsettled territory within the boundaries of the United States. There still are discordant and undecided claims between several of them, and the dissolution of the Union would lay a foundation for similar claims between them all. It is well known that they have heretofore had serious and animated discussion concerning the rights to the lands which were ungranted at the time of the Revolution, and which usually went under the name of crown lands. The States within the limits of whose colonial governments they were comprised have claimed them as their property, the others have contended that the rights of the crown in this article devolved upon the Union; especially as to all that part of the Western territory which, either by actual possession, or through the submission of the Indian proprietors, was subjected to the jurisdiction of

ვლობდა ანდა მის ფაქტიურ მესაკუთრეებად ინდიელები თვლებოდნენ, ოღონდ ეს უკანასკნელნი მეფის ქვეშევრდომები იყვნენ. ასე იყო, ვიდრე ეს მიწა არ ჩამოერთვა ბრიტანეთს საზავო ხელშეკრულებით. იგი კონფედერაციის შენაძენად იქცა, რომელიც მან უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გზით მოიპოვა. კონგრესის გონივრული პოლიტიკის წყალობით მოგვარდა ეს წინააღმდეგობა. მან დაარწმუნა შტატები, დათმობაზე წასულიყვნენ კავშირის წინაშე, რაკი ეს სასარგებლო იქნებოდა მთლიანად ქვეყნისათვის. თუკი კავშირი კვლავაც იქნება შენარჩუნებული, მაშინ ფართო პერსპექტივა იხსნება იმისა, რომ ყველა სადაო საკითხი მეგობრულად მოგვარდეს; თუკი კავშირი დაიშალა, მაშინ ძველი ტერიტორიული დავა კვლავ განახლდება და ახალიც მრავალი გამოტყვერება. ამჟამად, უკაცრიელ ტერიტორიათა უდიდესი ნაწილი, თუ სულაც პირველობის უფლებით არა, უფლებამოსილებათა გადაცემის წყალობით მაინცაა კავშირის საზოგადო საკუთრება;

თუ კავშირი დაიშალა, ის შტატები, რომლებმაც მას უფლებები გადასცეს ფედერალური კომპრომისის საფუძველზე, ალბათ უკანვე მოითხოვენ მიწებს, რაკი აღარ იარსებებს საფუძველი მათი გაჩუქებისა. ბუნებრივია, სხვა შტატებიც დაბეჯითებით მოითხოვენ თავთაიანთ წილს, რაკი ისინი წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობენ. მათი არგუმენტი იქნებოდა ის, რომ არ შეიძლება ერთხელ გასაჩუქრებული მიწა უკანვე მოითხოვო; და რომ დაუშვებელია, დაირღვეს სამართლიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველამ თანაბრად ისარგებლოს საერთო ძალისხმევით მოპოვებული ანდა შემომტკივებული მიწებით. მაგრამ, თუკი ყოველი შტატი გამოაცხადებს, რომ თითოეულ მათგანს აქვს უფლება, თავისი წილი მოითხოვოს საერთო საგანძურიდან, მაშინ დასაძლვეი იქნება შემდეგი წინააღმდეგობა: რომელი მართებული წესით უნდა მოხდეს თანასწორი გადანაწილება? ყოველი შტატი გადანაწილების თავის საკუთარ პრინციპს წამოაყენებს; ისინი ერთმანეთის ინტერესს შელახავენ; ამიტომაც, ძნელია, კაცმა მშვიდობიანი მოწესრიგების იმედი იქონიო.

ამრიგად, დასავლეთის თვალუწედნელი ტერიტორიები ჩვენ წინაშე წარმოდგება ურთიერთგამომრიცხავი პრეტენზიების ფართო თეატრით; ეს იმ დროს, როცა არა ჩანს არც მომრიგებელი მოსამართლე და არც ჩვეულებრივი მსაჯული, რომელიც

the king of Great Britain, till it was relinquished in the treaty of peace. This, it has been said, was at all events an acquisition to the Confederacy by compact with a foreign power. It has been the prudent policy of Congress to appease this controversy, by prevailing upon the States to make cessions to the United States for the benefit of the whole. This has been so far accomplished as, under a continuation of the Union, to afford a decided prospect of an amicable termination of the dispute. A dismemberment of the Confederacy, however, would revive this dispute, and would create others on the same subject. At present, a large part of the vacant Western territory is, by cession at least, if not by any anterior right, the common property of the Union. If that were at an end, the States which made the cession, on a principle of federal compromise, would be apt when the motive of the grant had ceased, to reclaim the lands as a reversion. The other States would no doubt insist on a proportion, by right of representation. Their argument would be, that a grant, once made, could not be revoked; and that the justice of participating in territory acquired or secured by the joint efforts of the Confederacy, remained undiminished. If, contrary to probability, it should be admitted by all the States, that each had a right to a share of this common stock, there would still be a difficulty to be surmounted, as to a proper rule of apportionment. Different principles would be set up by different States for this purpose; and as they would affect the opposite interests of the parties, they might not easily be susceptible of a pacific adjustment.

In the wide field of Western territory, therefore, we perceive an ample theatre for hostile pretensions, without any umpire or common judge to interpose between the contending parties. To reason from the past to the future, we shall have good ground to apprehend, that the sword would sometimes be appealed to as the arbiter of their differences. The circumstances of the dispute between Connecticut and Pennsylvania, respecting the land at Wyoming, admonish us not to besanguine in expecting an easy accommodation of such differences. The articles of confederation obliged the parties to submit the matter to the decision of a federal court. The submission was

ამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მხარეებს შორის აღგებოდა. წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, სამოსველოდაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟამიდან ჟამს ცეცხლი და მახვილი იკისრებს ერთმანეთს წაკიდებული შტატების დაშოშმინებას. კონეკტიკუტსა და პენსილვანიას შორის ვაი-ჰონგის მიწის თაობაზე წამოჭრილი დაეის პერიპეტიები ჩაგვაგონებენ, ტყუილ იმედს ნუ მოვიცემთ, აქაოდა ამგვარი უთანხმოებანი იოლი მოსაგვარებელიაო. კონფედერაციული ხელშეკრულება ავალდებულებდა მხარეებს, საქმე განაჩენის გამოსატანად ფედერალური სასამართლოსთვის გადაეცათ. ასეც მოხდა; სასამართლომ კი პენსილვანია გაამართლა; ამან გაანაწყენა კონეკტიკუტი; სასამართლო განაჩენს მანამ არ დაემორჩილა, ვიდრე მოლაპარაკებისა და დაყვავების გზით მან არ მიიღო იმ ზარალის საზღაური, რაც მისი აზრით მას მიაყენეს. ამ შტატის საქციელის დასაგმობად იქ იოტისოდენაც არაფერი თქმულა. უეჭველია, იგი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო განაჩენით წაგება ნახა. სახელმწიფოებს კი, ადამიანთა მსგავსად, არაფრად ეპიტნავენათ, ემორჩილებოდნენ მათთვის სასარალო გადაწყვეტილებებს.

ვისაც კი შესაძლებლობა მიეცა ღრმად ჩაეხედა ნიუ-იორკისა და ვერმონტის ოლქს შორის უთანხმოებათა მორიგების საქმეში, დაგვიმოწმებს თუ რა წინააღმდეგობებს წაეაწყდით არა მარტო იმათ მხრივ, ვინაც უშუალოდ იყო დაინტერესებული, არამედ იმ შტატების მხრივაც, რომლებსაც ამ საქმის საგანგებო ინტერესი არა ჰქონია; იმასაც დაგვიდასტურებენ, რომ კონფედერაციის სიმშეიდეს შესაძლოა, აშკარა საფრთხე დამუქრებოდა, ნიუ - იორკს რომ ეცადა იარაღის ძალით დაეცვა თავისი უფლებები. ამგვარ დაპირისპირებას ორი უმთავრესი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი ისა, რომ შური იყვნენ აღძრულნი ჩვენი სამომავლო ძლევამოსილების მიმართ. მეორეც ისა, რომ მეზობელი შტატების ზოგიერთი გაელენიანი პირი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, რაკი ამ ოლქის ფაქტიურმა ხელისუფლებამ მას მიწები გადასცა. იმ შტატებსაც კი, რომლებმაც ჩვენი მოთხოვნები უკუაგდეს, ეტყობა, უფრო ნიუ-იორკის დაქუცმაცებისათვის ელეოდათ გული, ვიდრე თავიანთი პრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის. ესენი იყვნენ: ნიუ-ჰემპშირი, მასაჩუსეტსი და კონეკტიკუტი. ნიუ-ჯერსი და როდ აილენდი შემთხვევას როგორ გაუშვებდნენ, რომ მთელი მგზნებარებით არ დაეჭირათ მხარი ვერმონტის

made, and the court decided in favor of Pennsylvania. But Connecticut gave strong indications of dissatisfaction with that determination; nor did she appear to be entirely resigned to it, till, by negotiation and management, something like an equivalent was found for the loss she supposed herself to have sustained. Nothing here said is intended to convey the slightest censure on the conduct of that State. She no doubt sincerely believed herself to have been injured by the decision; and States, like individuals, acquiesce with great reluctance in determinations to their disadvantage.

Those who had an opportunity of seeing the inside of the transactions which attended the progress of the controversy between this State and the district of Vermont, can vouch the opposition we experienced, as well from States not interested as from those which were interested in the claim; and can attest the danger to which the peace of the Confederacy might have been exposed, had this State attempted to assert its rights by force. Two motives preponderated in that opposition: one, a jealousy entertained of our future power; and the other, the interest of certain individuals of influence in the neighboring States, who had obtained grants of lands under the actual government of that district. Even the States which brought forward claims, in contradiction to ours, seemed more solicitous to dismember this State, than to establish their own pretensions. These were New Hampshire, Massachusetts, and Connecticut. New Jersey and Rhode Island, upon all occasions, discovered a warm zeal for the independence of Vermont; and Maryland, till alarmed by the appearance of a connection between Canada and that State, entered deeply into the same views. These being small States, saw with an unfriendly eye the perspective of our growing greatness. In a review of these transactions we may trace some of the causes which would be likely to embroil the States with each other, if it should be their unpropitious destiny to become disunited.

დამოუკიდებლობისთვის. მათს თავგამოდებას მერილენდიც კვერს უკრავდა, ვიდრე იგი კანადასა და ვერმონტს შორის არსებული კავშირის გამჟღავნებამ არ შეაშფოთა. ყველა ესენი წვრილ-წვრილი შტატები იყო, რომლებსაც ჩვენი მზარდი სიდიადის ბოღმა ახრჩობდათ. საკმარისია, ხელახლა გაეადეუნოთ თვალი ამ მაგალითებს, რომ მათში უეჭველად აღმოვაჩინოთ ის მიზეზები, რამაც შესაძლოა, შტატები ერთმანეთს დანა-სისხლად გადაჰკიდოს, თუკი მათ დაშლა და დაქუცმაცება უწყვიათ.

სავაჭრო კონკურენცია სახელმწიფოთა შორის შეხლა-შემოხლის კიდევ ერთი მასაზრდოებელი წყაროა. ის შტატები, რომლებიც უხვირო გარემო პირობებში იმყოფებიან, მოიწადინებენ თავი დააღწიონ მათ და ბევრად უფრო იღბლიანი მეზობლების სახეირო შემოგარენს შეესიონ. ყოველი შტატი თუ ცალკე კონფედერაცია მხოლოდ საკუთარ სააღებშიცემო პოლიტიკას გაატარებს. ამას მოჰყვება განსხვავებათა დადგენა, საგადასახადო შეღავათების დაწესება და გამონაკლისთა დაშვება. ყოველივე ეს კი განაწყენებას გამოიწვევს. პირველივე ახალშენების გაჩენის დღიდან დაეწიეთ იმას, რომ ურთიერთობებში ყველას თანასწორი პრივილეგიით გვესარგებლა. განაწყენების ისედაც მძაფრ მიზეზებს ამით კიდევ მეტი სიმძაფრე მიეცემათ. ისე, რომ მზად უნდა ვიყოთ, რათა უსამართლობა დავარქვათ ყოველივე იმას, რასაც სამართლიან აქტად მიიჩნევენ ის სუვერენული წარმონაქმნები, რომლებსაც განსხვავებული ინტერესი ამოძრავებს. საქმოსნური სული, რომელიც კომერციულ ამერიკას უდგას, აგვიკლებს თავისი უხამსობით. ეს აღვირახსნილი სული არაფრად ჩააგდებს ვაჭრობის იმ წესებს, რომლებიც ამა თუ იმ შტატს დაუწესებია, რათა თავიანთი მოქალაქეები გამორჩევით ახეირონ. ცალკერძ ამ წესების დარღვევა, ცალკერძ კი მათი არკძალვის და გაუქმების მცდელობა, ბუნებრივია, ძალმომრეობას დაბადებს; ეს კი რესპრესიებსა და ომს გამოიწვევს.

ისეთი სავაჭრო წესები დააწესო, მარტო შენს მოქალაქეებს რომ ახეირებს, ეს ნიშნავს, სხვები მოხარკეებად გაიხადო; ამას კი არც ერთი შტატი არ შეურიგდება. ამის მაგალითად, ნიუ-იორკის, კონექტიკუტისა და ნიუ-ჯერსის ურთიერთობა გამოდგება. შემოსავლის მიღების აუცილებლობა აიძულებს ნიუ-იორკს, მოსაკრებელი დაადოს თავის იმპორტს; მისი დიდი

The competitions of commerce would be another fruitful source of contention. The States less favorably circumstanced would be desirous of escaping from the disadvantages of local situation, and of sharing in the advantages of their more fortunate neighbors. Each State, or separate confederacy, would pursue a system of commercial policy peculiar to itself. This would occasion distinctions, preferences, and exclusions, which would beget discontent. The habits of intercourse, on the basis of equal privileges, to which we have been accustomed since the earliest settlement of the country, would give a keener edge to those causes of discontent than they would naturally have independent of this circumstance. WE SHOULD BE READY TO DENOMINATE INJURIES THOSE THINGS WHICH WERE IN REALITY THE JUSTIFIABLE ACTS OF INDEPENDENT SOVEREIGNTIES CONSULTING A DISTINCT INTEREST. The spirit of enterprise, which characterizes the commercial part of America, has left no occasion of displaying itself unimproved. It is not at all probable that this unbridled spirit would pay much respect to those regulations of trade by which particular States might endeavor to secure exclusive benefits to their own citizens. The infractions of these regulations, on one side, the efforts to prevent and repel them, on the other, would naturally lead to outrages, and these to reprisals and wars.

The opportunities which some States would have of rendering others tributary to them by commercial regulations would be impatiently submitted to by the tributary States. The relative situation of New York, Connecticut, and New Jersey would afford an example of this kind. New York, from the necessities of revenue, must lay duties on her importations. A great part of these duties must be paid by the inhabitants of the two other States in the capacity of consumers of what we import. New York would neither be willing nor able to forego this advantage. Her citizens would not consent that a duty paid by them should be remitted in favor of the citizens of her neighbors; nor would it be practicable, if there were not this impediment in the way, to distinguish the customers in our own markets.

წილი ჩვენი ორი მეზობელი შტატის მოსახლეობამ უნდა იხადოს, რაკი ისინი არიან ჩვენი იმპორტის მომხმარებლები. ნიუ-იორკი არ მოიწადინებს და, რომც მოიწადინოს, ვერ შესძლებს უარი თქვას ამ სარგებელზე; მისი მოქალაქეები არ იქნებიან ყაბულს, ვინმეს მაგივრად ფული იხადონ და ამით სხვები ახეირონ. ეს წინააღმდეგობა რომც არ წარმოშობილიყო, სულ ერთია, მაინც ვერ შეეძლებდით საკუთარ ბაზარზე საკუთარ მომხმარებელთა შორის დიფერენციაცია გაგვეტარებინა. როდემდე შეეგუება კონეკტიკუტი და ნიუ-ჯერსი იმას, რომ ნიუ-იორკი სავაჭრო საქონელს ბეგარას ადებდეს და სარგებელს მარტო ნახულობდეს? კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიყოთ უსრუნველი და საამერი მეტროპოლია, რომელიც უსაშველო სარფას იხვეჭს? როდემდე უნდა ვაძლევდეთ მეზობლებს მძულვარების საბაბს, რაკი ისინი თელიან, რომ ჩვენი გამდიდრება მათი გაღატაკების ხარჯზე ხდება? განა შეეძლებდით ჩვენი მდგომარეობის შენარჩუნებას მაშინ, როცა ცალკერძ კონეკტიკუტი გეაწევა, ცალკერძ კი ნიუ-ჯერსიდან გვადგას იძულება? ამ კითხვებზე დადებით პასუხს მარტო შლეგი თუ გასცემდა.

გათიშულ შტატებს ან კონფედერაციებს შორის შეტაკებათა კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება იქცეს სახელმწიფო ვალი. მათს განაწყენებასა და ურთიერთმოშუღლეობას ჯერ აღებული ვალის თანასწორი განაწილება, მერე კი მისი წილობრივი დაფარვა გამოიწვევს. განაწილების რა წესი უნდა შემოიღო, რომ ყველა კმაყოფილი დაგვრჩეს? ძნელად, რომ ასეთი რამე რეალურ წინააღმდეგობებს არ წააწყდეს. ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები კი ცეცხლზე ნაეთის დასხმის ტოლფასი იქნება. ყოველი შტატი თავისებურად უყურებს იმ საერთო პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალის დაფარვა უნდა მოხდეს. ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ აიტყეებს თავს სახელმწიფო კრედიტზე ფიქრით; ეგ იმიტომ, რომ მათს მოქალაქეებს არა აქვს ამის უშუალო ინტერესი. უფრო მეტი, მათ ზიზღსა ჰგერის იმის ხსენებაც კი, რომ საერთოდ არსებობს ვალი და რომ იგი გადასახდელია. უსაშველოდ გაძნელდება იმის დადგენა, თუ რომელ შტატს რამდენის გადახდა მართებს. დანარჩენი შტატები კი, რომელთა მოქალაქეები სახელმწიფოს კრედიტორები არიან, ხოლო ეს კრედიტები ბევრად აღემატება სახელმწიფო ვალში მათი მშობლიური შტატების წილს, დაბეჯითებით გამოვლენ მოთხოვნით, რომ

Would Connecticut and New Jersey long submit to be taxed by New York for her exclusive benefit? Should we be long permitted to remain in the quiet and undisturbed enjoyment of a metropolis, from the possession of which we derived an advantage so odious to our neighbors, and, in their opinion, so oppressive? Should we be able to preserve it against the incumbent weight of Connecticut on the one side, and the co-operating pressure of New Jersey on the other? These are questions that temerity alone will answer in the affirmative.

The public debt of the Union would be a further cause of collision between the separate States or confederacies. The apportionment, in the first instance, and the progressive extinguishment afterward, would be alike productive of ill-humor and animosity. How would it be possible to agree upon a rule of apportionment satisfactory to all? There is scarcely any that can be proposed which is entirely free from real objections. These, as usual, would be exaggerated by the adverse interest of the parties. There are even dissimilar views among the States as to the general principle of discharging the public debt. Some of them, either less impressed with the importance of national credit, or because their citizens have little, if any, immediate interest in the question, feel an indifference, if not a repugnance, to the payment of the domestic debt at any rate. These would be inclined to magnify the difficulties of a distribution. Others of them, a numerous body of whose citizens are creditors to the public beyond proportion of the State in the total amount of the national debt, would be strenuous for some equitable and effective provision. The procrastinations of the former would excite the resentments of the latter. The settlement of a rule would, in the meantime, be postponed by real differences of opinion and affected delays. The citizens of the States interested would clamour; foreign powers would urge for the satisfaction of their just demands, and the peace of the States would be hazarded to the double contingency of external invasion and internal contention.

თითოეულმა შტატმა უზრუნველყოს თავ-თავიანთი წილი ეალის სამართლიანი და დროული დაფარვა. ურჩი გადამხდელების მედღეხევალიობა გამოიწვევს ნამუსიანი გადამხდელების აღშფოთებას. აზრთა რეალური დაპირისპირება და მისგან წარმოშობილი დაბრკოლებები მეორეხარისხოვან ამოცანად აქცევს განაწილების სამართლიანი წესის შემოღებას. დაინტერესებული შტატების მოქალაქეები ერთ დავიდარებას ატეხენ. უცხო სახელმწიფოები დაუინებით მოგეთხოვენ, რომ დაეკმაყოფილოთ მათი მართებული მოთხოვნები. შტატებს შორის დასადგურებულ მშვიდობას ორკეცი საფრთხე დაემუქრება: ქვეყნის გარედან შეიარაღებული შემოჭრა და ქვეყნის შიგნით შეხლა-შემოხლა.

დაეუშვათ, ერთიანი წესის თაობაზე წამოჭრილი სიძნელეები გადალახულ იქნა და ვალი სამართლიანად გადანაწილდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთანხმებული წესი პრაქტიკულ ცხოვრებაში ზოგიერთ შტატს სხეებზე მძიმე ტვირთად დააწეება. ბუნებრივია, რომ სხვა შტატები არ დაუშვებენ საერთო წესის ამგვარ რევიზიას, რაკი იგი გამოიწვევდა სახელმწიფო ვალში საკუთარი წილის ზრდას. ამას მარჯვედ გამოიყენებენ მომჩივანი შტატები, რათა შესატანებიც არ შეიტანონ და სიძუნწეშიც ბრალი ვერ დასდონ. მათ მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ცხარე კამათსა და ლანძღვა-გინებას; თუნდაც გაამართლოს შემოღებულმა წესმა, ზოგიერთ შტატში მაინც მოხდება საგადასახადო ვალდებულებათა დარღვევები. ამის მიზეზი იქნება ან სახსრების რეალური უკმარობა ან ფინანსების უხეირო მართვა, ანდა მოულოდნელი არეულობანი ხელისუფლებაში; ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ადამიანი საიდანაც გამომტყვერალი საჭიროებისთვის კი არა, სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვისაც კი ძნელად იმეტებს ფულს. არა აქვს მნიშვნელობა, რას გამოუწვევია ამგვარი საგადასახადო შეცოდებანი. მათ უსაშველო წუწუნი, ურთიერთბრალდება და დაეა მოსდევს ხოლმე. სახელმწიფოთა სიმშვიდეს ისე ვერაფერი დაარღვევს, როგორც მათი ურთიერთვალდებულება ფული ერთი საერთო მიზნით იხადონ, ხოლო სარგებელი ვერაფერი ნახონ. აკი ადამიანის შესახებ არსებობს ერთი მთარული, მაგრამ ჭეშმარიტი გამონათქვამი: მოკალი და ფულს ნუ დაახარჯვინებო...

Suppose the difficulties of agreeing upon a rule surmounted, and the apportionment made. Still there is great room to suppose that the rule agreed upon would, upon experiment, be found to bear harder upon some States than upon others. Those which were sufferers by it would naturally seek for a mitigation of the burden. The others would as naturally be disinclined to a revision, which was likely to end in an increase of their own incumbrances. Their refusal would be too plausible a pretext to the complaining States to withhold their contributions, not to be embraced with avidity; and the non-compliance of these States with their engagements would be a ground of bitter discussion and altercation. If even the rule adopted should in practice justify the equality of its principle, still delinquencies in payments on the part of some of the States would result from a diversity of other causes--the real deficiency of resources; the mismanagement of their finances; accidental disorders in the management of the government; and, in addition to the rest, the reluctance with which men commonly part with money for purposes that have outlived the exigencies which produced them, and interfere with the supply of immediate wants. Delinquencies, from whatever causes, would be productive of complaints, recriminations, and quarrels. There is, perhaps, nothing more likely to disturb the tranquillity of nations than their being bound to mutual contributions for any common object that does not yield an equal and coincident benefit. For it is an observation, as true as it is trite, that there is nothing men differ so readily about as the payment of money.

Laws in violation of private contracts, as they amount to aggressions on the rights of those States whose citizens are injured by them, may be considered as another probable source of hostility. We are not authorized to expect that a more liberal or more equitable spirit would preside over the legislations of the individual States hereafter, if unrestrained by any additional checks, than we have heretofore seen in too many instances disgracing their several codes. We have observed the disposition to retaliation excited in Connecticut in consequence of the enormities perpetrated by the Legislature of

შტატებს შორის მტრობის კიდევ ერთ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ერთი შტატის მიერ ისეთი კანონების შემოღება, რომელიც არღვევს კერძო პირებს შორის შეთანხმებებს, ხელყოფს მეორე შტატის უფლებებს და აზარალებს მათს მოქალაქეებს. იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ცალკეული შტატის საკანონმდებლო ხელისუფლებას ოდესმე უფრო ლიბერალური და სამართლიანი სული ჩაედგმება; და თუკი არ იქნა დაწესებული დამატებითი კონტროლი, მათს კანონებს კვლავაც და კვლავაც აითვალწუნებენ. ჩვენ ენახეთ, თუ როგორ აღენტო კონექტიკუტი შურისგების გრძნობით იმის გამო, რომ როდ აილენდის საკანონმდებლო ხელისუფლებამ ბევრ რამეში მიჰქარა. აქედან ერთადერთი გონივრული დასკვნა გამოდის: მორალური ვალდებულებისა და სოციალური სამართლიანობის მხეცური დარღვევისათვის ფარატიანა ქალაღდით კი ვერაღვის აზღვევინებ, არამედ – ცეცხლითა და მახვილით.

წინა წერილებში საკმარ დამაჯერებლობით იქნა ნაჩვენები, რომ შეუძლებელია გათითოებულმა შტატებმა და კონფედერაციებმა რამდენადმე მყარი ალიანსი დაამყარონ უცხო სახელმწიფოებთან; ეს კი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სიმშვიდეს, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი ამერიკა არ შედუღაბდება, ანდა მისი შტატები მხოლოდღა ლიგის სუსტი კვანძებით შეიკვრებიან, მარტოოდენ თავდასხმისა და თავდაცვის ერთობლივ ღონისძიებებს რომ ითვალისწინებს, მაშინ ეს ალიანსი, რომელსაც წამდაუწუმ კრიჭინი გაუდის, თანდათან გაეხლართება ევროპული პოლიტიკისა და ომების მომაკვდინებელ ლაბირინთში; გათიშულ ნაწილთა შორის ატეხილი დამანგრეველი შეხლა-შემოხლის წყალობით მთლიანად ალიანსი და მისი ცალკეული წევრები ერთნაირად იქცევა მტრის მზაკვრობისა და მაქინაციების მსხვერპლად. Divide et Impera¹ – აი, ყოველი სახელმწიფოს მაქსიმა, რომელნიც ჩვენდამი მძულეარებით და შიშით გამსჭვალულან².

კუბლიუსი

1. გათიშე და იბატონე
2. ამ წერილების საგანი, რომ რაც შეიძლება სწრაფად წარედგინოს მკითხველ საზოგადოებას, განზრახული გვაქვს მათი გამოქვეყნება კვირაში 4-ჯერ: სამშაბათობით – “ნიუ იორკ პაკეტში”, ხუთშაბათობით კი – “ყოველღღიურ მაცნეში”

Rhode Island; and we reasonably infer that, in similar cases, under other circumstances, a war, not of PARCHMENT, but of the sword, would chastise such atrocious breaches of moral obligation and social justice.

The probability of incompatible alliances between the different States or confederacies and different foreign nations, and the effects of this situation upon the peace of the whole, have been sufficiently unfolded in some preceding papers. From the view they have exhibited of this part of the subject, this conclusion is to be drawn, that America, if not connected at all, or only by the feeble tie of a simple league, offensive and defensive, would, by the operation of such jarring alliances, be gradually entangled in all the pernicious labyrinths of European politics and wars; and by the destructive contentions of the parts into which she was divided, would be likely to become a prey to the artifices and machinations of powers equally the enemies of them all. *Divide et impera*¹ must be the motto of every nation that either hates or fears us.²

PUBLIUS

¹ Divide and command.

² In order that the whole subject of these papers may as soon as possible be laid before the public, it is proposed to publish them four times a week--on Tuesday in the *New York Packet* and on Thursday in the *Daily Advertiser*.

შედეგების შორის მტრობათა შედეგები

ნიუ იორკ პაკეტიდან 1787 წ. 20 ნოემბერი, სამშაბათი

ჰამილტონი

ნიუ იორკის შტატის ხალხს:

მას მერე რაც ცხადი გახდა, რომ ერთმანეთს ჩამოცილებული რამდენიმე შტატი ანდა საერთო კონფედერაციის ნამსხვრევებიდან აღმოცენებული მათი კომბინაციები, ომისა და მშვიდობის, მეგობრობისა და მტრობის ისეთ უკუღმართობებს დაიბრუნებენ თავს, რაც საერთო მმართველობას მოკლებულ ბევრ ჩვენს მეზობელს რგებია წილად, ნება მიბოძეთ გამოწველილეთ განვიხილო ამგვარი მდგომარეობის თანმხლები შედეგები.

მათი განყენებული არსებობის პირველ ხანებში შტატებს შორის ომი ბევრად დიდ უბედურებათა მომტანი იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებისთვისაა, რომლებშიც დიდი ხანის წინათ იქნა შემოღებული მუდმივი შეიარაღებული ძალები. ევროპის კონტინენტზე მუდმივ მზადყოფნაში ჰყავთ გაწვრთნილი ჯარები. მართალია, მათ შეუძლიათ, ზიანი მიაყენონ თავისუფლებასა და ეკონომიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდია ის სარგებლობა, რომელიც მათ მოაქვთ, რაკი შეუძლებელს ხდის ელვისებურ დაპყრობასა და ანაზღაურებულ განანაგებას, რაც საომარ მოქმედებათა განვითარებას მათ შემოღებამდე ახასიათებდა.

ამავე მიზნებს ემსახურება ფორთიფიკაციის ხელოვნება. ევროპის სახელმწიფოებს ჯაჭვიყით გარს არტყია სიმაგრეთა წყება, რაც აფერხებს მათი ჯარების ურთიერთშეჭრას. სამხედრო კომპანიები მთელთავიანთ ძალ-ღონეს აღევენ ორისამი სასაზღვრო გარნიზონის აღებას, რომ მტრულ ქვეყანაში შეაღწიონ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე აღმართული ასეთი დაბრკოლებანი ქანცს რომ აცლის მომხდურსა და აბრკოლებს მის წინსვლას. ძველად მეზობელი ქვეყნის გულამდე თითქმის ერთდროულად აღწევდა მომხდური ჯარები და ცნობა მათი მოახლოების შესახებ. ახლა კი გაწვრთნილი მხედრობის შედარებით მცირერიცხოვან ნაწილებს თავდაცვის ხაზზე რომ დგანან, გარნიზონებზე დამყარებით, უნარი შესწევთ, შეაფერხონ და საბოლოოდ ჩაშალონ კიდევ ბევრად უფრო

The FEDERALIST NO. 8

*The Consequences of Hostilities Between the States
From the New York Packet Tuesday, November 20, 1787.*

HAMILTON

To the People of the State of New York:

ASSUMING it therefore as an established truth that the several States, in case of disunion, or such combinations of them as might happen to be formed out of the wreck of the general Confederacy, would be subject to those vicissitudes of peace and war, of friendship and enmity, with each other, which have fallen to the lot of all neighboring nations not united under one government, let us enter into a concise detail of some of the consequences that would attend such a situation.

War between the States, in the first period of their separate existence, would be accompanied with much greater distresses than it commonly is in those countries where regular military establishments have long obtained. The disciplined armies always kept on foot on the continent of Europe, though they bear a malignant aspect to liberty and economy, have, notwithstanding, been productive of the signal advantage of rendering sudden conquests impracticable, and of preventing that rapid desolation which used to mark the progress of war prior to their introduction. The art of fortification has contributed to the same ends. The nations of Europe are encircled with chains of fortified places, which mutually obstruct invasion. Campaigns are wasted in reducing two or three frontier garrisons, to gain admittance into an enemy's country. Similar impediments occur at every step, to exhaust the strength and delay the progress of an invader. Formerly, an invading army would penetrate into the heart of a neighboring country almost as soon as intelligence of its approach could be received; but now a comparatively small force of disciplined troops, acting on the defensive, with the aid of posts, is able to impede, and finally to frustrate, the enterprises of one much

მასშტაბური სამხედრო ღონისძიება. ომის ისტორია დედამიწის ამ მხარეში აღარ არის დაპყრობილი სახელმწიფოებისა და დამხობილი იმპერიების ისტორია, არამედ იგია ამბავი მიტაცებული და კვლავგამოტაცებული ქალაქებისა, ბრძოლებისა, რომლებიც არაფერს წყვეტს; - უკანდახევებისა, რომლებსაც უფრო მეტი ხერი მოაქვს, ვიდრე გამარჯვებებს. იგი ისტორიაა უსაზმნო ძალისხმევის და არადმისაჩნევი მონაგარისა.

სრულიად სხვა სანახაობა იქნება ჩვენს ქვეყანაში. სამხედრო უწყებათა შორის მოშურნეობა, რამდენადაც შესაძლებელია, გააჯანლებს მუდმივი შეიარაღებული ძალების შემოღებას. ფორთიფიკაციათა უქონლობა და დაუცველი საზღვრები გააადვილებს იმას, რომ გათითობული შტატების ჯარები ერთმანეთის ტერიტორიაზე შეიჭრან. ხალხმრავალი შტატები იოლად გაანადგურებს მათს მეჩხრად დასახლებულ მეზობლებს. ერთნაირად საძნელო შეიქნება როგორც დაპყრობა, ასე დაპყრობილის შენარჩუნება. ამიტომაც ომებს ცალკეულ მძარცველურ შეტაკებათა ხასიათი ექნება. ძარცვა-გლეჯა და განანაგება ყოველითვის მოსდევდა ხოლმე არარეგულარულ შეიარაღებულ შენაერთთა თარეშს. ჩვენი მხედრული მამაცობით წარმოებულ სამხედრო მოქმედებათა გამორჩეული ნიშანი კი ის ბედუქუღმართობანი იქნება, რომლებიც თავს დაატყდება თითოეულ მაცხოვრებელს.

ასეთი რამ მთელი სისრულით ჯერ არ მომხდარა. მაგრამ გარწმუნებთ, ბევრი დრო არ დარჩენილა მის მოხდენამდე. ეროვნულ ქცევას ყველაზე უფრო ძლიერ გარეშე საფრთხისგან თავდაცვის აუცილებლობა განსაზღვრავს ხოლმე. თავისუფლებისადმი თვით მგზნებარე სიყვარულსაც კი, გარკვეული დროის მერე, დიქტატი ცვლის. სიცოცხლისა და ქონების იაყარქმნა, ომს რომ მოსდევს. განუწყვეტელი დაძაბულობა და განაგაში, რომელიც მუდმივი საფრთხის თანამდევია; ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ერებსაც კი იძულებულს გახდის სულის მოსაბრუნებლად და უსაფრთხოების მოსაპოვებლად ისეთ დაწესებულებებს მოუხმოს საშეველად, მათი სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების გასანადგურებლად რომ არიან მოწოდებულნი. ბოლოს და ბოლოს ისინი ყაბულს იქნებიან თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე უსაფრთხოება უსრუნველიყონ.

more considerable. The history of war, in that quarter of the globe, is no longer a history of nations subdued and empires overturned, but of towns taken and retaken; of battles that decide nothing; of retreats more beneficial than victories; of much effort and little acquisition.

In this country the scene would be altogether reversed. The jealousy of military establishments would postpone them as long as possible. The want of fortifications, leaving the frontiers of one state open to another, would facilitate inroads. The populous States would, with little difficulty, overrun their less populous neighbors. Conquests would be as easy to be made as difficult to be retained. War, therefore, would be desultory and predatory. PLUNDER and devastation ever march in the train of irregulars. The calamities of individuals would make the principal figure in the events which would characterize our military exploits.

This picture is not too highly wrought; though, I confess, it would not long remain a just one. Safety from external danger is the most powerful director of national conduct. Even the ardent love of liberty will, after a time, give way to its dictates. The violent destruction of life and property incident to war—the continual effort and alarm attendant on a state of continual danger, will compel nations the most attached to liberty to resort for repose and security to institutions which have a tendency to destroy their civil and political rights. To be more safe, they at length become willing to run the risk of being less free.

The institutions chiefly alluded to are STANDING ARMIES and the correspondent appendages of military establishments. Standing armies, it is said, are not provided against in the new Constitution; and it is therefore inferred that they may exist under it.¹ Their existence, however, from the very terms of the proposition, is, at most, problematical and uncertain. But standing armies, it may be replied, must inevitably result from a dissolution of the Confederacy. Frequent war and constant apprehension, which require a state

ზემოთხსენებულ ინსტიტუტებში, განსაკუთრებით, მუდმივი ჯარი და მათი შესატყვისი სამხედრო უწყებანი მოიაზრება. როგორც ითქვა, მუდმივი ჯარის წინააღმდეგ ახალი კონსტიტუცია არაფერს ამბობს, ამიტომაც კონსტიტუციის მიღებით, შესაძლოა, ამგვარი ჯარიც იქნას შემოღებული. თუმცა მისი არსებობა, შემოთავაზებული პროექტის თვალთახედვიდან, უკიდურეს შემთხვევაში, პრობლემური და ბუნდოვანია. მაგრამ ხშირი ომიანობა და გამუდმებული შუოთი, რომლებიც განუწყვეტელ სამხედრო სამზადისს მოითხოვენ, აუცილებლად წარმოშობს მუდმივ ჯარს. მას პირველები შემოიღებენ უფრო სუსტი შტატები თუ კონფედერაციები, რათა ძალით უფრო ძლევამოსილ თავიანთს მეზობლებს გაუტოლდნენ. ისინი არაფერს დაზოგავენ, რომ მოსახლეობისა და რესურსების სიმწირე თავდაცვის უფრო რეგულარული და ეფექტური სისტემით, გაწერთილი ჯარისა და ფორთიფიკაციების საშუალებით ამოიგონ. ამავე დროს ისინი იძულებულნი შეიქნებიან, გააძლიერონ აღმასრულებელი ხელისუფლება, რითაც გაასკეცდება მათი კონსტიტუციების მონარქიული მიდრეკილებანი; ომის ბუნებაა ისეთი, რომ ჰკეცს საკანონმდებლო ხელისუფლებას, აღმასრულებელს კი - აასკეცებს.

ამგვარ ღონისძიებებს რომ განახორციელებენ, შტატები იქნება თუ კონფედერაციები, უმაღლვე დიდად წააქეზებენ თავიანთს მეზობლებს. სახელმწიფოები, წერილი იქნება ისინი თუ ნაკლები ბუნებრივი სიმძლავრის მქონე, რომლებსაც ენერგიული მთავრობები ჰყავთ და ზურგს გაწერთილი ჯარები უმაგრებენ, ხშირად იმარჯვებენ ხოლმე მსხვილსა თუ უფრო მეტი ბუნებრივი სიმძლავრეების მქონე ქვეყნებზე, რომლებიც ამგვარ უპირატესობებს მოკლებულნი არიან. უფრო დიდ შტატებსა თუ კონფედერაციებს არც სიამაყე დაანებებს და არც უსაფრთხოების აუცილებლობა მისცემს იმის საშუალებას, რომ დიდი ხნით შეეგუონ ამნაირ დამამცირებელსა და ეფემერულ უპირატესობას, და უმაღლვე იმავე ღონისძიებათა განხორციელებას შეუდგებიან, რომლებმაც ისინი ამ დღეში ჩააგდეს, რათა თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა დაიბრუნონ. ისე რომ, მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში გაეხდებით იმ დესპოტური მანქანის შემსწრენი, რაც ძველ მსოფლიოს ჭირად შეურაცხეს. ასეთი იქნება მოვლენათა ბუნებრივი განვითარება; და ჩვენი მსჯელობა სწორი იმდენად იქნება, რამდენადაც იგი ამ განვითარებას არ გადაუხევეს.

of as constant preparation, will infallibly produce them. The weaker States or confederacies would first have recourse to them, to put themselves upon an equality with their more potent neighbors. They would endeavor to supply the inferiority of population and resources by a more regular and effective system of defense, by disciplined troops, and by fortifications. They would, at the same time, be necessitated to strengthen the executive arm of government, in doing which their constitutions would acquire a progressive direction toward monarchy. It is of the nature of war to increase the executive at the expense of the legislative authority.

The expedients which have been mentioned would soon give the States or confederacies that made use of them a superiority over their neighbors. Small states, or states of less natural strength, under vigorous governments, and with the assistance of disciplined armies, have often triumphed over large states, or states of greater natural strength, which have been destitute of these advantages. Neither the pride nor the safety of the more important States or confederacies would permit them long to submit to this mortifying and adventitious superiority. They would quickly resort to means similar to those by which it had been effected, to reinstate themselves in their lost pre-eminence. Thus, we should, in a little time, see established in every part of this country the same engines of despotism which have been the scourge of the Old World. This, at least, would be the natural course of things; and our reasonings will be the more likely to be just, in proportion as they are accommodated to this standard.

These are not vague inferences drawn from supposed or speculative defects in a Constitution, the whole power of which is lodged in the hands of a people, or their representatives and delegates, but they are solid conclusions, drawn from the natural and necessary progress of human affairs.

შეიძლება შეგვესიტყვონ და გვეკითხონ თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ხშირი შეხლა-შემოხლის შედეგად, რომლებიც წეწდა საბერძნეთის ძველ რესპუბლიკებს, იქ არ აღმოცენებულა მუდმივი ჯარი. ამ შეკითხვაზე ერთნაირად დამაკმაყოფილებელი სხვადასხვა პასუხია შესაძლებელი. დღევანდელი ხალხები თავიანთს შრომა-გარჯითს უნარ-ჩვევებს ერთ-თავად იმაში აქსოვენ, რომ სოფლის მეურნეობა და აღებ-მიცემობა განაუთარონ; ამიტომაც ისინი ვერ ჰგუობენ სამხედრო სახელმწიფოებს, რაც ბუნებრივი ძალმომრეობა იყო ძველბერძნული რესპუბლიკათა ხალხებისათვის. ომის სისტემაში რევოლუცია გამოიწვია გადასახადების შემოღებამ, ოქროსა და ვერცხლის მარაგები რომ გააასკეცა, - სამრეწველო ხელოვნებამ და საფინანსო მეცნიერებამ, ეგზომ მეტოქეობას რომ უწევენ ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს. ადამიანთა საზოგადოებათაგან ეგოდენ განსხვავებული გაწვრთნილი ჯარი გახშირებულმა მტრობამ მის მიუცილებელ თანამგზავრად აქცია.

ამასთანავე, ძალიან დიდია განსხვავება ორი ისეთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელთაგან ერთი თავისი ბუნებრივი მდებარეობის წყალობით იშვიათად ხდება გარედან თავდასხმის ობიექტი. ხოლო მეორე ხშირად განიცდის მას და მუდმივ შიშში იმყოფება. პირველის - მმართველებს კარგი საბაზი ეძლევათ, მით უფრო თუკი მათი სურვილიც ეგაა, რომ ისევე მრავალრიცხოვანი არმია იყოლიონ, როგორც მეორე ყაიდის ქვეყნებისთვისაა აუცილებელი. ერთ შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებს, თუკი საერთოდ გამოიყენებენ, იშვიათად მიმართავენ საშინაო საფრთხეთაგან თავის დასაცავად და ხალხსაც არ ექნება შიში იმისა, რომ მას სამხედრო სუბორდინაცია დაიმორჩილებს. სამხედრო აუცილებლობათა გამოისობით სამოქალაქო კანონთა შესუსტება არ მოხდება. სამოქალაქო სახელმწიფო ძალაში დარჩება; მას ვერ შერყვნის სხვა ქვეყნის პრინციპები და მის მიერ დამჯობინებული ფასეულობები. არმია მცირერიცხოვანია და საზოგადოების ბუნებრივი ძალა მას აღემატება. მოქალაქეებს, რომლებიც დაჩვეულნი არ არიან სამხედრო ძალაუფლების მფარველობას ანდა მისი მხრიდან შევიწროებას, მართალია, არ უყვართ ჯარისკაცები, მაგრამ სამაგიეროდ არც ეშინიათ მათი. მოქალაქეები სამხედროებს ისე უყურებენ, როგორც აუცილებელ ჭირს. იჭენეულად ეთანხმებიან მათ არსებობას, თუმც კი მზად

It may, perhaps, be asked, by way of objection to this, why did not standing armies spring up out of the contentions which so often distracted the ancient republics of Greece? Different answers, equally satisfactory, may be given to this question. The industrious habits of the people of the present day, absorbed in the pursuits of gain, and devoted to the improvements of agriculture and commerce, are incompatible with the condition of a nation of soldiers, which was the true condition of the people of those republics. The means of revenue, which have been so greatly multiplied by the increase of gold and silver and of the arts of industry, and the science of finance, which is the offspring of modern times, concurring with the habits of nations, have produced an entire revolution in the system of war, and have rendered disciplined armies, distinct from the body of the citizens, the inseparable companions of frequent hostility.

There is a wide difference, also, between military establishments in a country seldom exposed by its situation to internal invasions, and in one which is often subject to them, and always apprehensive of them. The rulers of the former can have a good pretext, if they are even so inclined, to keep on foot armies so numerous as must of necessity be maintained in the latter. These armies being, in the first case, rarely, if at all, called into activity for interior defense, the people are in no danger of being broken to military subordination. The laws are not accustomed to relaxations, in favor of military exigencies; the civil state remains in full vigor, neither corrupted, nor confounded with the principles or propensities of the other state. The smallness of the army renders the natural strength of the community an over-match for it; and the citizens, not habituated to look up to the military power for protection, or to submit to its oppressions, neither love nor fear the soldiery; they view them with a spirit of jealous acquiescence in a necessary evil, and stand ready to resist a power which they suppose may be exerted to the prejudice of their rights.

არიან, წინ აღუდგენენ მათ ძალაუფლებას, რაკი მიანინათ, რომ იგი მათი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ხორციელდება. ამგვარ გარემოებებში არმია ხელისუფლებას მხოლოდ უმნიშვნელო შეხლა-შემოხლის, შემთხვევითი ჯანყისა თუ ამბოხის ჩასახშობად არგია. მაგრამ იგი ვერაფრით დაიმორჩილებს ხალხთა ფართო მასების გაერთიანებულ ძალისხმევას. ყველაფერი პირიქით მოხდება იმ შეჭირვებულ ქვეყანაში ბოლოს რომ აღვწერთ; საფრთხის განუწყვეტელი მუქარა აიძულებს მთავრობას, ყოველთვის მზად იყოს მის ასაშორებლად. მისი ჯარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს მტკიცე თავდაცვა. ამ სამსახურთა გამო მატულობს მნიშვნელობა ჯარისკაცისა, შესაბამისად უარესდება მოქალაქის მდგომარეობა. იმ ტერიტორიათა მაცხოვრებლები ხშირად რომ წარმოადგენს საომარ მოქმედებათა თეატრებს, ვერაფრით აიცილებენ თავიდან თავიანთი უფლებების ფეხქვეშ გათელვას. ეს კი იმას იწვევს, რომ მოქალაქეებს უბლაგედებათ ამგვარ უფლებათა განცდის უნარი და თანდათან ხალხში ფეხს იკიდებს შეხედულება, რომ ჯარისკაცი არა მარტო მფარველია მათი, არამედ უფროსიც. ჯარისკაცთა მიმართ ამგვარი განწყობიდან მათი როგორც ბატონების მიმართ განწყობაზე გადასვლა არც თუ შორეული პერსპექტივაა და იგი არც ისე ძნელია. ძნელი ის არის, რომ ამგვარი წნეხის ქვეშ მოქცეული ხალხი დაარწმუნო, გაბედული თუ ქმედითი წინააღმდეგობა გაუწიოს იმ უზურპატორებს, რომელთაც ზურგს უმაგრებს სამხედრო ძალაუფლება;

დიდი ბრიტანეთის სამეფო პირველი ტიპის ქვეყნებს განეკუთვნება. მას არა ჰყავს მრავალრიცხოვანი არმია; მისი კომპენსაცია კი ხდება იმით, რომ იგი კუნძულზე მდებარეობს და ძლევამოსილი ფლოტი ჰყავს. ეს საკმარისია, რათა მან თავიდან აიცილოს გარეშე ძალების შემოჭრა. ბრიტანეთში მიანინდათ, რომ არ არის საჭირო იმაზე მეტი ძალის ყოლა, რამდენიც აუცილებელია მოულოდნელად გადმოსხმული დესანტის შესაჩერებლად, ვიდრე სახალხო ლაშქარი შეიკრიბებოდეს და გაერთიანებოდეს. ბრიტანეთის ნაციონალური პოლიტიკის არც ერთი მოტივი არ მოითხოვს იმას, რომ შინ მრავალრიცხოვანი არმია იყოლიონ. ამას არც საზოგადოებრივი აზრი შეიწყნარებდა. ძველად დიდი ხნის განმავლობაში დიდი გასაქანი ბრიტანეთში არც სხვა გარემოებებს ჰქონია, რომელთაგანაც შინააშლილობათა თანამდევ შედეგებად მოვიხსენიეთ.

The army under such circumstances may usefully aid the magistrate to suppress a small faction, or an occasional mob, or insurrection; but it will be unable to enforce encroachments against the united efforts of the great body of the people.

In a country in the predicament last described, the contrary of all this happens. The perpetual menacings of danger oblige the government to be always prepared to repel it; its armies must be numerous enough for instant defense. The continual necessity for their services enhances the importance of the soldier, and proportionably degrades the condition of the citizen. The military state becomes elevated above the civil. The inhabitants of territories, often the theatre of war, are unavoidably subjected to frequent infringements on their rights, which serve to weaken their sense of those rights; and by degrees the people are brought to consider the soldiery not only as their protectors, but as their superiors. The transition from this disposition to that of considering them masters, is neither remote nor difficult; but it is very difficult to prevail upon a people under such impressions, to make a bold or effectual resistance to usurpations supported by the military power.

The kingdom of Great Britain falls within the first description. An insular situation, and a powerful marine, guarding it in a great measure against the possibility of foreign invasion, supersede the necessity of a numerous army within the kingdom. A sufficient force to make head against a sudden descent, till the militia could have time to rally and embody, is all that has been deemed requisite. No motive of national policy has demanded, nor would public opinion have tolerated, a larger number of troops upon its domestic establishment. There has been, for a long time past, little room for the operation of the other causes, which have been enumerated as the consequences of internal war. This peculiar felicity of situation has, in a great degree, contributed to preserve the liberty which that country to this day enjoys, in spite of the prevalent venality and corruption. If, on the contrary,

გამორჩეული ბუნებრივი მდებარეობით მონიჭებული ეს განსაკუთრებული ბედნიერება ბრიტანელებს შორის დიდწილად უწყობდა ხელს იმ თავისუფლების შენარჩუნებას, რომლითაც დღემდე ტკბება ეს ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ მასში ფართოდ არის გავრცელებული მექრთამეობა და კორუფცია. ბრიტანეთს რომ კონტინენტური მდებარეობა ჰქონოდა, მას რომ მდებარეობის გამო ამის იძულება დადგომოდა, თვითონაც იყოლიებდა სხვა დიდ ევროპულ სახელმწიფოთა ოდენა შეიარაღებულ ძალებს. და სრულიად უეჭველია, რომ ისიც ამ ქვეყანათა მსგავსად დესდღეობით ერთპიროვნული შეუზღუდავი ძალაუფლების მსხვერპლი გახდებოდა.

შესაძლებელია, მაგრამ ადვილი როდი არის, რომ კუნძულის ხალხი სხვა რამე მიზეზით იქნეს დამონებული. მაგრამ მისი დაკაბალების მიზეზი არასოდეს გახდება ყოლა ეგოდენ მცირერიცხოვანი ჯარისა, რაც ამ ქვეყანაში ჰყავთ.

ჩვენ რომ საკმაო სიბრძნე გამოვიჩინოთ და კავშირი შევინარჩუნოთ, სამარადუამო ნეტარებას მოგვანიჭებდა ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც კუნძულისას ძალზე წააგავს. ევროპა ერთობ შორსაა ჩვენგან, ჩვენსა და ჩვენს მეზობლად არსებულ მის კოლონიებს შორის ძალთა უთანასწორობა სულ უფრო და უფრო მატულობს. ამიტომაც მათ არა აქვთ იმის თავი, რომ სახიფათო წყენა მოგვაყენონ. ამ ვითარებაში არ არის აუცილებელი, რომ უსაფრთხოების დასაცავად მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალები ვიყოლიოთ. მაგრამ თუ დაეუშვებთ და ჩვენი კავშირის შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე გააგრძელებს არსებობას ანდა, ვთქვათ, ორ თუ სამ კონფედერაციად შეკოწიწდება, მაშინ ჩვენც იმ გადაულახავ სიძნელეებში გავიხლართებით, ევროპის კონტინენტურ სახელმწიფოებს რომ ახასიათებთ – ჩვენს თავისუფლებებს ის საშუალებანი იმსხვერპლებს, რომლებიც ჩვენვე შეექმენით ჩვენივე პატივმოყვარეობისა და ურთიერთმოშურნეობისგან თავის დასაცავად.

ეს ზერელე და უსაფუძვლო მოსაზრება როდია, არამედ საფუძვლიანი და ანგარიშგასაწევი აზრია, რომელიც ღირსია იმისა, რომ თითოეულმა გონიერმა და ღირსეულმა ადამიანმა მთელი სერიოზულობით განიხილოს და ყოველმხრივ აწონდაწონოს; თუკი ასეთი ადამიანები მთელ თაყიანთს სიმტკიცესა და სიღარბაისლეს მოუხმობენ და მიუკერძოებლად გაისიგრ-

Britain had been situated on the continent, and had been compelled, as she would have been, by that situation, to make her military establishments at home coextensive with those of the other great powers of Europe, she, like them, would in all probability be, at this day, a victim to the absolute power of a single man. 'T is possible, though not easy, that the people of that island may be enslaved from other causes; but it cannot be by the prowess of an army so inconsiderable as that which has been usually kept up within the kingdom.

If we are wise enough to preserve the Union we may for ages enjoy an advantage similar to that of an insulated situation. Europe is at a great distance from us. Her colonies in our vicinity will be likely to continue too much disproportioned in strength to be able to give us any dangerous annoyance. Extensive military establishments cannot, in this position, be necessary to our security. But if we should be disunited, and the integral parts should either remain separated, or, which is most probable, should be thrown together into two or three confederacies, we should be, in a short course of time, in the predicament of the continental powers of Europe —our liberties would be a prey to the means of defending ourselves against the ambition and jealousy of each other.

ძეგანებენ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იდეის ანგარიშგასაწვევობას. თუკი ისინი ძირისძირობამდე განჭკერეტენ მას და ჩაულრმავდებიან მისგან გამომდინარე შედეგს, მაშინ უყოყმანოდ შეწყვეტენ კონსტიტუციისადმი გაუმართლებელ არაკეთილმოსურნეობას, რომლის უკუგდება საბოლოო წერტილს დაუსვამდა ჩვენი კავშირის არსებობას. გაუჩინარდებოდა ის ავადმყოფური ფანტომები წარმოსახვაში რომ უქრის მის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს; და ისინი უმაღვე დაიწყებდნენ უფრო არსებით საფრთხეებზე ფიქრს; - საფრთხეებზე, რომლებიც განუზომლად უფრო რეალური, მოუცილებელი და საზარელია.

კუბლიუსი

1. ეს შეხედულება სრულად იქნება განხილული თავის დროზე; იქვე იქნება ნაჩვენები, რომ გამოჩენილი იქნა მაქსიმალური ბუნებრივი სიფრთხილე. ეს არის საუკეთესო ღონისძიება, რასაც ამერიკაში დღემდე შეთხზული არც ერთი კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა და რომელთა უმეტესობა ამ საკითხის არანაირ განმარტებას არ შეიცავდა.

This is an idea not superficial or futile, but solid and weighty. It deserves the most serious and mature consideration of every prudent and honest man of whatever party. If such men will make a firm and solemn pause, and meditate dispassionately on the importance of this interesting idea; if they will contemplate it in all its attitudes, and trace it to all its consequences, they will not hesitate to part with trivial objections to a Constitution, the rejection of which would in all probability put a final period to the Union. The airy phantoms that flit before the distempered imaginations of some of its adversaries would quickly give place to the more substantial forms of dangers, real, certain, and formidable.

PUBLIUS

¹ This objection will be fully examined in its proper place, and it will be shown that the only natural precaution which could have been taken on this subject has been taken; and a much better one than is to be found in any constitution that has been heretofore framed in America, most of which contain no guard at all on this subject.

ფილიპინისი №9

კავშირი როგორც შინააშლილობისა და ჯანყისგან
თავდაცვის საშუალება
დამოუკიდებელი გაზეთისათვის

ჰამილტონი

ნიუ-იორკის შტატის ხალხს.

მტკიცე კავშირს დიდი მნიშვნელობა ენიჭება შტატების მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. იგი ხომ გასაქანს არ მისცემს შინაგან განხეთქილებასა და ჯანყს. როცა საბერძნეთისა და იტალიის წვრილ-წვრილი რესპუბლიკების ისტორიას კითხულობ, შეძრწუნება და ზიზღი გეუფლება. ეს რა ვნებით მისცემიან ისინი განუწყვეტელ რყევებსა და გაუთავებელ რევოლუციებს; რა გამალებით ენარცხებიან ანარქიიდან ტირანიის უფსკრულში, ტირანიიდან კი – ანარქიისაში. ამ ქვეყნებში ჟამიდან ჟამს ჩამოვარდნილი მშვიდობა ხომ იმ ხანმოკლე გამოდარებას ჰგავს, რის შემდეგაც მძინვარე ქარიშხლები დატრიალდება. რა სინანული გვიპყრობს ხოლმე მათი კეთილდღეობის ხანმოკლე პერიოდების შემყურეს. ამ წარმტაც სანახაობას ხომ უმაღვე წალეკავს აჯანყებებისა და პარტიული გაუტანლობის ბობოქარი ტალღები. როს დიდების სხივები წამიერად გაკვეთენ წყვიდადს, როს თვალს მოგეჭრის მათი ხანმოკლე, მაგრამ წარმავალი ბრწყინვალება, ერწმუნდებით თუ რაოდენ სამწუხაროა, როცა ხელისუფლების უკეთურება გზას უმრუდებს და აფერმკრთალებს იმ ნათელი ტალანტებისა და აღფრთოვანებულ ნიჭთა სიკაშკაშეს, რომელთაც დიდებით შეუმოსავთ თავიანთი სამშობლოები.

ამ რესპუბლიკების ანალები, ერთთავად რომ რყევებსა და არეულობებს მოუცავთ, დესპოტიზმის მომხრეს არა მარტო მმართველობის რესპუბლიკური ფორმის, არამედ თვით საშოქალაქო თავისუფლების პრინციპის საწინააღმდეგო საბუთად დაუსახავს. იგი გმობს თავისუფალ მმართველობას, აქაოდა იგი არ გამოდგებოთ საზოგადოებაში წესრიგის უზრუნველსაყოფად; ამიტომაც, დვარძლიანი სიხარულით მხარობს, როცა თავისუფლების საძირკველზე აღმართულა და საუკუნეების განმავლობაში გაფურჩქნულა საოცარი დაწესებულებები, რომელთა ძლევამოსილების რამდენიმე მაგალითიც კია საკმარისი, რომ

The FEDERALIST NO. 9

*The Union as a Safeguard Against Domestic Faction and Insurrection
For the Independent Journal*

HAMILTON

To the People of the State of New York:

A FIRM Union will be of the utmost moment to the peace and liberty of the States, as a barrier against domestic faction and insurrection. It is impossible to read the history of the petty republics of Greece and Italy without feeling sensations of horror and disgust at the distractions with which they were continually agitated, and at the rapid succession of revolutions by which they were kept in a state of perpetual vibration between the extremes of tyranny and anarchy. If they exhibit occasional calms, these only serve as short-lived contrast to the furious storms that are to succeed. If now and then intervals of felicity open to view, we behold them with a mixture of regret, arising from the reflection that the pleasing scenes before us are soon to be overwhelmed by the tempestuous waves of sedition and party rage. If momentary rays of glory break forth from the gloom, while they dazzle us with a transient and fleeting brilliancy, they at the same time admonish us to lament that the vices of government should pervert the direction and tarnish the lustre of those bright talents and exalted endowments for which the favored soils that produced them have been so justly celebrated.

From the disorders that disfigure the annals of those republics the advocates of despotism have drawn arguments, not only against the forms of republican government, but against the very principles of civil liberty. They have decried all free government as inconsistent with the order of society, and have indulged themselves in malicious exultation over its friends and partisans. Happily for mankind, stupendous fabrics reared on the basis of liberty, which have flourished for ages, have, in a few glorious instances, refuted their gloomy sophisms. And, I trust, America will be the broad and solid

გაცამტვერდეს თავისუფლების მოწინააღმდეგეთა შავბნელი სოფიზმები. და მჯერა, რომ ამერიკა იქცევა ვრცელ და მტკიცე ქვაკუთხედად, რომელზეც სხვა არანაკლებ დიდებული შენობები აღიმართება, როგორც თავისუფლების მოწინააღმდეგეთა ცდომილების მარადიული ძეგლები.

მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ რესპუბლიკური მმართველობის სურათები, რომლებიც წარმოგვიდგინეს თავისუფლების მოწინააღმდეგეებმა, ზუსტი ასლებია იმ ორიგინალებისა, რომლებიდანაც ისინი გადმოიხატეს. და თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ასრულება არ ეწერა საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის მოდელებს, მაშინ თავისუფლების განათლებული მეგობრები ფარ-ხმალს დაჰყრიდნენ და აღიარებდნენ, აზრი არა აქვსო ამგვარი მმართველობის დაცვას. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამასობაში სხვა მეცნიერებათა მსგავსად დიდად სრულყოფილი შეიქნა პოლიტიკური მეცნიერებაც. სადღეისოდ ერთობ კარგადაა გააზრებული ბევრი ისეთი პრინციპის ქმედითუნარიანობა, რომლებსაც ძველები ან სრულებით არ იცნობდნენ ანდა მათზე არასრული წარმოდგენა ჰქონდათ. დაინერგა სხვადა სხვა უწყებებს შორის ძალაუფლების მოწესრიგებული გადანაწილების პრინციპი. შემოდებულ იქნა საკანონმდებლო ურთიერთგაწონასწორებისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმი; შეიქმნა სასამართლოს ისეთი ინსტიტუტი, რომელშიც მსაჯულებს თავიანთ პოსტი მანამდე უჭირაეთ, სანამ თემიდას უმწიკვლოდ ემსახურებიან. დაფუძნდა სახალხო წარმომადგენლების ინსტიტუტი, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებაში თავისუფალი არჩევნების გზით მოდის. ყველა ეს პრინციპი ან სრულიად ცინცხალი აღმოჩენაა ანდა თანამედროვე ეპოქაში ძველთაგანვე ცნობილი პრინციპების სრულყოფილი ვარიანტებია. ამ ძველამოსილ საშუალებებს ძალუძთ რესპუბლიკური მმართველობის ყველა უპირატესობის შენარჩუნება. ასევე შეუძლიათ, შეამცირონ ანდა თავიდან აგვაშორონ მისი არასრულყოფილებანი. მსურს, გავბედო და ღონისძიებათა ამ ჩამონათვალს, რომელთა მიზანია სახალხო ხელისუფლების სისტემის გაუმჯობესება, კიდევ ერთი პრინციპი დაეუმატო; იგი შესაძლოა, ზოგიერთისთვის სრულიად ახალი იყოს, მაგრამ ბევრისთვის ახალ კონსტიტუციაზე იერიშის მიტანის საბაზად შეიქნა - იმ ორბიტის გაფართოებას ვგულისხმობ, რომელზეც ამგვარმა სისტემებმა უნდა იტრიალონ. საქმე ისაა, რომ საჭიროა ან უფრო განიფინოს ერთი

foundation of other edifices, not less magnificent, which will be equally permanent monuments of their errors.

But it is not to be denied that the portraits they have sketched of republican government were too just copies of the originals from which they were taken. If it had been found impracticable to have devised models of a more perfect structure, the enlightened friends to liberty would have been obliged to abandon the cause of that species of government as indefensible. The science of politics, however, like most other sciences, has received great improvement. The efficacy of various principles is now well understood, which were either not known at all, or imperfectly known to the ancients. The regular distribution of power into distinct departments; the introduction of legislative balances and checks; the institution of courts composed of judges holding their offices during good behavior; the representation of the people in the legislature by deputies of their own election: these are wholly new discoveries, or have made their principal progress towards perfection in modern times. They are means, and powerful means, by which the excellences of republican government may be retained and its imperfections lessened or avoided. To this catalogue of circumstances that tend to the amelioration of popular systems of civil government, I shall venture, however novel it may appear to some, to add one more, on a principle which has been made the foundation of an objection to the new Constitution; I mean the ENLARGEMENT of the ORBIT within which such systems are to revolve, either in respect to the dimensions of a single State or to the consolidation of several smaller States into one great Confederacy. The latter is that which immediately concerns the object under consideration. It will, however, be of use to examine the principle in its application to a single State, which shall be attended to in another place.

სახელმწიფოს მოცულობა ანდა სხვადასხვა მომცრო სახელმწიფოები ერთ კონფედერაციად გაერთიანდნენ. ეს უკანასკნელი ჩვენ განაზრებათა უშუალო საგანია. თუმცა ასევე წაადგებოდა საქმეს, რომ ეს პრინციპი ერთი სახელმწიფოს მაგალითზე გამოგვეცადა, რასაც სხვა დროს გამოეცდით კიდევ. სულაც არ არის ახალი ის აზრი, რომ კონფედერაცია ვარგებულია როგორც შინაური შფოთის ჩახშობისა და საშინაო სიმშვიდის დაცვის საქმეში, ისე საგარეო ძლიერების და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ აზრის ჭეშმარიტება საუკუნეთა სრბოლაში გამოიწრთო და სხვადასხვა ქვეყნების ისტორიებში დადასტურდა. მას იზიარებს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მწერალი. კონსტიტუციის შემოთავაზებული პროექტის ოპონენტებს არ ბეზრდებათ მონტესკიეს ნაშრომიდან ციტატების მოყვანა; წაღმა-უკულმა ატრიალებენ მის მოსაზრებას, რომ აუცილებელია, რესპუბლიკური მმართველობა მცირე ტერიტორიაზე ხორციელდებოდესო. მაგრამ ეტყობა ამ ვაუბატონებმა არ იციან ამ დიდი ადამიანის განსხვავებული შეხედულებანი, რომლებიც იმავე შრომაშია გამოთქმული. ანდა ისინი არად მიიჩნევენ იმ პრინციპებიდან გამომდინარე შედეგებს, რომლისადმიც ესოდენ უსიტყვო მორჩილებით გამსჭვალულან.

როცა მონტესკიე გვიჩვენებს, უმჯობესია, რესპუბლიკური მმართველობა მცირე მოცულობის ტერიტორიაზე ხორციელდებოდესო, იგი ისეთ სტანდარტებს გულისხმობს, რომლებიც ბევრად ჩამოუვარდება ჩვენი ნებისმიერი შტატის ზომას. ვერც ვირჯინია, ვერც მასაჩუსეტსი, ვერც პენსილვანია, ვერც ნიუ-იორკი, ვერც ჩრდილოეთ კაროლინა ვერც ეფარდება იმ მოდელს, რის საფუძველზეც მონტესკიე მსჯელობს და რომლის მიმართაც თავისი დასკვნები გამოაქვს. თუკი ამ აზრებს უცილობელ ჭეშმარიტებად მივიჩნევდით, მაშინ ან მონარქს უნდა გავგებოდით ფერხთა ქვეშ ანდა უამრავ უსაშველოდ წერილ სახელმწიფოებად უნდა დავქუცმაცებულებიყავით, გაუთავებლად რომ მტრობენ, ექიშებიან და მოშურნეობენ ერთმანეთს. უსაშველო შეხლა-შემოხლის ეს საბუდარი მხოლოდდა საყოველთაო სიბრალულსა და ზიზღს დაბადებს, ვითარცა ერთობ უბადრუკი სანახაობა. ზოგიერთ მწერალს, რომელიც ხსენებულ საკითხს სხვანაირად განიხილავს, ეტყობა, გაუცნობიერებია ეს დილემა, რაკი უკან არ იხევეს და ნართაულად ამბობს, თითქოს სანუკვარი რამ იყოს ქვეყნის დაქუცმაცება. ასეთი ბრმა პოლიტიკა, ასეთი უგუნური ფანდი, რაც გულისხ-

The utility of a Confederacy, as well to suppress faction and to guard the internal tranquillity of States, as to increase their external force and security, is in reality not a new idea. It has been practiced upon in different countries and ages, and has received the sanction of the most approved writers on the subject of politics. The opponents of the plan proposed have, with great assiduity, cited and circulated the observations of Montesquieu on the necessity of a contracted territory for a republican government. But they seem not to have been apprised of the sentiments of that great man expressed in another part of his work, nor to have adverted to the consequences of the principle to which they subscribe with such ready acquiescence.

When Montesquieu recommends a small extent for republics, the standards he had in view were of dimensions far short of the limits of almost every one of these States. Neither Virginia, Massachusetts, Pennsylvania, New York, North Carolina, nor Georgia can by any means be compared with the models from which he reasoned and to which the terms of his description apply. If we therefore take his ideas on this point as the criterion of truth, we shall be driven to the alternative either of taking refuge at once in the arms of monarchy, or of splitting ourselves into an infinity of little, jealous, clashing, tumultuous commonwealths, the wretched nurseries of unceasing discord, and the miserable objects of universal pity or contempt. Some of the writers who have come forward on the other side of the question seem to have been aware of the dilemma; and have even been bold enough to hint at the division of the larger States as a desirable thing. Such an infatuated policy, such a desperate expedient, might, by the multiplication of petty offices, answer the views of men who possess not qualifications to extend their influence beyond the narrow circles of personal intrigue, but it could never promote the greatness or happiness of the people of America.

Referring the examination of the principle itself to another place, as has been already mentioned, it will be sufficient to remark here that, in the

მობს იმას, რომ თავზე საყრელად შეიქნება პაწია თანამდებობანი, შესაძლოა, ხელს აძლევდეს არაკვალიფიციურ ადამიანებს, რომელთა ზეგავლენა ვერ ცდება პიროვნული ინტრიგების შეზღუდულ სფეროს, მაგრამ იგი არასოდეს დააყრის ხეირს ამერიკის ხალხის სიდიადესა და ბედნიერებას.

ხსენებულ პრინციპს, როგორც უკვე ვთქვით, სხვაგან განვიხილავთ. ახლა კი საკმარისი იქნება აღინიშნოს, რომ იმ ავტორის მოსაზრება, რომლის ციტატებს დაბეჯითებით იშველიებენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ და მხოლოდ კავშირის უფრო მსხვილი წევრების ზომათა შეკვეცას თუ გულისხმობს და მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო მათი გაერთიანებისა ერთი კონფედერაციული მმართველობის ქვეშ. ესაა სწორედ ის საკითხი, რისი განხილვაც ახლა გეწადია.

მონტესკიე არათუ წინააღმდეგია სახელმწიფოთა გაერთიანებისა, არამედ იგი საგანგებოდ ლაპარაკობს კოფედერაციულ რესპუბლიკაზე. იმაზე, რომ იგი არის ყველზე მარჯვე იარაღი სახალხო ხელისუფლების სფეროს გაფართოებისა, რომელიც შინაგანად იკრებს ყველა იმ უპირატესობას, რაც აქვს როგორც მონარქიას, ისე რესპუბლიკას.

საესებით შესაძლებელია, რომ კაცობრიობა კელავაც მონარქის ფერხთა ქვეშ ყოფილიყო განრთხმული, მას რომ არ გამოეგონებინა კონსტიტუციის ისეთი ნაირსახეობა, რომელიც ერთმანეთთან ორგანულად კრავს რესპუბლიკური მმართველობის შიდასახელმწიფოებრივ სარგებლიანობასა და მონარქიული ხელისუფლების საგარეო ძლიერებას. სხვა არაფერს ვგულისხმობ, თუ არა კონფედერაციულ რესპუბლიკას.

“მმართველობის ეს ფორმა არის შეთანხმება, რომელსაც დებენ სხვადასხვა მომცრო სახელმწიფოები ერთმანეთს შორის, რამეთუ თანახმანი არიან შევიდნენ უფრო მსხვილ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომლის შექმნაც განუზრახავთ. ესაა საზოგადოებათა ისეთი კრებული, რომელიც ქმნის ახალ საზოგადოებას და აქვს ზრდის უნარი, ვიდრე ისეთ დონეს მიაღწევდეს, რომ მან ერთიანი ორგანიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესძლოს”.

sense of the author who has been most emphatically quoted upon the occasion, it would only dictate a reduction of the SIZE of the more considerable MEMBERS of the Union, but would not militate against their being all comprehended in one confederate government. And this is the true question, in the discussion of which we are at present interested.

So far are the suggestions of Montesquieu from standing in opposition to a general Union of the States, that he explicitly treats of a CONFEDERATE REPUBLIC as the expedient for extending the sphere of popular government, and reconciling the advantages of monarchy with those of republicanism.

“It is very probable,” (says he) “that mankind would have been obliged at length to live constantly under the government of a single person, had they not contrived a kind of constitution that has all the internal advantages of a republican, together with the external force of a monarchical government. I mean a CONFEDERATE REPUBLIC.

“This form of government is a convention by which several smaller STATES agree to become members of a larger ONE, which they intend to form. It is a kind of assemblage of societies that constitute a new one, capable of increasing, by means of new associations, till they arrive to such a degree of power as to be able to provide for the security of the united body.

“A republic of this kind, able to withstand an external force, may support itself without any internal corruptions. The form of this society prevents all manner of inconveniences.

“... ასეთი რესპუბლიკა წინ აღუდგება გარეგან ძალმომრეობას და შესძლებს ისე შეინარჩუნოს თავისი თავი, რომ შინაგანმა ხრწნამ ხელი არ დაარიოს. საზოგადოების ეს ნაირსახეობა ყოველმხრივ მოხერხებულია”.

“... თუკი კავშირის რომელიმე წევრი მოიწადინებს, უზურპაცია უყოს უმაღლეს ხელისუფლებას, მას თავიდანვე გადაწურული ექნება იმედი, რაკი ვერაფრით მოიპოვებს კავშირის დანარჩენი წევრების მხარდაჭერასა და ნდობას; თუ უზურპატორმა ერთი რომელიმე სახელმწიფო მოიქცია თავის ზეგავლენაში, დანარჩენები განგაშის ზარებს ჩამოჰრავენ;

თუკი უზურპატორი კონფედერაციის ერთ ნაწილს დაიპყრობს, თავისუფალი ნაწილი აუმხედრდა მას, დაუპირისპირებს ყველა იმ ძალას, რომლის უზურპირება ვერ მოუხწრია და მანამ სძლევს, ვიდრე იგი საწადელს ეწეოდეს.”

“... კონფედერაციის ერთ რომელიმე სახელმწიფოში აჯანყებამ რომ იფეთქოს, დანარჩენები ადვილად ჩაახშობდნენ მას. თუკი მისი ერთი ნაწილი სულიერად გაიხრწნება, უვნებელი ნაწილი კელავ ალადგენს მას; მისი ერთი მხარე შეიძლება დაიქცეს, მაგრამ მეორე – სიმრთელეს შეინარჩუნებს. კონფედერაცია შეიძლება დაიშალოს, მაგრამ მისი შემადგებელი ქვეყნები თავიანთ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებენ.”

“... რაკი ამგვარი მმართველობა მომცრო რესპუბლიკებს აერთიანებს, მას არ გაუჭირდება უზრუნველყოს მათი შინაგანი ბედნიერება; ხოლო საგარეო ურთიერთობათა თვალსაზრისით იგი ფლობს მსხვილი მონარქიის ყველა უპირატესობას, რაკი სახელმწიფოთა ასოციაციაა”.

მიზანშეწონილად ვცანი მთლიანად მომეყვანა ეს საინტერესო პასაჟები, რამდენადაც მათში სახელმწიფოთა კავშირის სასარგებლოდ სხარტი და ნათელი არგუმენტებია მოცემული. ვინძლო ამან გააქარწყლოს ის ყალბი შთაბეჭდილება, რასაც მკითხველში იწვევს საგანგებოდ საამისოდ წინასწარ გათვლილი უკუღმართი განმარტებანი მონტესკიეს ნაშრომის სხვადასხვა ადგილებისა. ამავე დროს, ეს პასაჟები შინაგანადაა დაკავშირებული ამ წერილის უშუალო განაზრახთან: ნათე-

“If a single member should attempt to usurp the supreme authority, he could not be supposed to have an equal authority and credit in all the confederate states. Were he to have too great influence over one, this would alarm the rest. Were he to subdue a part, that which would still remain free might oppose him with forces independent of those which he had usurped and overpower him before he could be settled in his usurpation.

“Should a popular insurrection happen in one of the confederate states the others are able to quell it. Should abuses creep into one part, they are reformed by those that remain sound. The state may be destroyed on one side, and not on the other; the confederacy may be dissolved, and the confederates preserve their sovereignty.

“As this government is composed of small republics, it enjoys the internal happiness of each: and with respect to its external situation, it is possessed, by means of the association, of all the advantages of large monarchies.”

I have thought it proper to quote at length these interesting passages, because they contain a luminous abridgment of the principal arguments in favor of the Union, and must effectually remove the false impressions which a misapplication of other parts of the work was calculated to make. They have, at the same time, an intimate connection with the more immediate design of this paper; which is, to illustrate the tendency of the Union to repress domestic faction and insurrection.

A distinction, more subtle than accurate, has been raised between a CONFEDERACY and a CONSOLIDATION of the States. The essential characteristic of the first is said to be, the restriction of its authority to the members in their collective capacities, without reaching to the individuals of whom they are composed. It is contended that the national council ought to have no concern with any object of internal administration. An exact equality of suffrage between the members has also been insisted upon as a leading feature of a confederate government. These positions are, in the main, arbitrary; they are supported neither by principle nor precedent. It has indeed happened, that governments of this

ლყოს, რომ კავშირს შესწევს უნარი, ალაგმოს შინააშლილობა და ჯანყი.

შტატების კონფედერაციასა და კონსოლიდაციას ერთმანეთისაგან უფრო მზაკერული განზრახვით განასხეავენ, ვიდრე სიზუსტის გულისათვის. კონფედერაციის არსებით ნიშნად მიაჩნიათ ის, რომ მისი ხელისუფლება ვრცელდება მხოლოდ მის წევრებზე. როგორც კრებითს პირებზე და არა ამ კრებითი პირების შემადგენელ ინდივიდებზე. ამიტომ ამტკიცებენ, რომ გაერთიანების საბჭო არ უნდა ერეოდესო ცალკეული წევრი ქვეყნის შინაურ საქმეებში. ასევე დაბეჯითებით ამტკიცებენ, კონფედერაციული ხელისუფლების არსებითი ნიშანია მის წევრებს შორის ხმათა აბსოლუტურად ზუსტი განაწილებაო. მაგრამ ესაა არსებითად თვითნებური მტკიცებანი; მათ ზურგს არ უმაგრებს არც ერთი პრინციპი და არც ერთი პრეცედენტი. სინამდვილეში ისე მოხდა, რომ ამ ყაიდის მმართველობები უპირატესად კონფედერაციასა და კონსოლიდაციას შორის ზემოხსენებული განსხეაების თანახმად მოქმედებენ, რაკი მიაჩნიათ, რომ ეს არსებითი რამაა მათი ბუნებისათვის. მაგრამ ამასთანავე პოლიტიკური პრაქტიკა სავსეა საიმისო მაგალითებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამ საკითხში აბსოლუტური წესები არ არსებობს (თუკი მაგალითს აქვს დასტურის ძალა). წინამდებარე გამოკვლევაში ნათლად იქნება ნაჩვენები, რომ როცა ხსენებული მტკიცება გაბატონებულ პრინციპად იქცეოდა, წამსვე წარმოიშობოდა უსაშველო არეულობა და პოლიტიკურ მოქმედებას ხელს უგუნურობა დარეედა ხოლმე.

კონფედერაციული რესპუბლიკა უბრალოდ “საზოგადოებათა კრებულს” ანდა ერთ სახელმწიფოდ ორი ან მეტი სახელმწიფოს გაერთიანებას გულისხმობს. ფედერალური ხელისუფლების ზომა, მისი სახეცვლილებანი და მიზნები მხოლოდღა კეთილგონიერული შეთანხმების საქმეა. ვიდრე არ გაუქმებულა წევრი ქვეყნების ცალკე ორგანიზაცია, ვიდრე იგი კვლავაც არსებობს როგორც ადგილობრივი მიზნების შესატყვისი კონსტიტუციური აუცილებლობა. ვიდრე თუნდაც იგი სრულად ემორჩილება კავშირის საერთო ხელისუფლებას; მანამ ასეთი გაერთიანება პრაქტიკულად და თეორიულადაც სახელმწიფოთა ასოციაციად ანუ კონფედერაციად რჩება. შემოთავაზებული კონსტიტუცია შტატების ხელისუფლებას კი არ აუქმებს, არამედ მათ საერთო ნაციონალური სუვერენობის

kind have generally operated in the manner which the distinction taken notice of, supposes to be inherent in their nature; but there have been in most of them extensive exceptions to the practice, which serve to prove. as far as example will go, that there is no absolute rule on the subject. And it will be clearly shown in the course of this investigation that as far as the principle contended for has prevailed, it has been the cause of incurable disorder and imbecility in the government.

The definition of a CONFEDERATE REPUBLIC seems simply to be "an assemblage of societies," or an association of two or more states into one state. The extent, modifications, and objects of the federal authority are mere matters of discretion. So long as the separate organization of the members be not abolished; so long as it exists, by a constitutional necessity, for local purposes; though it should be in perfect subordination to the general authority of the union, it would still be, in fact and in theory, an association of states, or a confederacy. The proposed Constitution, so far from implying an abolition of the State governments, makes them constituent parts of the national sovereignty, by allowing them a direct representation in the Senate, and leaves in their possession certain exclusive and very important portions of sovereign power. This fully corresponds, in every rational import of the terms, with the idea of a federal government.

სრულუფლებიან წევრად ადგენს. სენატში პირდაპირი წარმომადგენლობის უფლებას ანიჭებს და მათვე უტოვებს სუვერენული ხელისუფლების გამორჩეულსა და ერთობ მნიშვნელოვან ნაწილს. ეს კი სრულიად შეეხატყვისება იმას, რაც იგულისხმება ფედერალური ხელისუფლების ცნებაში თუკი ტერმინს რაციონალურად განემარტავდით.

ლიკიის კონფედერაციაში, რომელშიც 23 ქალაქი თუ რესპუბლიკა შედიოდა, თემთა საბჭოში ყველაზე მსხვილ წევრებს 3 ხმა ჰქონდათ, საშუალოთ - 2, ხოლო ყველაზე მცირეთ - 1. თემთა საბჭო ნიშნავდა მოსამართლეებსა და საქალაქო მმართველობათა წევრებს ყველა ქალაქში; ძნელია, კაცმა შინაურ საქმეებში ამაზე საჩოთირო ჩარევის მაგალითი დაასახელო; თუკი რაიმე განსაკუთრებულად უნდა შედიოდეს ადგილობრივ იურისდიქციაში, ეს ხომ საკუთარ მოხელეთა დანიშვნაა. მიუხედავად ამისა, როცა ამ გაერთიანებაზე მსჯელობს, მონტესკიე წერს: “კონფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშად “ლიკიის კავშირის” დაგისახელებდით”. ამრიგად, კონფედერაციასა და კონსოლიდაციას შორის განსხვავება, რომელიც ზოგიერთებს აუჩემებიათ, სრულიად უმნიშვნელო რამაა განათლებული მოქალაქეისთვის, რომელიც კარგად ერკვევა სამოქალაქო სამართლის საკითხებში. ამიტომაც ჩვენი დასკვა ასეთია - ამგვარი განსხვავება ყალბი თეორიის მზაკერული შესწორების მცდელობაა მხოლოდ მხოლოდ.

კუბლიუსი

1. კანონთა გონი, ტომი V, წიგნი IX, თავი 1.

In the Lycian confederacy, which consisted of twenty-three CITIES or republics, the largest were entitled to THREE votes in the COMMON COUNCIL, those of the middle class to TWO, and the smallest to ONE. The COMMON COUNCIL had the appointment of all the judges and magistrates of the respective CITIES. This was certainly the most, delicate species of interference in their internal administration; for if there be any thing that seems exclusively appropriated to the local jurisdictions, it is the appointment of their own officers. Yet Montesquieu, speaking of this association, says: "Were I to give a model of an excellent Confederate Republic, it would be that of Lycia." Thus we perceive that the distinctions insisted upon were not within the contemplation of this enlightened civilian; and we shall be led to conclude, that they are the novel refinements of an erroneous theory.

PUBLIUS

¹ "Spirit of Law," vol. i., book ix., chap. i.

იმავე თემის განგრძობა (კავშირი როგორც შინააშლილობისა და ჯანყისგან თავდაცვის საშუალება)
პარასკევი, 23 ნოემბერი, 1787 ნიუ-იორკ პაკეტიდან

მედისონი

ნიუ-იორკის შტატის ხალხს.

უამრავ უპირატესობათაგან, რომელსაც ხეირიანად მოწყობილი კავშირი გეპირდება, არც ერთი არ იმსახურებს ესოდენ დაწვრილებით გადმოცემას, როგორც მისი უნარი, ალაგმოს და გააკონტროლოს ადამიანთა დაჯგუფებებს შორის მძულეარება და ძალმომრეობა. სახალხო მმართველობის ბედსა და ბუნებაზე რომ ფიქრობს, მის მომხრეს ერთი რამ ჰგვრის ყველაზე დიდ შეშფოთებას: ამგვარი მმართველობის მიდრეკილება ზემოთხსენებული სახიფათო სიავისადმი. ამიტომ იგი მზადაა ჯეროვნად დააფასოს ყველა ის პროექტი, რომლის მიზანი ამ ჭირის წამლობაა; ოღონდაც, ეს მისი საყვარელი პრინციპებისადმი ძალმომრეობა არ იყოს. ის უმყარობა, უსამართლობა და არეულობა, რომელიც ძველ-რბილში გასჯდომია სახელმწიფო წარმომადგენლობითს ორგანოებს, მართლაცდა ის სნეულებაა, რაც ყოველთვის ღუპავდა და ახლაც ღუპავს სახალხო მმართველობებს. ამ ნოყიერ თემას ხომ ეგზომ ეთაყვანება თავისუფლების მტერი. იგი ხომ ასე ასაზრდოებს მისი მჭევრმეტყველების ყველაზე დამაჯერებელ ნიშუშებს. მართალია, არ შეიძლება აღფრთოვანება არ გეუფლებოდეს იმის გამო, რომ ამერიკის კონსტიტუციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სახალხო მმართველობის როგორც ძველი, ისე ახალი მოდელები. მაგრამ გაუმართლებელი მიკერძობება იქნებოდა იმის მტკიცება, ვითომდა მათ ისეთი ქმედითობით აეცილებინოს ყველა საფრთხე, როგორც ეს სასურველი და მოსალოდნელი იყო. ჩვენი ყველაზე გონიერი და ქველი მოქალაქენი ერთთავად იმას ჩივიან, რომ სახალხო მმართველობა ჩვენში ერთობ უმყარია; რომ ურთიერდაპირისპირებული დაჯგუფებების შეხლა-შემოხლა უგულვებელყოფს საზოგადო სიკეთეს; რომ მისი კრიტიერიუმი ძალიან ხშირად დგინდება არა სამართლიანობის წესებისა და უმცირესობაში მყოფი პარტიის უფლებათა გათვალისწინებით, არამედ უპირატესი უმრავლესობის უზარმაზარი

The FEDERALIST No. 10

The Same Subject Continued

(The Union as a Safeguard Against Domestic Faction and Insurrection)

From the New York Packet.

Friday, November 23, 1787.

MADISON

To the People of the State of New York:

AMONG the numerous advantages promised by a wellconstructed Union, none deserves to be more accurately developed than its tendency to break and control the violence of faction. The friend of popular governments never finds himself so much alarmed for their character and fate, as when he contemplates their propensity to this dangerous vice. He will not fail, therefore, to set a due value on any plan which, without violating the principles to which he is attached, provides a proper cure for it. The instability, injustice, and confusion introduced into the public councils, have, in truth, been the mortal diseases under which popular governments have everywhere perished; as they continue to be the favorite and fruitful topics from which the adversaries to liberty derive their most specious declamations. The valuable improvements made by the American constitutions on the popular models, both ancient and modern, cannot certainly be too much admired; but it would be an unwarrantable partiality, to contend that they have as effectually obviated the danger on this side, as was wished and expected. Complaints are everywhere heard from our most considerate and virtuous citizens, equally the friends of public and private faith, and of public and personal liberty, that our governments are too unstable, that the public good is disregarded in the conflicts of rival parties, and that measures are too often decided, not according to the rules of justice and the rights of the minor party, but by the superior force of an interested and overbearing majority.

ძალის შეგავლენით. ნეტამც ამ ჩივილს საფუძველი და საბუთი არა ჰქონოდა; მაგრამ, სამწუხაროდ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები არ გვაძლევს საშუალებას უარყოფით, რომ მას გარკვეულწილად საფუძველიც აქვს და გამართლებაც. თუკი მიუმხრობლობით მიმოვიხილავდით ჩვენში არსებულ მდგომარეობას აღმოვაჩენდით, რომ ზოგი იმ უკეთურებათაგანი, რომელშიც ცხოვრება და მუშაობა გვიხდება, სულაც არ არის ჩვენი მმართველობის ბრალი. მაგრამ, ამავე დროს, იმაშიც დაერწმუნდებოდით, რომ სწორედ მას გამოუწვევია ჩვენი ყველაზე გაუსაძლის უბედურებათა უმრავლესობა. სხვანაირად ვერ აიხსნება სახელმწიფო დაწესებულებებისადმი ეს ეგზომ მზარდი და ფართოდ მოდებული უნდობლობა; ვერც ეს განგაში, კერძო უფლებათა გამო რომაა ატეხილი და რომლის გამოძახილი მთელ ჩვენს კონტინენტს გადაწვედნია. ეს ეითარება, თუ მთლიანად არა, უმთავრესად მაინც იმ უმტიციობისა და უსამართლობის ბრალია, რაც განხეთქილებისა და ჯგუფურობის სულს შეაქვს. სახელმწიფო მმართველობაში, რითაც მას ხრწნის.

დაჯგუფებად მივიჩნევ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას (სულ ერთია იგი მთელის უმრავლესობას შეადგენს თუ უმცირესობას), რომელთაც ერთად მოქმედების მხურვალე ინტერესი თუ მისწრაფება აერთიანებს; და რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი სხვა მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოების საერთო ინტერესებისადმი.

ჯგუფურობის სენისაგან განკურნების ორი გზა არსებობს: პირველი მისი მიზეზების აღმოფხვრაა, მეორე – მისი შედეგების კონტროლი. მისი მიზეზების აღმოფხვრის ასევე ორი საშუალება არსებობს. პირველი გულისხმობს თავისუფლების, როგორც ჯგუფური ურთიერთდაპირისპირების აუცილებელი წინაპირობის გაუქმებას. მეორე იმას მოასწავებს, რომ თითოეულ მოქალაქეს ერთიდაიგივე აზრი, ენება და ინტერესი ჩაუნერგოს.

ეგოდენი სიმართლე არაფერზე თქმულა, რაოდენიც წამლობის პირველ საშუალებაზე ითქვა. ამგვარი წამალი თვით სწეულე ბაზეც უარესი იქნებოდა. ჯგუფური ურთიერთდაპირისპირებისთვის თავისუფლება იგივეა, რაც ჰაერი – ცეცხლისათვის; თავისუფლებაა მისი საზრდო, ურომლისოდ იგი წამშივე

However anxiously we may wish that these complaints had no foundation, the evidence, of known facts will not permit us to deny that they are in some degree true. It will be found, indeed, on a candid review of our situation, that some of the distresses under which we labor have been erroneously charged on the operation of our governments; but it will be found, at the same time, that other causes will not alone account for many of our heaviest misfortunes; and, particularly, for that prevailing and increasing distrust of public engagements, and alarm for private rights, which are echoed from one end of the continent to the other. These must be chiefly, if not wholly, effects of the unsteadiness and injustice with which a factious spirit has tainted our public administrations.

By a faction, I understand a number of citizens, whether amounting to a majority or a minority of the whole, who are united and actuated by some common impulse of passion, or of interest, adverse to the rights of other citizens, or to the permanent and aggregate interests of the community.

There are two methods of curing the mischiefs of faction: the one, by removing its causes; the other, by controlling its effects.

There are again two methods of removing the causes of faction: the one, by destroying the liberty which is essential to its existence; the other, by giving to every citizen the same opinions, the same passions, and the same interests.

It could never be more truly said than of the first remedy, that it was worse than the disease. Liberty is to faction what air is to fire, an aliment without which it instantly expires. But it could not be less folly to abolish liberty, which is essential to political life, because it nourishes faction, than it would be to wish the annihilation of air, which is essential to animal life, because it imparts to fire its destructive agency.

დაივსებოდა. თავისუფლება ელემენტია პოლიტიკური ცხოვრებისა. მართალია იგი ჯგუფური ურთიერთდაპირისპირების საზრდოცაა, მაგრამ ამის გამო მისი გაუქმება ისეთივე სისულელე იქნებოდა, როგორც პაერის, როგორც ცეცხლის სასიცოცხლო ელემენტის აღკვეთა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აღაგზნებს მას და ყოვლის ჩამოქმედ ძალას ანიჭებს.

მეორე საშუალებაც ისევე უვარგისია, როგორი უგუნურობაც პირველის გამოყენება იქნებოდა. ვიდრე ადამიანური გონება ცდება და ვიდრე მას საამისო გასაქანი ეძლევა, მანამ ყოველთვის წარმოიშობა ხოლმე ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებანი. ვიდრე არსებობს კავშირი ადამიანის გონებასა და თავის თავის სიყვარულს შორის, მანამ ურთიერთაგდაჭლობილი იქნება მისი თავმოთნეობა მისი შეხედულებანი და ზნენი; მანამ წაუკიდებს ვნება ურთიერთგაუტანლობის ცეცხლს მათ შეხედულებებს და ადამიანებსაც ერთმანეთს წაქიდებს.

საერთო ინტერესთა ჩამოყალიბებას გადაულახავ დაბრკოლებად ეღობება ის, რომ ადამიანები თავიანთი უნარებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, საიდანაც საკუთრების უფლება წარმოშობილა. ამ უნარების დაცვა უპირველესი ფუნქციაა ხელისუფლებისა. საკუთრების მოპოვების ურთიერთგანსხვავებულსა და უთანაბრო უნარებს რომ იცავს, აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ ადამიანები სხვადასხვა ზომისა და ხასიათის საკუთრებას ფლობენ. ეს კი ზემოქმედებას ახდენს მესაკუთრეთა ურთიერთგანსხვავებული გრძნობებისა და თვალსაზრისების ჩამოყალიბებაზე, რაც იწვევს კიდევ საზოგადოების დაყოფას სხვადასხვა ინტერესებად და პარტიებად.

ისე რომ ჯგუფურობის იღუმალი თესლი თვით ადამიანისვე ბუნებაში დევის; სამოქალაქო საზოგადოებაში ყოველმხრივ ვაწყდებით ხოლმე მისგან აღმოცენებულ სხვადასხვა დონის აქტიუობებს. გულმოდგინებამ, რომელსაც ადამიანები იჩენენ რელიგიური და მართველობის საკითხებისადმი, მათი როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ასპექტებისადმი; სხვადასხვა ლიდერებისადმი ერთგულებამ, რომლებიც პირველობისა და ძალაუფლებისათვის იბრძვიან, თუ სხვა პირების სიყვარულმა ადამიანურ ვნებებს რომ თავდადების საგანად დაუსახავთ, ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებად დახლიჩა კაცობრიობა;

The second expedient is as impracticable as the first would be unwise. As long as the reason of man continues fallible, and he is at liberty to exercise it, different opinions will be formed. As long as the connection subsists between his reason and his self-love, his opinions and his passions will have a reciprocal influence on each other; and the former will be objects to which the latter will attach themselves. The diversity in the faculties of men, from which the rights of property originate, is not less an insuperable obstacle to a uniformity of interests. The protection of these faculties is the first object of government. From the protection of different and unequal faculties of acquiring property, the possession of different degrees and kinds of property immediately results; and from the influence of these on the sentiments and views of the respective proprietors, ensues a division of the society into different interests and parties.

The latent causes of faction are thus sown in the nature of man; and we see them everywhere brought into different degrees of activity, according to the different circumstances of civil society. A zeal for different opinions concerning religion, concerning government, and many other points, as well of speculation as of practice; an attachment to different leaders ambitiously contending for pre-eminence and power; or to persons of other descriptions whose fortunes have been interesting to the human passions, have, intum, divided mankind into parties, inflamed them with mutual animosity, and rendered them much more disposed to vex and oppress each other than to co-operate for their common good. So strong is this propensity of mankind to fall into mutual animosities, that where no substantial occasion presents itself, the most frivolous and fanciful distinctions have been sufficient to kindle their unfriendly passions and excite their most violent conflicts. But the most common and durable source of factions has been the various and unequal distribution of property.

უფრო მეტად განაწყო ისინი ერთმანეთის საზიანოდ და დასაჩაგრად, ვიდრე საზოგადო სიკეთისათვის სათანამშრომლოდ. ისე ძალუშია მიდრეკილება ურთიერთმტრობისადმი, რომ სულაც არ არის აუცილებელი რაიმე არსებითი საბაზი, არადმისაჩნევი და ახირებული სხვაობანიც კი საკმარისია, რათა აღიგზნოს მათი მოქიშპე ვნებები და გაჩაღდეს მათი ყველაზე მპინვარე კონფლიქტები. მაგრამ, ურთიერთწაკიდების საერთო და ყველაზე მტკიცე საფუძველი მაინც საკუთრების უთანაბრო და უთანასწორო განაწილებაა. საზოგადოებაში ყოველთვის ურთიერთდაპირისპირებული ინტერესებით გამოდიოდნენ ისინი, ვისაც საკუთრება აქვს და ვისაც იგი არა აქვს. იგივე ითქმის მევაღეებსა და მოკალეებზე. ცივილიზებულ ერთა თანამედროვე მდგომარეობას უშუა მიწასთან დაკავშირებული ინტერესები; ამ ინტერესებს გაუხლიჩაეთ კიდევ იგივე ერები კლასებად და პარტიებად, რომლებთაც ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები და შეხედულებები გასჩენიათ. თანამედროვე კანონმდებლობის მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ მოაწესრიგოს ეს ეგზომ განსხვავებული და ურთიერთშემაბრკოლებული ინტერესები და პარტიულ-ჯგუფური სულისკვეთება ხელისუფლების აუცილებელსა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩააბას.

დაუშვებელია, რომ ვინმე თავისი თავის მსაჯულად გამოვიდეს იმ პროცესზე, რომელზეც მისი საქმე ირჩევა. ეგ იმიტომ, რომ პირადი ინტერესის გამო ადამიანი აუცილებლად გამოიჩენს მიკერძობას. დაუჯერებელი არც ის უნდა იყოს, რომ ასეთი რამ შერყვნის მის პატიოსნებას. ამავე მიზეზით ისიც დაუშვებელია, რომ ადამიანთა ჯგუფები, ერთსა და იმავე დროს, მოსამართლეებადაც გვევლინებოდნენ და მხარეებადაც. ასეთი რამის დაუშვებლობას, შესაძლოა, უფრო საყურადღებო საფუძველიც ჰქონდეს. მაგრამ სხვა რა არის ძალზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები თუ არა სასამართლო განაჩენი, რომელიც არა ერთი ადამიანის, არამედ ადამიანთა ჯგუფების მიმართ გამოაქვთ და მათ უფლებებს ეხება? განა კანონმდებელთა სხვადასხვა კლასები, ერთსა და იმავე დროს, ადვოკატები და დაპირისპირებული მხარეებიც არ არიან იმ საქმეში, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ? განა ასე არ არის პირადი დავალიანების შესახებ განსახილველად წარმოდგენილი კანონის შემთხვევაშიც? მევაღეები ამ საქმის ერთ მხარეს წარმოადგენენ, ხოლო მოვაღეები-მეორეს.

Those who hold and those who are without property-have ever formed distinct interests in society. Those who are creditors, and those who are debtors, fall under a like discrimination. A landed interest, a manufacturing interest, a mercantile interest, a moneyed interest, with many lesser interests, grow up of necessity in civilized nations, and divide them into different classes, actuated by different sentiments and views. The regulation of these various and interfering interests forms the principal task of modern legislation, and involves the spirit of party and faction in the necessary and ordinary operations of the government.

No man is allowed to be a judge in his own cause, because his interest would certainly bias his judgment, and, not improbably, corrupt his integrity. With equal, nay with greater reason, a body of men are unfit to be both judges and parties at the same time; yet what are many of the most important acts of legislation, but so many judicial determinations, not indeed concerning the rights of single persons, but concerning the rights of large bodies of citizens? And what are the different classes of legislators but advocates and parties to the causes which they determine? Is a law proposed concerning private debts? It is a question to which the creditors are parties on one side and the debtors on the other. Justice ought to hold the balance between them. Yet the parties are, and must be, themselves the judges; and the most numerous party, or, in other words, the most powerful faction must be expected to prevail. Shall domestic manufactures be encouraged, and in what degree, by restrictions on foreign manufactures? are questions which would be differently decided by the landed and the manufacturing classes, and probably by neither with a sole regard to justice and the public good.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ დაბალანსებული იქნას მათი ინტერესები. ამ შემთხვევაში მხარეები იძულებულნი არიან, თავიანთი თავის მსაჯულებად გამოვიდნენ. გამარჯვებას კი ის მხარე მოიპოვებს, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება. უცხოური ნაწარმის დაბეგვრის გზით მფარველობა უნდა გაეუწიოთ თუ არა სამამულო მრეწველობასა და მრეწველებს? მიწათმოქმედებსა და მრეწველებს, რა თქმა უნდა, განსხვავებული პასუხი ექნება ამ შეკითხვაზე. ერთი რამ არის ცხადი, რომ ორივე მათგანი კერძო ინტერესით იხელმძღვანელებს და არად დაგიდევს სამართლიანობასა და საზოგადო სიკეთეს. განსაკუთრებულ მიუკერძოებლობას საჭიროებს საგადასახადო კანონმდებლობა, ე.ი. იმის დადგენა, თუ რა სახის და რა ოდენობის გადასახადი უნდა დაწესდეს ამა თუ იმ საკუთრებაზე. ძნელი წარმოსადგენია კანონმდებლობის სხვა სფერო, სადაც ცდუნების ეგოდენ ნოყიერი ნიადაგი არსებობდეს საიმისოდ, რომ ფეხქვეშ გაითელოს სამართლიანობის წესები.

უმცირესობისთვის დაკისრებული თითოეული ზედმეტი შილ-ინგი საკუთარი ჯიბის გასქელებას ემსახურება. ამოდდ გვიმტკიცებენ, განათლებული სახელმწიფო მოღვაწეები შეძლებენ დაპირისპირებული ინტერესების მოგვარებას და საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესისადმი მათ დამორჩილებასო. განათლებული მოღვაწეების ხელში ყოველთვის როდი არის სახელმწიფოს მართვის სადაეები. უფრო მეტი, საყოველთაო ინტერესისადმი პირადი ინტერესების დამორჩილების ამოცანა მოითხოვს იმას, რომ გათვალისწინებული იქნეს სამომავლო და შორეული ინტერესები. სამომავლო ინტერესებს კი იშვიათად გადაუწონიათ უშუალო ინტერესები, რომლებსაც არაფრად მიაჩნია სხვისი უფლებები, და თუნდაც, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა.

ყოველივე ეს იმაში გეარწმუნებს, რომ შეუძლებელია ჯგუფურობის მიზეზთა აღმოფხვრა. ამ უბედურების შესამსუბუქებლად ისლა დაგერჩენია, რომ მისი შედეგები ვაკონტროლოთ.

როცა პოლიტიკური დაჯგუფება უმცირესობას წარმოადგენს, მაშინ მშველელად რესპუბლიკური პრინციპი გვევლინება, რომელიც უმრავლესობას იმის საშუალებას აძლევს, რომ ჩვეულებრივი კენჭისყრით ჩაშალოს უმცირესობის ავი ზრახვები.

The apportionment of taxes on the various descriptions of property is an act which seems to require the most exact impartiality; yet there is, perhaps, no legislative act in which greater opportunity and temptation are given to a predominant party to trample on the rules of justice. Every shilling with which they overburden the inferior number, is a shilling saved to their own pockets.

It is in vain to say that enlightened statesmen will be able to adjust these clashing interests, and render them all subservient to the public good. Enlightened statesmen will not always be at the helm. Nor, in many cases, can such an adjustment be made at all without taking into view indirect and remote considerations, which will rarely prevail over the immediate interest which one party may find in disregarding the rights of another or the good of the whole.

The inference to which we are brought is, that the CAUSES of faction cannot be removed, and that relief is only to be sought in the means of controlling its EFFECTS.

If a faction consists of less than a majority, relief is supplied by the republican principle, which enables the majority to defeat its sinister views by regular vote. It may clog the administration, it may convulse the society; but it will be unable to execute and mask its violence under the forms of the Constitution. When a majority is included in a faction, the form of popular government, on the other hand, enables it to sacrifice to its ruling passion or interest both the public good and the rights of other citizens. To secure the public good and private rights against the danger of such a faction, and at the same time to preserve the spirit and the form of popular government, is then the great object to which our inquiries are directed. Let me add that it is the great desideratum by which this form of government can be rescued from the opprobrium under which it has so long labored, and be recommended to the esteem and adoption of mankind.

უმცირესობამ შესაძლოა მოახერხოს ის, რომ შეაბრკოლოს მმართველობითი დაწესებულებების მუშაობა და ამით საზოგადოებაში არასასურველი რყევები გამოიწვიოს, მაგრამ მას ვერასოდეს გამოუვა ის, რომ კონსტიტუციურ ნორმებს ამოეფაროს და შენიღბულად მოინდომოს თავისი ძალმომრეობის განხორციელება. მაგრამ თუკი ასეთი დაჯგუფება უმრავლესობას წარმოადგენს, მაშინ სახალხო ხელისუფლების პოლიტიკურ ფორმებს სარგებლობა მოაქვს. ამ შემთხვევაში ამ ჯგუფის სწრაფვას ბატონობისკენ შესაძლოა, მსხვერპლად შეეწიროს როგორც საყოველთაო კეთილდღეობა, ისე სხვა მოქალაქეთა უფლებები. ამრიგად, ჩვენი კვლევაძიების დიადი მიზანი სწორედ ის არის, რომ ამგვარი დაჯგუფებებისგან დაეიცვათ საყოველთაო კეთილდღეობა და ადამიანის პირადი უფლებები. ამასთანავე კი - შეეინარჩუნოთ სახალხო ხელისუფლების ფორმა და მისი სულისკვეთება. ნება მიბოძეთ დაეძინო, რომ ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია, მმართველობის ამ ფორმამ ჩამოირეცხოს ის სირცხვილი, რომელიც მას მისი შემოდების დღიდან თან ახლავს. სხვანაირად ვერ მოხერხდება მისი ჯეროვნად დაფასება, რათა იგი კაცობრიობამ მოიწონოს და მიიღოს. მაგრამ რა გზით უნდა მივალწით ამ მიზანს? ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა დავადგეთ. ან არ უნდა დავუშვათ ის, რომ უმრავლესობას, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე ენება, ანდა ერთი და იგივე ინტერესი ჩამოუყალიბდეს; ან ერთი ენებითა და ერთი ინტერესით შეკრულ ამგვარ უმრავლესობას არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ცალკეულ საარჩევნო ტერიტორიებზე მოიყარონ თავი, რათა ძალმომრეობისა და ჩაგვრის თავიანთი ჩანაფიქრი განახორციელონ. კარგად ვიცით, რომ თუკი სამოქმედოდ ალტკინებას მოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობებიც შეექმნა, ამგვარი მოქმედების შედეგებს ვერც რელიგიური შეგონებებით გააკონტროლებ და ვერც ეთიკურით. ასეთ შეგონებებს უსამართლობითა და ძალმომრეობით ალტკინებული ინდივიდიც არად დაგიდევთ, არათუ მრავალი ინდივიდისგან შედგენილი ჯგუფი. რაც უფრო მრავალრიცხოვანია ჯგუფი, მით უფრო ნაკლები ეფექტურობით ხორციელდება კონტროლი. ყველაზე ნაკლებ ეფექტური კი იგი სწორედმაშინ არის, როცა ჯგუფის შედეგთა გაკონტროლების ყველაზე აუცილებლობის წინაშე ვდგავართ.

By what means is this object attainable? Evidently by one of two only. Either the existence of the same passion or interest in a majority at the same time must be prevented, or the majority, having such coexistent passion or interest, must be rendered, by their number and local situation, unable to concert and carry into effect schemes of oppression. If the impulse and the opportunity be suffered to coincide, we well know that neither moral nor religious motives can be relied on as an adequate control. They are not found to be such on the injustice and violence of individuals, and lose their efficacy in proportion to the number combined together, that is, in proportion as their efficacy becomes needful.

From this view of the subject it may be concluded that a pure democracy, by which I mean a society consisting of a small number of citizens, who assemble and administer the government in person, can admit of no cure for the mischiefs of faction. A common passion or interest will, in almost every case, be felt by a majority of the whole; a communication and concert result from the form of government itself; and there is nothing to check the inducements to sacrifice the weaker party or an obnoxious individual. Hence it is that such democracies have ever been spectacles of turbulence and contention; have ever been found incompatible with personal security or the rights of property; and have in general been as short in their lives as they have been violent in their deaths. Theoretic politicians, who have patronized this species of government, have erroneously supposed that by reducing mankind to a perfect equality in their political rights, they would, at the same time, be perfectly equalized and assimilated in their possessions, their opinions, and their passions.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკენაო, რომ წმინდა დემოკრატიას ჯგუფურობის უბედურებისგან თავდაცვის არანაირი საშუალება არ გააჩნია. წმინდა დემოკრატია კი მის მდგომარეობა მესმის, როცა ადამიანები მცირე ჯგუფებად ერთიანდებიან და პიროვნულსა თუ უშუალო მართვას ახორციელებენ. თითქმის ყოველთვის ისე ხდება, რომ მთელი უმრავლესობა საერთო ვნებითა და საერთო ინტერესითაა ატანილი. მმართველობის ეს ფორმა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მას თანამშრომლობა და თანამონაწილეობა ახასიათებს. არაფერი რჩება ისეთი, რაც წინ აღუდგებოდა ერთი რომელიმე პიროვნების აუტანლობას და არ დაუშვებდა იმას, რომ უმრავლესობის ვნებას მსხვერპლად შესწირვოდა უმცირესობის ინტერესები. ასეთ დემოკრატიებს არაფერი მოაქვთ გარდა არეულობისა და ურთიერთქიშპობისა. ისინი ვერც პიროვნულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ და ვერც საკუთრების უფლებას. ამიტომ არის, რომ მათ უდღეური არსებობა ერგოთ წილად. რაც უფრო დემოკლენი იყვნენ ისინი, მით უფრო ძალადობრივი იყო მათი აღსასრული. თეორეტიკოსი პოლიტიკოსები, რომლებიც მმართველობის ამ ფორმის დემცველებად გამოდიან, მცდარ შეხედულებათა ტყვეობაში ექცევიან. ისინი ფიქრობენ, რომ საკმარისია კაცობრიობა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობით უზრუნველყო. პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას, თითქოსდა, თავისთავად მოჰყვებოდეს ქონებრივი გათანასწორება და ერთნაირი აზრებისა თუ გრძნობების ჩამოყალიბება.

რესპუბლიკური მმართველობის ფორმა კი სრულიად სხვა პერსპექტივას შლის ჩვენს წინაშე. მმართველობის ამ ფორმაში მე მესმის წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელიც დაზღვეულია ბევრი მანკიერებისგან, რაც უშუალო დემოკრატიას ახასიათებს. მმართველობის რესპუბლიკური ფორმის განხილვა ღრმად ჩაგვახედებს იმაში, თუ რა არის მისი მკურნალი ძალა. ამასთანავე ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რა ეფექტურობას იძენს იგი იმ შემთხვევაში, როცა შტატები ერთ კავშირად არიან გაერთიანებული.

დემოკრატია და რესპუბლიკა ორი რამით განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯერ ერთი, მრავალრიცხოვანი მოქალაქეები შედარებით მცირერიცხოვან წარმომადგენლებს ირჩევენ, რომლებსაც გადააბარებენ თავიანთი უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს.

A republic, by which I mean a government in which the scheme of representation takes place, opens a different prospect, and promises the cure for which we are seeking. Let us examine the points in which it varies from pure democracy, and we shall comprehend both the nature of the cure and the efficacy which it must derive from the Union.

The two great points of difference between a democracy and a republic are: first, the delegation of the government, in the latter, to a small number of citizens elected by the rest; secondly, the greater number of citizens, and greater sphere of country, over which the latter may be extended.

The effect of the first difference is, on the one hand, to refine and enlarge the public views, by passing them through the medium of a chosen body of citizens, whose wisdom may best discern the true interest of their country, and whose patriotism and love of justice will be least likely to sacrifice it to temporary or partial considerations. Under such a regulation, it may well happen that the public voice, pronounced by the representatives of the people, will be more consonant to the public good than if pronounced by the people themselves, convened for the purpose. On the other hand, the effect may be inverted. Men of factious tempers, of local prejudices, or of sinister designs, may, by intrigue, by corruption, or by other means, first obtain the suffrages, and then betray the interests, of the people. The question resulting is, whether small or extensive republics are more favorable to the election of proper guardians of the public weal; and it is clearly decided in favor of the latter by two obvious considerations:

მეორეც, პირდაპირი დემოკრატიისგან განსხვავებით რესპუბლიკურ მმართველობაში უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს და იგი უფრო ვრცელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

პირველ განსხვავებას შედეგად ის მოჰყვება, რომ საჯარო შეხედულებების დახვეწს და დაალაგებს მოქალაქეთა არჩევითი და წარმომადგენლობითი ორგანო. ამის საწინდარია მასში გაერთიანებული მოქალაქეების სიბრძნე. მათ კარგად ესმით თუ რა არის მათი ქვეყნის ინტერესი. ხოლო მათი პატრიოტიზმი და სამართლიანობის სიყვარული იმის თავდებია, რომ საყოველთაო კეთილდღეობა ეფემერულსა თუ ჯგუფურ ინტერესებს არ შეეწიროს. ასეთი მოწესრიგების საფუძველზე შესაძლებელი გახდება ის, რომ საზოგადოების გულისწადილი, რომელსაც მის მიერ არჩეული წარმომადგენლები ახმოვანებენ, საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესს შეერწყას. ასეთი რამ ვერ ხერხდება უშუალო დემოკრატიის პირობებში, როცა ადამიანები საგანგებოდ ამ მიზნისთვის იკრიბებიან. მაგრამ შესაძლებელია, რესპუბლიკურმა მმართველობამ საპირისპირო შედეგიც გამოიღოს. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელთა მიზანს საერთო საქმეში განხეთქილების შეტანა წარმოადგენს. ასეთმა ადამიანებმა შესაძლოა, ადგილობრივ ცრურწმენათა ზეგავლენით, ანდა ბოროტი ზრახვების საფუძველზე მოტყუებითა და მოსყიდვით მოახერხონ საარჩევნო ხმების მოგროვება, შემდეგ კი – უღალატონ ხალხის ინტერესებს. საკითხი ასე დგას: რა ჯობია, რესპუბლიკური მმართველობა მცირე ტერიტორიაზე ვრცელდებოდეს თუ ვრცელზე? რომელი უფრო ხელსაყრელი იქნება საიმისოდ, რომ ხალხმა საყოველთაო კეთილდღეობის ჭეშმარიტი დამცველები აირჩიოს?

უწინარეს ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური მმართველობა შესაძლოა, შედარებით მცირე ტერიტორიაზე ხორციელდებოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველთვის უნდა არსებობდეს არჩეულ წარმომადგენელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რათა მათ ვერ შეძლონ ურთიერთშორის ფარული გარიგებების დადება; რასაც ადვილად მოახერხებდნენ თუკი მათი რაოდენობა მცირე იქნებოდა. მეორე მხრივ კი, რაც უნდა ვრცელი იყოს რესპუბლიკა აუცილებელია, დადგენილი იქნეს წარმომადგენელთა ზღვრული რაოდენობა, რათა თავიდან ავიცილოთ ის დომხალი, რომელიც ადამიანთა მეტისმეტად დიდ სიმრავლეს ახასიათებს. ბუნებრივია, რომ არც ერთ და

In the first place, it is to be remarked that, however small the republic may be, the representatives must be raised to a certain number, in order to guard against the cabals of a few; and that, however large it may be, they must be limited to a certain number, in order to guard against the confusion of a multitude. Hence, the number of representatives in the two cases not being in proportion to that of the two constituents, and being proportionally greater in the small republic, it follows that, if the proportion of fit characters be not less in the large than in the small republic, the former will present a greater option, and consequently a greater probability of a fit choice.

In the next place, as each representative will be chosen by a greater number of citizens in the large than in the small republic, it will be more difficult for unworthy candidates to practice with success the vicious arts by which elections are too often carried; and the suffrages of the people being more free, will be more likely to centre in men who possess the most attractive merit and the most diffusive and established characters.

It must be confessed that in this, as in most other cases, there is a mean, on both sides of which inconveniences will be found to lie. By enlarging too much the number of electors, you render the representatives too little acquainted with all their local circumstances and lesser interests; as by reducing it too much, you render him unduly attached to these, and too little fit to comprehend and pursue great and national objects. The federal Constitution forms a happy combination in this respect; the great and aggregate interests being referred to the national, the local and particular to the State legislatures.

არც მეორე შემთხვევაში არჩეულ წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება ამომრჩეველთა პირდაპირპროპორციული იყოს. მათი რაოდენობა შედარებით დიდია მცირე რესპუბლიკის შემთხვევაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის სასოგადოებაში ბევრად მეტი ღირსეული პიროვნება არსებობს, ვიდრე ამას არჩევნები ავლენს. ამიტომ ცხადია, რომ რაც უფრო დიდია რესპუბლიკურ მმართველობას დაქვემდებარებული ტერიტორია მით უფრო დიდია არჩევანის შესაძლებლობა; ასევე – ალბათობა იმისა, რომ სწორი არჩევანი გაკეთდება.

რაც უფრო ვრცელი იქნება ტერიტორია და რაც უფრო მეტი ამომრჩეველი აირჩევს წარმომადგენელს, მით უფრო გაუძნელებათ უღირს კანდიდატებს ის, რომ უღირსი მეთოდებით გაიკაფონ გზა და საწადელს მიაღწიონ, რასაც ისინი ძალიან ადვილად ახერხებენ მცირე რესპუბლიკების შემთხვევაში. თუკი ამას ისიც დაემატება, რომ თავისუფალი არჩევნები ჩატარდება, მაშინ მეტი იქნება ალბათობა იმისა, რომ უფრო ღირსეულსა და მიმზიდველ ადამიანებს აირჩევენ, რომლებიც ხასიათის სიმტკიცითაც გამოირჩევიან.

ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ისე, როგორც სხვა შემთხვევათა უმრავლესობაში, დაცული უნდა იქნეს გარკვეული შუალედი. საკმარისია, მის რომელიმე მხარეს გადაეუხეიოთ, რომ უმაღლესად გააფართოვებდით საარჩევნო ოლქს ამით წარმომადგენელს შეუზღუდავდით იმის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივ გარემოებებს ჩასწვდომოდა და იქაური ინტერესები გაესიგრძეებინა. თუკი მეტისმეტად შეეამცირებდით საარჩევნო ოლქს ამით წარმომადგენელს ადგილობრივ ინტერესებს მივაჯაჭვავდით და იმის შესაძლებლობას მოეუსპობდით, რომ ეროვნულ ინტერესს ჩასწვდომოდა და მისი განხორციელებისთვის ეღვაწა. ეს ორი რამ ბედნიერადაა ერთმანეთთან შერწყმული ფედერალურ კონსტიტუციაში. ნაციონალური და უფრო დიდი მასშტაბის ინტერესები ეროვნული ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება; ადგილობრივი და კერძო ინტერესები შტატის კანონმდებელთა კომპეტენციაში რჩება.

The other point of difference is, the greater number of citizens and extent of territory which may be brought within the compass of republican than of democratic government; and it is this circumstance principally which renders factious combinations less to be dreaded in the former than in the latter. The smaller the society, the fewer probably will be the distinct parties and interests composing it; the fewer the distinct parties and interests, the more frequently will a majority be found of the same party; and the smaller the number of individuals composing a majority, and the smaller the compass within which they are placed, the more easily will they concert and execute their plans of oppression. Extend the sphere, and you take in a greater variety of parties and interests; you make it less probable that a majority of the whole will have a common motive to invade the rights of other citizens; or if such a common motive exists, it will be more difficult for all who feel it to discover their own strength, and to act in unison with each other. Besides other impediments, it may be remarked that, where there is a consciousness of unjust or dishonorable purposes, communication is always checked by distrust in proportion to the number whose concurrence is necessary.

რესპუბლიკა პირდაპირი დემოკრატიისგან კიდევ იმით განსხვავდება, რომ იგი უფრო ვრცელ ტერიტორიასა და უფრო მრავალრიცხოვან მოსახლეობას მოიცავს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ რესპუბლიკური მმართველობის პირობებში უფრო ნაკლებ სახიფათოა ჯგუფური შეხლა-შემოხლა, ვიდრე პირდაპირი დემოკრატიისას. რაც უფრო მცირერიცხოვანია საზოგადოება, მით უფრო ნაკლები ჯგუფი და ინტერესი განსაზღვრავს მას. მაგრამ რაც უფრო ნაკლებია საზოგადოებრივი ჯგუფი და რაც უფრო ნაკლებია ინტერესი, მით უფრო იზრდება შესაძლებლობა იმისა, რომ უმრავლესობა ერთი ჯგუფის წევრებმა ჩამოაყალიბონ. და რაც უფრო მცირე რაოდენობის ხალხია გაერთიანებული უმრავლესობაში, მით უფრო ადვილია მისთვის, რომ უმცირესობის დასაჩაგრად დაირაზმოს. მაგრამ საკმარისია გავაფართოვოთ პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო და მასში უამრავი სხვა პარტია თუ ინტერესი ჩაერთვება. ძნელი საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში მთელ უმრავლესობას საერთო მოტივი გაუჩნდეს საიმისოდ, რომ მათ უგულვებელყონ სხვა მოქალაქეთა ინტერესები. ასეთი მოტივი რომც გაჩნდეს ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ რეალურად შეაფასოს თავისი ძალები და სხვებთან შეთანხმებულად იმოქმედოს. სხვა დაბრკოლებათა გვერდით ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ როცა გამოაშქარავენ უსამართლო და უღირსი ზრახვები, ძნელდება თანამზრახველთა ჯგუფის ჩამოყალიბება. შეთქმულების მოსურნეთა შორის მზარდი ურთიერთუნდობლობა ისადგურებს. რაც უფრო მეტი თანამზრახველი ხდება საჭირო მით მეტად იზრდება უნდობლობა.

აქედან ნათლად გამოდინარეობს ის, რომ უშუალო დემოკრატიის წინაშე რესპუბლიკური მმართველობის უპირატესობა, რომელიც ჯგუფური დაპირისპირების შედეგთა კონტროლის შესაძლებლობაში მდგომარეობს, ბევრად უფრო ეფექტურია რესპუბლიკაში, რომელიც ვრცელ ტერიტორიას და მრავალრიცხოვან მოსახლეობას მოიცავს, ვიდრე მცირე ზომის რესპუბლიკაში. შეერთებულ შტატებს სწორედ ეს უპირატესობა ექნებათ გათითოებულ შტატებთან შედარებით. მაგრამ რა არის არსი ამ უპირატესობისა? ის, რომ არჩეულ წარმომადგენლებს თავიანთი განათლებული შეხედულებებითა და ქველი გრძნობებით ადგილობრივი ცრურწმენები და უსამართლო ზრახვები

Hence, it clearly appears, that the same advantage which a republic has over a democracy, in controlling the effects of faction, is enjoyed by a large over a small republic,—is enjoyed by the Union over the States composing it. Does the advantage consist in the substitution of representatives whose enlightened views and virtuous sentiments render them superior to local prejudices and schemes of injustice? It will not be denied that the representation of the Union will be most likely to possess these requisite endowments. Does it consist in the greater security afforded by a greater variety of parties, against the event of any one party being able to outnumber and oppress the rest? In an equal degree does the increased variety of parties comprised within the Union, increase this security. Does it, in fine, consist in the greater obstacles opposed to the concert and accomplishment of the secret wishes of an unjust and interested majority? Here, again, the extent of the Union gives it the most palpable advantage.

The influence of factious leaders may kindle a flame within their particular States, but will be unable to spread a general conflagration through the other States. A religious sect may degenerate into a political faction in a part of the Confederacy; but the variety of sects dispersed over the entire face of it must secure the national councils against any danger from that source. A rage for paper money, for an abolition of debts, for an equal division of property, or for any other improper or wicked project, will be less apt to pervade the whole body of the Union than a particular member of it; in the same proportion as such a malady is more likely to taint a particular county or district, than an entire State.

დაუძლევიან? არავენ მოჰყეება იმის უარყოფას, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენლები სწორედ ამ ღირსებებით იქნებიან შემკულნი. იქნებ ამ უპირატესობის არსი ისაა, რომ პარტიათა მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების პირობებში ერთ რომელიმე მათგანს გაუძნელდება სხვებზე უპირატესობის მოპოვება და მათი ინტერესების უგულვებელყოფა? ბუნებრივია, რომ ერთი კავშირის შიგნით მოქცეული სხვადასხვა დაჯგუფებები ამ კავშირის უსაფრთხოების ზრდას შეუწყობს ხელს. ზემოთხსენებული უპირატესობების არსი ეგებ ის იყოს, რომ კავშირის პირობებში უამრავი დაბრკოლება ექმნება მიკერძოებულ უმრავლესობას. ერთობ გაუჭრდება მას თანამზრახველთა შემოკრება და თავისი იდუმალი ზრახვების განხორციელება. კავშირის სიდიდეს, ამ მხრივ მართლაც რომ საგრძნობი უპირატესობა აქვს.

გამთიშველობის სულით შეპყრობილმა ლიდერმა შესაძლებლოა, სამოქალაქო დაპირისპირების ხანძარი გააჩაღოს თავის შტატში, მაგრამ იგი სხვა შტატებში მის გადატანას ვერ მოახერხებს. კონფედერაციის ერთ ნაწილში რელიგიური სექტა შესაძლოა, პოლიტიკურ პარტიად გადაგვარდეს, მაგრამ შეუძლებელი იქნება ასეთი რამ მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს. ამის საწინდარი კი ამერიკის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული უამრავი რელიგიური სექტაა. ფასიანი ქაღალდების გამოშვების, ვალების გაუქმებისა თუ ქონების თანაბრად განაწილებისკენ, ანდა სხვა რამ უმართებულო და საზიანო ჩანაფიქრის განხორციელებისკენ მოწოდებამ შესაძლოა, ცალკეული შტატი მოიცვას, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ იგი მთელი კავშირის მასშტაბით განხორციელდეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთი რამ რომელიმე შტატის ერთ რომელიმე ოლქში მოხდეს, მთელი შტატის მასშტაბით კი მისი განხორციელება ნაკლებად დამაჯერებელია.

ამრიგად, მთელი კავშირის მასშტაბით გამართულ რესპუბლიკურ მმართველობას ხელთ აქვს სამკურნალო საშუალებანი იმ სნეულებათა დასამარცხებლად, რომლებიც მმართველობის ამ ფორმას ახასიათებს. ჩვენ სამართლიანად ვაჩაყობთ იმით, რომ რესპუბლიკელები ვართ; რესპუბლიკური პრინციპებისადმი ერთგულებით გამოვიჩნევით. მაგრამ ასეთივე რუდუნებით უნდა ვეპყრობოდეთ ფედერალიზმის სულს და ფედერაციული პრინციპების მიხედვით ქვეყნის მოწყობას თავგამოდებით უნდა ვესწრაფოდეთ.

უპოლიტიკო

In the extent and proper structure of the Union, therefore, we behold a republican remedy for the diseases most incident to republican government. And according to the degree of pleasure and pride we feel in being republicans, ought to be our zeal in cherishing the spirit and supporting the character of Federalists.

PUBLIUS

**დიზაინერი დავით შეფარიშვილი
კორექტორი ნინო ქეშერტელიძე
ტექნიკური რედაქტორი არჩილ კოპალეიშვილი**

**Designer David Meparishvili
Corrector Nino Kemertelidze
Technical editor Archil Kopaleishvili**

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0160, ჯანო ბაგრატიონის 6.
ტელ: (995 32) 385 849, 384 406
ფაქსი: (995 32) 252 981
E-mail: gr_uni@posta.ge**

**Grigol Robakidze University
6, Jano Bagrationi Street
Tbilisi 0160, Georgia
Tel.: (995 32) 385 849, 384 406
Fax: (995 32) 252 981
E-mail: gr_uni@posta.ge**